

ირაკლი ბათიაშვილის საქმე საერთაშორისო ორგანიზაციებში

A2



პრესომბუდსმენი

A5



ფრანგული "მასტერკლასი"

A6

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 4 სექტემბერი, 2006 წელი. №194 (1346) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

# უფრთხილდით ივანოვის დოქტრინას

დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

**"რუსეთი ატარებს მყარ და ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, მკაცრ პოლიტიკას, რაც ქვეყნის ეროვნული ინტერესებით არის განპირობებული,"** - წერს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი გაზეთ "იზვესტიას" 13 ივლისის ნომერში. ეროვნული ინტერესების ივანოვისეული ტრიადა - სუვერენული დემოკრატია, ძლიერი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი, არის ოფიციალური მოსკოვის სულ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის ნათელი გამოხატულება. თუ გავითვალისწინებთ ზუგდიდის თავზე რუსული სამხედრო შვეულმფრენების გუგუნს, ივანოვის დოქტრინა უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს.

საგულისხმოა, რომ ივანოვის სტატია მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ლიდერები სანკტ-პეტერბურგში დიდი რვიანის სამიტზე დასასწრებად ემზადებოდნენ. უდავოდ, იგი წარმოადგენდა მცდელობას, მნიშვნელოვანი სტუმრების ყურადღება შეესუსტებინა და გადაეტანა ისეთი საკითხებიდან, რომლებზე მსჯელობაც პუტინს საკუთარ სამშობლოშიც კი დააბნევდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვარჯიში ავსტრიული დაპირისპირების წინ

## საქართველო - ლუქსემბურგი 86:44

შაბათს საფრანგეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის შემდეგ ქართული სპორტის ქომაგი იმედით ელოდა კალათბურთს. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ქართველი კალათბურთელები ლუქსემბურგის გუნდთან დაპირისპირებაში დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებდნენ და ამჯერად მაინც გავიხარებდით. ასეც მოხდა. ლუქსემბურგის ნაკრებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გორდონ ჰერბერტის მიერ დამოძღვრილ გუნდს. ქართველი კალათბურთელები სრულ და უპირობო უპირატესობას ფლობდნენ. ანგარიში ამაზე ნათლად მეტყველებს. 42 ქულიანი სხვაობით მოგება დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდია განსხვავება საქართველოს და ლუქსემბურგის საკალათბურთო გუნდებს შორის.

ალბათ მატჩის ტელერეპორტაჟი გულშემატკივარმა იხილა და თავად მატჩის პერიპეტიებზე აღარ შევჩერდებით. თქვენს ყურადღებას რამდენიმე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებთ და შევეცდებით გავავლოთ პარალელები დღევანდელ ნაკრებსა და იმ გუნდს შორის, რომელმაც გასულ სეზონში ელიტარული დივიზიონის საგზური მაკედონიის ნაკრებს დაუთმო.

გაგრძელება A7 გვერდზე



**საქართველო:** გამყრელიძე (2), ვ.ბოისა (11), ა.ბოისა (2), ფაჩულია (7), ცინცაძე (15), შერმადინი (2), ელისი (12), მარკოიშვილი (11), უგრეხელიძე (4), ნაცვლიშვილი (7), სანიკიძე (6), ცქიტიშვილი (7).

# პანიკა!

## მადონნა პრიზის გარეშე დარჩა

MTV Video Music Awards მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა.

ყველა ვარაუდობდა, რომ წლევანდელი MTV Video Music Awards ჩვეულ რეჟიმში ჩაივლიდა და მთავარ პრიზებს უკვე აღიარებული ვარსკვლავები მიიღებდნენ, თუმცა საიდანღაც სრულიად ახალი პანკ-ჯგუფი Panic! At The Disco გამოჩნდა და საუკეთესო კლიპის ნომინაციაში თვით მადონნას დამარცხება შეძლო. არადა, პრიმას ვიდეო Hung Up საოცარი წარმატებით სარგებლობდა და გამარჯვების პრაქტიკულად უკონკურენტო კანდიდატურადაც მიიჩნეოდა.

გაგრძელება B1 გვერდზე



## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

# ოსებმა ოქრუაშვილის შვეულმფრენს ესროლეს

*გუშინ რუსული მედიის საშუალებით გავრცელდა ცნობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული შვეულმფრენის ჩამოგდების თაობაზე. ოფიციალურმა თბილისმა შვეულმფრენის ჩამოგდების ფაქტი უარყო, თუმცა ინციდენტი დაადასტურა. სეპარატისტებმა ესროლეს შვეულმფრენს, რომელშიც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენშტაბის უფროსის მოადგილე ზაზა გოგავა იმყოფებოდნენ.*

ვერიკო თევზაძე

რუსული წყაროები სხვადასხვა სახის ინფორმაციებს ავრცელებდნენ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ინციდენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოხდა. ფრონეს ხეობაში ოსურ სოფელ ისაკჰაუდან (გიორგიწმინდა) მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღით თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ სამხედრო დანიშნულების შვეულმფრენს ოსმა ფორმიანებმა ცეცხლი გაუხსნეს. (სოფელი ისაკჰაუ მდებარეობს ქართული სოფლის ავნევისა და ოსური მხარის კონტროლირებად ზნაურს შორის და იგი დე-ფაქტო სამხრეთ-ოსეთის პრეზიდენტის კოკოითის მშობლიური სოფელია). შვეულმფრენი იმყოფებოდა სასაზღვრო ტერიტორიასთან ახლოს სოფელ ავნევის ზემოთ, თუმცა ისაკჰაუდან შესაძლებელი გახდა შვეულმფრენის დაზიანება. ამის მიუხედავად, შვეულმფრენი არ ჩამოვარდნილა და მან დისლოკაციის ადგილზე დაბრუნება შეძლო.

რუსული საინფორმაციო საშუალებებით ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის დროით დაახლოებით 16:00 საათზე, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევის მცდელობის გამო საქართველოს კუთვნილი "იროკეზი" ჩამოაგდეს. ოსურ რადიოზე დაყრდნობით, ეს ინფორმაცია სააგენტო "რეგნუმმა" გაავრცელა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კონდოპოგას სინდრომი

## ეთნიკური დაპირისპირების ახალი ტალღა

*რუსეთის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში კავკასიელთა მასობრივი დარბევები დაიწყო. კრიმინალური ინციდენტით გამოწვეულ მღელვარებაში, რომელშიც რადიკალური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი მონაწილეობდა. არ არის გამორიცხული, ამგვარი ინციდენტები რუსეთის სხვა ქალაქებშიც გამეორდეს. ყოველ შემთხვევაში, რუსი ჟურნალისტების ლექსიკონში უკვე გაჩნდა ცნება* "Кавказский погром".

დიმიტრი ავალიანი

ყველაფერი კი კარელიის რესპუბლიკის ქალაქ კონდოპოგაში (35 ათასამდე მცხოვრები) 29 აგვისტოს ღამით დაიწყო. ქალაქის ერთ-ერთ რესტორანში მომსახურე პერსონალსა და კლიენტებს შორის შელაპარაკების ნიადაგზე მომხდარ ჩხუბს სამი ადგილობრივი მცხოვრების სიცოცხლე შეეწირა, კიდევ ცხრა ადამიანი დაშავდა.

დაღუპულები ადგილობრივი რუსები არიან, ხოლო რესტორანი "ჩაიკა", სადაც ინციდენტი მოხდა, ჩეჩნური წარმოშობის ბიზნესმენს ეკუთვნის და მასში ძირითადად ჩეჩნები და სხვა კავკასიელები მუშაობდნენ. 31 აგვისტოს ღამეს კონდოპოგაში კავკასიელთა დარბევები დაიწყო, დაწვეს კავკასიელების კუთვნილი რამდენიმე კომერციული ობიექტი. 1 სექტემბერს კონდოპოგაში რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციის "არალეგალური იმიგრაციის საწინააღმდეგო მოძრაობის" აქტივისტები ჩავიდნენ. იმავდროულად, ქალაქში მილიციის სპეცდანიშნულების რაზმები შეიყვანეს.

შაბათს, 2 სექტემბერს, ხალხის განრისხებულმა მასამ ალყა შემოარტყა რესტორან "ჩაიკას", და, სპეცრაზმელების წინააღმდეგობის მიუხედავად, მას ცეცხლი წაუკიდა.

შაბათსვე, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მიტინგი გაიმართა, რომელშიც, სხვადასხვა მონაცემებით, რამდენიმე ასეულიდან ორი ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მომიტინგეებმა ხელისუფლებისგან 24 საათში ადგილობრივი ბაზრიდან კავკასიელების განდევნა და ქალაქიდან ყველა ჩეჩენის გასახლება მოითხოვა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, კავკასიელებმა ქალაქის დატოვება დაიწყეს.

მიტინგის შემდეგ ქალაქი არეულობამ მოიცვა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბრბომ დაარბია ბაზარი და კომერციული ობიექტები, იყო მაროდიორობის შემთხვევებიც. არეულობა სპეცრაზმმა ჩაახშო, სამართალდამცავებმა ასზე მეტი ადამიანი დააკავეს, თუმცა, პატიმრობაში დღეისთვის მხოლოდ 25 რჩება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ორი მკვლელობის ისტორია

*ლაგოდეხის რაიონის სოფელ კართუბანის მკვიდრი, 55 წლის იზო კაპანაძე ბოროტმოქმედებმა ჯერ მოკლეს, შემდეგ დაჩეხეს და კვალის დაფარვის მიზნით, ჭაში ჩააგდეს. მომხდარიდან რამდენიმე საათში პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა, თუმცა მისი ვინაობის გამხელისგან სამართალდამცველები თავს იკავებენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ძიებას კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილება აწარმოებს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

დედის დაჩეხილი ცხედარი სოფელში სტუმრად ჩასულმა გარდაცვლილის შვილმა ხათუნა კაპანაძემ შემთხვევით აღმოაჩინა. მომხდართან დაკავშირებით, სოფელში მხოლოდ ერთ ვერსიაზე - შურისძიებაზე საუბრობენ. საქმე ისაა, რომ გარდაცვლილი ქალბატონის მეუღლემ ბუხუტი კაპანაძემ, ერთი წლის წინათ, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში, სოფლის საძოვრებზე საქონლის მწყემსვის დროს, მეზობელი - 20 წლის თამაზ ლომიძე მოკლა. თამაზ ლომიძის მკვლელობისთვის ბრალდებულს და ამჟამად პატიმრობაში მყოფ ბუხუტი კაპანაძეს, დაზარალებული ოჯახისათვის 12 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა, რაც კაპანაძეების ოჯახმა დღემდე ვერ მოახერხა.

ეჭვს შურისძიების შესახებ არ ეთანხმება მოკლულის შვილი ხათუნა კაპანაძე. ის დედის მკვლელობაში ლომიძეების მონაწილეობას გამორიცხავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამართალი

### ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მონიტორინგის შედეგები

რამდენიმე დღის წინათ, სახალხო დამცველთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მონიტორინგი ჩაატარეს და პატიმრები მოინახულეს.

A2

## ამბები

### მთავრობა კახეთში დაბანაკდა

მთავრობამ "რთველი 2006"-ის წარმატებულად ჩატარებისთვის სამოქმედო გეგმა უკვე დაამტკიცა და აამოქმედა. გურჯაანში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელიც რთველის მიმდინარეობას გააკონტროლებს და მას სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი უხელმძღვანელებს.

A3

## საზოგადოება

### მოკლევადიანი კომფორტი ხელისუფლებისთვის

ხელისუფლებისთვის გაცილებით უფრო მარტივია მეგობარი ჟურნალისტების საშუალებით მთლიანად აკონტროლოს სიტუაცია, რადგან ეს ყველაზე მეტად კომფორტულია. მაგრამ ეს მოკლევადიანი კომფორტი მას ძალიან მალე აუცილებლად შეუქმნის გრძელვადიან პრობლემას.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამბები

| | 4/09 | 5/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 32 |
| ბათუმი | 24 | 26 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| ქუთაისი | 30 | 31 |
| გორი | 26 | 27 |
| ონი | 23 | 23 |
| ზუგდიდი | 30 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7460 |
| ევრო | 2.2354 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3233 |
| რუბლი | 0.0653 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# ორი მკვლელობის ისტორია

პირველი გვერდიდან

ამ დღეებში ერთი გახმაურებული მკვლელობის საქმე გახსნა სიღნაღის პოლიციამაც. სამართალდამცველებმა დააკავეს სოფელ ანაგაში მცხოვრები გოგია თანდაშვილი. მას ბრალად ედება სიძის, ბადრი ზუმბაძის მკვლელობა. გამომძიებლის არსენ ტუხაშვილის განმარტებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დანაშაულს არ აღიარებს, თუმცა ადასტურებს, რომ მკვლელობის დღეს მას სიძესთან ურთიერთშელაპარაკება მოუხდა. გამოძიება ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე კომენტარისგან თავს იკავებს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, თამაზ ზედელაშვილი კი განმარტავს, რომ ბადრი ზუმბაძე სისხლის მწვავე უკმარისობითაა გარდაცვლილი. მას ჭრილობები ბარძაყის არეში აქვს მიყენებული, რამაც სასიცოცხლო არტერია დაუზიანა. **"ჭრილობები დანითაა მიყენებული, კეთდება ლაბორატორიული ანალიზები, რომელთა დასკვნებიც გამოძიებას გადაეცემა,"** - აცხადებს ექსპერტი.

სიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება უკვე შეუფარდა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი) აღიძრა, რაც 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# საკადრო ცვლილებები პოლიციაში

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებებია. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობა დატოვა მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსმა თამაზ ვასაძემ და ასევე გლდანი-ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს უფროსებმა.

ცოტა ხნის წინ თანამდებობიდან წასვლის შესახებ პატაკი დაწერა გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს უფროსმა. მის მოვალეობას ამჟამად ასრულებს ლევან ჭაბუკიანი, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთში პოლიციის უფროსის პოსტი დროებით გია კობაჩიშვილმა დაიკავა.

თანამდებობაზე რჩებიან ორი რაიონის პოლიციის - ვაკე-საბურთალოსა და ისანი-სამგორის შს სამმართველოების უფროსები, რომლებიც აღნიშნულ პოსტებზე ცოტა ხნის წინ დაინიშნენ.

გავრცელებული იყო ინფორმაცია, რომ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას გამოემშვიდობა მერაბ ბალათურიაც, თუმცა ამ საკითხზე კომენტარს ოფიციალური სტრუქტურები ჯერჯერობით არ აკეთებენ.

პოლიციური წმენდა ვრცელდება რაიონებშიც. საქართველოს შს მინისტრის ბრძანებულებით, ახალქალქის რაიონის პოლიციის უფროსი არამ პოღოსოვი თანამდებობიდან გათავისუფლებულია. ახალი ბრძანებულების თანახმად კი, მისი ადგილი სამველ პეტროსიანმა დაიკავა.

პეტროსიანი 1991-92 წლებში ახალქალაქის რაიონის პრეფექტი იყო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი სამცხე-ჯავახეთში შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების დარგში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობდა.

*24 საათი*

# ფინელი ტურისტი ჩეჩნეთში საბრძოლველად მიდიოდა

საქართველოში დაკავებული, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ფინეთის მოქალაქე უკვე თავის სამშობლოშია.

ქართველი სამართალდამცველები ფინელი ტურისტით მას შემდეგ დაინტერესდნენ, როცა იგი საქართველო-რუსეთის საზღვარზე საეჭვოდ მოგზაურობდა. ქართველი მესაზღვრეების ინფორმაციით, ბუ ბაკერ ჰეიკილამ, როგორც ტურისტმა რეგისტრაცია საგუშაგო "ყაზბეგში" 25 აგვისტოს გაიარა და ამტკიცებდა, რომ მოგზაურობას არხოტის ხეობაში გეგმავდა. მაგრამ საბოლოოდ, როგორც გაირკვა, იგი რამდენიმე დღეს აღნიშნულ ხეობაში დარჩა და არსად წასვლას არ ჩქარობდა. მესაზღვრეები ვარაუდობდნენ, რომ იგი ვიღაცას ელოდა და შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ გადასვლა სურდა. ფინელი ტურისტი მესაზღვრეებმა 28 აგვისტოს დააკავეს და შემდგომი საგამოძიებო ღონისძიებების მიზნით, შსს ანტიტერორისტულ ცენტრს გადასცეს. აბუ ბაკერ ჰეიკილამ სწორედ ქართველ სამართალდამცველებთან საუბრისას აღიარა, რომ საქართველოს გავლით ჩეჩნეთში გადასვლას და იქაური "ბოევიკების" მხარეს ბრძოლას აპირებდა. როგორც აბუ ბაკერ ჰეიკილა აღნიშნავს, მან 4 წლის წინ ისლამის რწმენა მიიღო და გადაწყვიტა სეპარატისტთა მხარდასაჭერად ებრძოლა. რამდენიმედღიანი მუშაობის შემდეგ, ანტიტერორისტულმა ცენტრმა ფინეთის მოქალაქე აბუ ბაკერ ჰეიკილას საქართველოში მოგზაურობაში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. ქართული გამოძიებისთვის უცნობი დარჩა ისიც, ვის ელოდა საზღვარზე ფინელი ტურისტი, ან რა ხერხებით აპირებდა იგი რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას. აბუ ბაკერ ჰეიკილა ქართველმა სამართალდამცველებმა ფინეთში გაამგზავრეს.

*24 საათი*

# ჯილდო სპეცოპერაციის შემდეგ

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლიციის კაპიტანი ირაკლი ჯიქია გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. პრეზიდენტმა მას საქართველოს სახელით მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ფოთის პოლიციის უფროსი, როგორც რიგითი თანამშრომელი, უშუალოდ მონაწილეობდა კანონიერი ქურდების დასაკავებლად ჩატარებულ სპეცოპერაციაში.

შეგახსენებთ, ირაკლი ჯიქია 24 აგვისტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ფოთის შს სამმართველოს მიერ ხობის რაიონის სოფელ ხორგაში ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციისას, ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა ფეხსა და გულმკერდის არეში. აღნიშნული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა "კანონიერი ქურდი" მერაბ კოკაია, მეტსახელად "პონჩიკა", ხოლო კრიმინალური ავტორიტეტი, ლავრენტი ტურავა, მეტსახელად "ჭოპინო" დააკავეს.

ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, კოკაია და ტურავა თავდასხმას აპირებდნენ იმავე სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებლის ოჯახზე და შეიარაღებულები იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღით. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფოთის პოლიციის უფროსი მოათავსეს ქუთაისის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში, სადაც მკურნალობის შესაბამისი კურსი გაიარა.

*მედიანიუსი*

# ირაკლი ბათიაშვილის საქმე საერთაშორისო ორგანიზაციებში



შეიარაღებული ამბოხის ინტელექტუალურ მხარდაჭერაში ბრალდებული ირაკლი ბათიაშვილის საქმესთან დაკავშირებით, მისმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებისთვის მიმართა და საქმის მასალები გაუგზავნა. ირაკლი ბათიაშვილის მეუღლის მარიამ ბათიაშვილის ცნობით, მასალები გაუგზავნეს ეუთო-ს, "ჰუმან რაიტს", "ამნესტი ინტერნეიშენალს", ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და კონდოლიზა რაისსაც კი, რათა შეისწავლონ ეს საქმე და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. მარიამ ბათიაშვილის თქმით, მომავალში იგი გეგმავს არსებული საქმის მასალებით საერთაშორისო სასამართლოსაც მიმართოს.

მარიამ ბათიაშვილის განცხადებით, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მას საშუალება არ მიეცა შეხვედროდა თავის მეუღლეს, თუმცა კანონით ამის უფლება აქვს. ამ საკითხთან დაკავშირებით, სამართალდამცველების პასუხი მარტივია - მეუღლეების შეხვედრა მიზანშეწონილი არ არის.

მარიამ ბათიაშვილი მადლობელია სახალხო დამცველის და ეუთო-ს წარმომადგენლების, რადგან იგი აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან დიდ თანაგრძნობას ხედავს. ეუთო-ს წარმომადგენლობამ ციხეში ირაკლი ბათიაშვილის მონახულება მოისურვა, რაზეც შეთანხმება უკვე მიღწეულია. მომავალ კვირაში, შესაძლებელია, ეუთო-ს წარმომადგენელმა ირის სმუტმა ბათიაშვილი საპყრობილეში მოინახულოს.

*24 საათი*

# ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მონიტორინგის შედეგები

*რამდენიმე დღის წინათ, სახალხო დამცველთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მონიტორინგი ჩაატარეს და პატიმრები მოინახულეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მზადდება შესაბამისი რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის.*

ომბუდსმენის ოფისის წევრები აცხადებენ, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, იზოლირებულ პალატებში უმძიმესი სანიტარიული მდგომარეობაა. ოთახის ტემპერატურა ძალიან მაღალია, თითქმის შეუძლებელია სუნთქვა. ირგვლივ ანტისანიტარიაა და ჰაერი სპეციფიური სუნით არის გაჟღენთილი. კედლები, ჭერი და იატაკი თითქმის სრულადაა დაზიანებული. შენობაში ბუდობენ მღრღნელები, მწერები და ქვეწარმავლები. მომრავლებული ვირთხების გამო, კედლების ღრღნის განუწყვეტელი ხმა ისმის.

**"შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია გაუსაძლისი პირობები და ამ სიტუაციაში პატიმრების და მით უფრო უმძიმესი ავადმყოფების ჩამწყვდევა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მათი მკურნალობა აშკარად არაადეკვატურია ან საერთოდ არ ტარდება, წარმოადგენს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას",** - ასეთი გახლავთ სახალხო დამცველის აპარატის დასკვნა.

პატიმართა მონახულების შედეგად აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება საიზოლაციო პალატაში მოთავსებული პატიმარი მალხაზ ზედელაშვილი. ეს ის პატიმარი გახლავთ, რომელმაც 27 მარტის ამბოხის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში დაზიანება მიიღო. "ტრავმის შემდეგ მას ეპილეფსიური გულყრები დაეწყო, დამბლის გამო დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება. აღენიშნება ცხელება თავის ქალაზე, თხემის ძვლების მიდამოში, აღენიშნება ნაწიბურით შემოფარგლული ხვრელი, რომელიც, სავარაუდოდ, ცეცხლნასროლი დაზიანების კვალს წარმოადგენს. ავადმყოფს აწუხებს ძლიერი თავის ტკივილები და სხეულის სხვადასხვა ნაწილის გაბუჟება", - ასეთია ზედელაშვილის სამედიცინო დასკვნა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის წევრები აცხადებენ, ნეიროქირურგიული ოპერაციის შემდეგ, რომელიც ზედელაშვილს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში გაუკეთდა, ავადმყოფს არ უტარდება სათანადო მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი. **"ჩვენთან საუბარში პატიმარმა განმარტა, რომ მას იშვიათად ნახულობს ექიმი. ცოტა ხნის წინ, ის იუსტიციის და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივ სამედიცინო კომისიაზე გაიყვანეს, თუმცა, არავის გაუსინჯავს. ავადმყოფი მხოლოდ ეტლით გაატარეს ოთახში. კომისიამ მკურნალობა ადეკვატურად მიიჩნია და მისი ნეიროქირურგიულ სტაციონარში გადაყვანა საჭიროდ არ ცნო. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას არც ნეიროქირურგიული განყოფილება აქვს და არც ნეიროქირურგი ჰყავს, შესაბამისად ზედელაშვილის მკურნალობა ამ დაწესებულებაში არანაირად არ არის გამართლებული",** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

ჩვენი ინფორმაციით, პროტესტის ნიშნად, ზედელაშვილმა 21 აგვისტოდან შიმშილობა დაიწყო და უარი თქვა მედიკამენტების მიღებაზე. შეწყვეტილი აქვს ეპილეფსიის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებაც. თუმცა, მისი მდგომარეობით არც მთავარი ექიმი დაინტერესებულა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა პატიმარს განუმარტეს, რომ შიმშილობა მის ჯანმრთელობას სრული მოშლით ემუქრება. სთხოვეს მას უარი არ ეთქვა წყლისა და მედიკამენტების მიღებაზე. პაციენტი ნაწილობრივ დაჰყვა სახალხო დამცველის წარმომადგენელთა რჩევას, თუმცა შიმშილობას არ წყვეტს.

"ჩატარებული მონიტორინგით დავადგინეთ, რომ ადგილობრივი მედპერსონალი არ ცდილობს დადებითი ზემოქმედება მოახდინოს მოშიმშილე ავადმყოფზე და შეაცვლევინოს მიღებული გადაწყვეტილება. არადა, საქართველოს კანონის "საექიმო საქმიანობის შესახებ", 55-ე მუხლის (**დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის დამოკიდებულება მოშიმშილე პატიმრის ან დაკავებულის მიმართ**), მეორე პუნქტის შესაბამისად - "პატიმრის ან დაკავებულის მიერ საკვების მიღებაზე უარის განცხადების შემთხვევაში, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, აცნობოს პატიმარს ან დაკავებულს საკვების მიღებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, აგრეთვე აცნობოს მას, გაუწევს თუ არა იგი სამედიცინო მომსახურებას შიმშილობის შედეგად უგონო მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში", - განმარტავენ მონიტორინგის წევრები.

სახალხო დამცველის სოზარ სუბარის აზრით, მალხაზ ზედელაშვილთან სასწრაფოდ უნდა შეუშვან კვალიფიციური ნეიროქირურგი, რომელიც განსაზღვრავს მისი შემდგომი გამოკვლევების გეგმას. გარდა ამისა, ომბუდსმენის თქმითვე, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმარი სასწრაფოდ უნდა გამოიყვანონ ანტისანიტარიული და არაჰიგიენური პალატიდან და დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას მისი მკურნალობისთვის ადეკვატური პირობები.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ 8-10 -ით

www.telecom.ge

## მოკლედ

### 30 ქართველის თავისუფლება 3 ტონა თხილი ღირს

გალის რაიონის სოფლების სიდასა და ნაბაკევის საზღვარზე აფხაზური მილიციის 40-მდე შეიარაღებული პირი შევიდა და 30 ქართველი დააპატიმრა. დაკავების ოფიციალურ მიზეზად აფხაზური მხარე საპასპორტო რეჟიმის დარღვევას ასახელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აფხაზური პასპორტები არ ჰქონდათ. თითოეულ დაკავებულს ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლებენ. აფხაზურ მილიციასთან ანგარიშსწორება თხილის მეშვეობით უნდა განხორციელდეს. აფხაზი სამართალდამცველები, ოფიციალურად, ერთი დაკავებულის სანაცვლოდ 100 კილოგრამ თხილს ითხოვენ. ოცდაათივეს გასათავისუფლებმად კი 3 ტონას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### სამუშაო ჯგუფი ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობისთვის

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანებით, ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ექსპერტთა ერთობლივი ახალი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, ორი მინისტრის ერთობლივ ბრძანებას ხელი 2006 წლის 31 აგვისტოს მოეწერა. ჯგუფი ნატოს-თან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად შეიქმნა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული ჯგუფი თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის შესაძლო ერთობლივი გამოყენების კონკრეტული დეტალების შემუშავების საკითხებზე იმუშავებს.

*ინტერპრესნიუსი*

### ნოვოსიბირსკში სასამართლო ააფეთქეს

რუსეთის ფედერაციის ქალაქ ნოვოსიბირსკში სასამართლოს შენობა ააფეთქეს. აფეთქება გვიან ღამე მოხდა. ორსართულიან შენობას დაზიანებული აქვს კედლები. აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა. შენობის დარაჯის თქმით, აფეთქების შედეგადად ხანძარი გაჩნდა. აფეთქების ადგილას სამართალდამცველები მივიდნენ, თუმცა, აფეთქების სავარაუდო ვერსიები არ სახელდება. გავრცელებული ვერსიით, ამფეთქებლებს მიზნად შესაძლოა დოკუმენტაციის განადგურება ჰქონოდათ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### "ავღანეთი ნარკოტიკების ანკესზე წამოეგო"

ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება 2006 წელს 59 პროცენტით გაიზარდა, - ამის შესახებ ინფორმაცია გაერო-ს ნარკოტიკებისა და ნარკოტიკული დანაშაულების განყოფილებამ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ოპიუმის წარმოება 21 პროცენტით შემცირდა და იგი 104 ათას ჰექტარზე იყო დათესილი. თუმცა, წელს ხელმანდის სამხრეთ პროვინციაში, სადაც თალიბებმა თავდასხმებით საკმაოდ შეავიწროვეს ავღანეთის ხელისუფლება და საერთაშორისო ძალები, ყაყაჩოს ნათესებმა 162 ათას ჰექტარს გადააჭარბა.

"ეს საკმაოდ საგანგაშო ციფრია. ავღანეთი თავისივე ნარკოტიკების ანკესზე წამოეგო", - განაცხადა გაერო-ს წარმომადგენელმა ანტონიო მარია კოსტამ ქაბულში, ქვეყნის პრეზიდენტისთვის ჰამიდ კარზაისთვის ანგარიშის გადაცემისას.

"წელს ოპიუმის მოსავალი 6 100 ტონას შეადგენს, რაც მსოფლიო მიწოდების 92 პროცენტია. ეს 30 პროცენტით აღემატება მოთხოვნას ნარკოტიკებზე", - აღნიშნა კოსტამ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# უფრთხილდით ივანოვის დოქტრინას

პირველი გვერდიდან

ივანოვის გაფრთხილება და ისრაელ-ჰესბოლას დაპირისპირება აღმოჩნდა ის კომბინაცია, რამაც განაპირობა დიდი რვიანის სამიტზე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გვერდზე გადადება. ევროპის ქვეყნების ლიდერები ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ რუსეთში, როგორც სტაბილურ ენერგომომმარაგებელში, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ მიმდინარე წლის 1 იანვარს უკრაინისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტამ ამგვარი შეხედულება შეცვალა. ივანოვი აღნიშნავს: **"დღესდღეობით რუსეთის ეკონომიკური პოტენციალი იძლევა მსოფლიო ენერგეტიკის სტაბილურობის საშუალებას"**. მათთვის, ვისთვისაც ზემოთ აღნიშნული გაუგებარი და ბუნდოვანია, რუსეთის თავდაცვის მინისტრი დასძენს: **"რუსეთი ენერგეტიკის სფეროში სუპერძალას წარმოადგენს"**. კრემლის პოლიტიკის გამხმოვანებლის, ივანოვის სტატიიდან ჩანს, რომ ოფიციალური მოსკოვი ტერორის პოლიტიკას კვლავ გააგრძელებს. რუსეთი, აღნიშნავს ივანოვი, რამოდენიმე წლის წინ დადგა დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე, თუმცა ბოლო 6 წლის განმავლობაში (პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში) სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. დღეისათვის რუსეთი კვლავ ძლიერი სახელმწიფო და დიდი ძალაა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ყველას, ვინც მის საშინაო საქმეებში ჩარევას ცდილობს და ხელს უშლის ცხოვრების ისეთი წესების დამკვიდრებას, რაც უცხოა რუსი ხალხისათვის. რა არის ეს? ვინ ცდილობს რაიმეს ძალისმიერი მეთოდებით დამკვიდრებას რუსეთში? ამგვარ განცხადებებს, როგორც წესი, მარგინალური ქვეყნების დაუცველი ლიდერები აკეთებენ მაკდონალდსის რესტორანთა ქსელის მისამართით. სამწუხაროა, რომ ასეთ განცხადებას მომავალში რუსეთის შესაძლო პრეზიდენტი აკეთებს.

რასაკვირველია, თავდაცვის მინისტრის ფობიებს საფუძვლად უდევს რუსეთის პოლიტიკური სისტემის კრიტიკისადმი დაუცველობა. **"რუსეთი არის სუვერენული დემოკრატიის მქონე ქვეყანა... რომლის მოქალაქეებსაც აქვთ უფლება განსაზღვრონ ქვეყნის პოლიტიკა და დაიცვან ეს უფლება გარე ძალების ზეწოლისაგან ყველანაირი საშუალებით, მათ შორის იარაღის გამოყენების გზით"** - აცხადებს ივანოვი. თავდაცვის მინისტრი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული სამყაროს ქვეყნები რუსეთს ხშირად აკრიტიკებენ დემოკრატიის ნაკლებობის გამო და ბრალს სდებენ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმის შექმნაში.

ამგვარი საერთაშორისო კრიტიკის საპასუხოდ, ივანოვი სწორად აღნიშნავს, რომ **"ყველა დემოკრატიულ ქვეყანას ახასიათებს თავისი ეროვნული სპეციფიკა"**. იაპონური დემოკრატია განსხვავდება ინდური და ინგლისური დემოკრატიისაგან, იტალიის საპარლამენტო სისტემა არ ჰგავს ამერიკის საპრეზიდენტო სისტემას, რომელიც, ამავდროულად, განსხვავდება საფრანგეთის საპრეზიდენტო სისტემისაგან, ხოლო საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა არის სრულიად განსხვავებული მეოთხე რესპუბლიკისაგან, რომელსაც რაღაც მსგავსება აქვს იტალიის საპარლამენტო სისტემასთან. ასე რომ, არავის შურს რუსეთის ინდივიდუალურობის.

ივანოვი შეცდომას მაშინ უშვებს, როდესაც ის დემოკრატიის მსაზღვრელად სუვერენულს იყენებს. სწორედ ამგვარი ხედვა განაპირობებს რუსეთის გადახვევას იმ ნორმებიდან და პრინციპებიდან, რასაც მთელი დემოკრატიული სამყარო იზიარებს: უმრავლესობის მმართველობა, უმცირესობის უფლებები, კანონის უზენაესობა, ძირითადი სამოქალაქო უფლებები და თავისუფლება, მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის თავისუფლება და კერძო საკუთრების გარანტირებული უფლება. ამასთან ერთად, მანიაკალურია როგორც საგარეო, ასევე ქვეყნის შიგნით არსებული კრიტიკის საპასუხოდ მუქარა ძალისმიერი მეთოდებით.

ბევრისათვის გაუგებარია რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებები. ერთი მხრივ, ივანოვი აღნიშნავს, რომ **"რუსეთი ყოველთვის ცდილობდა მკაცრად დაეცვა ჩაურევლობის პრინციპი"**, ხოლო მეორე მხრივ, ის აცხადებს, რომ **"მსოფლიოს ყველა დიდი ძალა არის ჩართული სპეციალურ იდეოლოგიურ გეგმაში, რაც მათ სხვებისაგან განსხვავებით, ანიჭებს უფლებას, რომ განსაზღვრონ და აკონტროლონ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და კაცობრიობის განვითარების გზები დასახონ"**.

შესაძლოა, მოსკოვის ასეთი ყურადღება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, წარმოადგენს საფუძვლის მომზადების მცდელობას დნესტრისპირეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში შემდგომი ქმედებებისთვის. უდავოდ ნათელია, რომ რუსეთის სწორედ ასეთმა "ზრუნვამ" კაცობრიობაზე, განაპირობა მის მიერ საქართველოსთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა გასულ ზამთარს და ქართულ ღვინოზე, წყალზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ემბარგოს დაწესება.

სულ ახლახან, 19 აგვისტოს, ორმა რუსულმა სამხედრო შვეულმფრენმა გადაუფრინა საქართველოს, ზუგდიდის რაიონს. რამდენიმე დღის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრეგორი კარასინმა განაცხადა, რომ მოსკოვი აფხაზეთის (რომელსაც რუსეთი საქართველოს ნაწილად აღიარებს) ამჟამინდელი მცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტების უკანონო დარიგებას განიხილავს პოტენციურ წინაპირობად რეგიონში უფრო მეტად ჩარევისათვის. **"ჩვენ ვერ მივატოვებთ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ,"** - განაცხადა კარასინმა "იზვესტიისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ პუტინს ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავს დრო საქართველოს პრეზიდენტთან ივლისში ჩაშლილი ვიზიტის ხელახალი დაგეგმისათვის.

ამრიგად, კრემლი ძალიან მკაცრ პოლიტიკას ატარებს. ივანოვის აზრით, რუსეთს მხოლოდ მტრები ჰყავს: **"პირველ ბანაკში სუსტი ოპონენტები არიან"**, ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც მხოლოდ აკრიტიკებენ რუსეთს და **"არ მოსწონთ რუსეთის დამოუკიდებლობა, ძლიერება და თავდაჯერებულობა"**. ივანოვი მეორე ბანაკში აერთიანებს მათ, ვინც **"ტერორისტული ომი გამოუცხადა მთელს ცივილიზებულ სამყაროს"**. რა თმა უნდა, ივანოვის ამგვარი მიდგომა ძალზე არასასიამოვნოა, თუმცა, ქვემოთ თავდაცვის მინისტრის დოქტრინის ყველაზე მანიაკალური შეხედულებებით დატვირთული ნაწილი მოდის.

რუსეთმა უნდა შეასუსტოს და დააშინოს თავისი სუსტი ოპონენტები და წინააღმდეგობა გაუწიოს ტერორისტებს. **"არსებული გეოპოლიტიკური რისკის ფონზე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების სრულყოფას, რომელთაც შეუძლიათ აგრესორის განადგურება საპასუხო შეტევის ან კონტრშეტევის შედეგად"**. ამისათვის, ისინი აღჭურვილნი არიან Topol-M ტიპის სახმელეთო რეაქტიული სისტემის მქონე რაკეტებით და ძალიან მალე მიიღებენ Bulava-30 ტიპის საზღვაო რეაქტიული სისტემის რაკეტებს.

ამ იარაღში უკეთ გასარკვევად, მინდა აღვნიშნო, რომ Topol-M, რომელიც რუსეთში ცნობილია როგორც RS-12M, ხოლო NATO-სთვის როგორც SS-27, არის თანამედროვე, 10 500 კილომეტრი რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტა, რომელიც აღჭურვილია 550 კილოტონა სიმძლავრის ქობინით. თუმცა მოსკოვის თბოტექნოლოგიების ინსტიტუტი ამჟამად მუშაობს ამ რაკეტის სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქობინით აღჭურვაზე. ხოლო Bulava-30 კი არის Topol-M-ის 10 000 კილომეტრი რადიუსის მქონე საზღვაო ვერსია, რომელიც NATO-სთვის ცნობილია როგორც SS-NX-30. ივანოვის განცხადებით, ამგვარ ტექნოლოგიებს შეუძლიათ არსებული და მომავალი თავდაცვის გაუმჯობესება.

ივანოვის მტკიცება, რომ **"სამხედრო სფეროს განვითარებაში უდიდესი ყურადღება მიექცევა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების გაძლიერებას"** არანაირად არ უთავსდება შეხედულებას, რომ იგი ზედმეტად ენდობა სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას.

ეს შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს 2000 წლის 14 იანვარს გამოქვეყნებული რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პროექტთან, რომელიც თავის მხრივ ბირთვული შეიარაღების გაძლიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, რათა კომპენსირებული იქნას რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების სისუსტე. უფრო მეტიც, ივანოვი, ეჭვგარეშეა, აცნობიერებს "დიადი" რუსეთის უძლურებას **"ერთადერთი ძალის ცენტრის, რომელიც პლანეტაზე დომინირებას ცდილობს"** წინაშე - აშშ-ს ასეთი განსაზღვრებისას შეუძლებელია, არ გაგიჩნდეს ცივი ომისდროინდელი მოგონებები.

ივანოვი ცხოვრობს სხვა სამყაროში. მისი დოქტრინა კომიკური იქნებოდა, რომ არ იყოს სამწუხარო, წრფელი და საშიში იმ მსოფლიოსათვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. და ამის შეცვლა შეუძლებელია მანამდე, ვიდრე რუსეთი, ივანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის "დემოკრატიული, დამოუკიდებელი, ძლიერი და თავდაჯერებული ქვეყანა".

*ელჩი დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის პოლიტიკურ სწავლებათა ინსტიტუტის უფროსი ექსპერტი და საქართველოს უსაფრთხოებათა ანალიზის ცენტრის დირექტორი.*

# ოსებმა ოქრუაშვილის შვეულმფრენს ესროლეს

პირველი გვერდიდან

"იროკეზს" ოსურმა მხარემ ცეცხლი მაშინ გაუხსნა, როდესაც ის ზნაურის რაიონიდან ცდილობდა საზღვრის გადალახვას. ამის შესახებ "რია ნოვისტისთან" საუბარში სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამაც განაცხადა. გაგლოევას მტკიცებით, ქართული მხარე ხშირად არღვევს ოსეთის საჰაერო სივრცეს, აქედან გამომდინარე, ოსეთის თავდაცვის ძალები იძულებული გახდნენ 3 სექტემბერს, 15 საათსა და 40 წუთზე შვეულმფრენის ჩამოგდების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო. ვერტმფრენი ზნაურის რაიონის ტეროტორიაზე ჩამოვაგდეთ, - იუწყებოდა გაგლოევა.

ცხინვალის რეგიონში ქართული შვეულმფრენისათვის ცეცხლის გახსნის ფაქტი დაადასტურა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა, რომელიც დეტალებზე არ საუბრობდა.

როგორც "24 საათს" თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნანა ინწკირველმა განუცხადა, ოსებმა მართლაც გაუხსნეს ცეცხლი შვეულმფრენს, რომელშიც თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსისი მოადგილე იმყოფებოდნენ. **"თავდაცვის მინისტრი გენშტაბის უფროსის მოდგილესთან, ზაზა გოგავასთან ერთად სენაკის მიმართულებით მიფრინავდა. საჩხერის მიდამოებში, სოფელ კორბოულიდან 8-10 კილომეტრის დაშორებით ოსებმა შვეულმფრენს ცეცხლი გაუხსნეს. ისროდნენ სხვადასხვა ტიპის ავტომატიდან და კიდევ იარაღის სხვა სახეობიდან, რომელიც ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ძირითადად დაზიანდა ვეტმფრენის უკანა ნაწილი. მინისტრის ვერტმფრენი დაფრინდა ხაშურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს იყო ავარიული დაშვება"**, - განაცხადა ინწკირველმა ჩვენთან საუბრისას.

იგივე დაადასტურა ირაკლი ოქრუაშვილმაც, რომელის საგანგებო ბრიფინგის შესახებ ქართულმა ტელევიზიებმა სიუჟეტები გადასცეს.

**"ისინი იყვნენ ოსური შეიარაღებული ბანდფორმირებები. ოსური მხარე ძალიან მიეჩვია განცხადებების გაკეთებას, თითქოს ქართული შვეულმფრენები არღვევენ ე.წ. ოსეთის საჰაერო სივრცეს, რაც იდეაში და ბუნებაში არ არსებობს. ყველა მინდა შეეგუოს ერთ ამბავს, ამ ბანდიტების პარპაში ძალიან მალე ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება,"** - საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ოსური მხარის ბრალდებები კატეგორიულად უარყო და პირიქით, ოსები დაადანაშაულა ქართულ მხარეზე გახშირებულ თავდასხმაში. ოქრუაშვილის თქმით, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ოსებმა ქართულ შვეულმფრენს ცეცხლი გაუხსნა.

გუშინ გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ოსმა სეპარატისტებმა 28 აგვისტოს ცეცხლი გაუხსნეს იმ შვეულმფრენსაც, რომელიც აცილებდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოში სტუმრად მყოფი ამერიკელი სენატორის მაკკეინის ვერტმფრენს.

ორი სექტემბრის ინციდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი გამოეხმაურნენ. ნოღაიდელმა ოქრუაშვილის ვერტმფრენზე თავდასხმა შეაფასა როგორც პროვოკაცია და თავხედობა. კოტე გაბაშვილმა სატელევიზიო ეთერით განაცხადა, რომ ინციდენტს პოლიტიკური რეაგირება მოჰყვება.

# ცესკო-მ მანდატების რაოდენობა დაამტკიცა

ნათია მსხილაძე

ცესკო-მ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, თბილისის მრავალმანდატიან ადგილობრივ ოლქებში მანდატების რაოდენობა დაამტკიცა. მანდატების რაოდენობა ასე გადანაწილდა: მთაწმინდის მრავალმანდატიანი ადგილობრივი ოლქი - 2 მანდატი; ვაკის ოლქი - 2 მანდატი; საბურთალოს ოლქი - 3 მანდატი; კრწანისის ოლქი - 2 მანდატი; ისნის ოლქი - 3 მანდატი; სამგორის ოლქი - 3 მანდატი; ჩუღურეთის ოლქი - 2 მანდატი; დიდუბის ოლქი - 2 მანდატი; ნაძალადევის ოლქი - 3 მანდატი; გლდანის ოლქი - 3 მანდატი.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ ოთხი - ჩხალთას, აჟარის, გენწვისისა და ომარიშარის საარჩევნო უბანი შეიქმნება. თითოეულ უბანს თითო მაჟორიტარი კანდიდატი ეყოლება, პარტიული სიით კი, ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო 10 წევრით დაკომპლექტდება. სულ, აჟარის თემს 14-კაციანი საკრებულო ეყოლება.

კოდორის ხეობაში 2482 ადამიანი ცხოვრობს, საიდანაც დაახლოებით 1000 ამომრჩეველია. მდგომარეობის ადგილზე გასაცნობად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, გურამ ჩალაგაშვილი და კომისიის წევრი ლუხუმ ბურჯალიანი კოდორის ხეობაში ჩავიდნენ. მათ ის შენობა მოინახულეს, სადაც N86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისია უნდა განთავსდეს.

5 ოქტომბერს საკრებულოს არჩევნებს არასამთავრობო ორგანიზაციები დააკვირდებიან. მათი რეგისტრაცია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე დაასრულა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებლობის უფლება შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას მიეცა. ესენი არიან: "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "ახალგაზრდული კავშირი ინიციატივა", "სტუდენტობა NATO-სთვის", " საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" და "ახალგაზრდულ ინიციატივათა მხარდაჭერის ცენტრი".

ცესკო-მ რეგისტრაციაზე უარი სამ არასამთავრობო ორგანიზაციას - "ლტოლვილთა და უმცირესობათა პრობლემების ინსტიტუტს", "საქართველოს ახალგაზრდულ ასოციაციას" და " სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრს" - უთხრა.

# კონდოპოგას სინდრომი

პირველი გვერდიდან

ზოგიერთი წყაროს ცნობით, რამდენიმე კავკასიური წარმოშობის მოქალაქემ სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

გუშინ კონდოპოგაში კარელიის რესპუბლიკის მეთაური სერგეი კატანანდოვი ჩავიდა. "ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ეთნიკურ კონფლიქტში გადაიზარდოს", - განაცხადა კატანანდოვმა და ქალაქის მოსახლეობას როგორც მკვლელების, ასევე კონფლიქტის ორგანიზატორების დასჯას დაჰპირდა.

გარდა ამისა, რესპუბლიკის მეთაურმა განაცხადა, რომ "მისი თხოვნის საფუძველზე" ჩეჩნურმა დისაპორამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამი ჩეჩენი სამართალდამცველებს "გადასცა".

კავკასიელთა მიმართ აგრესია რუსეთის მასშტაბით ახალი მოვლენა არ არის. თუმცა აქამდე ეს ძირითადად ერთეულ მოქალაქეებზე თავდასხმებში გამოიხატებოდა. არარუსული წარმოშობის ადამიანთა მკვლელობები ეთნიკურ ნიადაგზე რუსეთის ქალაქებში უკვე დიდი ხანია ჩვეული მოვლენაა. თუმცა მასობრივი დარბევები პირველად სწორედ კონდოპოგაში მოხდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს გარდაუვალიც იყო. ქსენოფობიის დონე რუსეთის საზოგადოებაში მატულობს, რასაც არაერთი გამოკვლევა ადასტურებს. ამას ხელს სახელმწიფო პროპაგანდაც უწყობდა მრავალი წლის განმავლობაში. სიტუაციის გამწვავებას ასევე ხელს უწყობს სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულობა და რუსეთში უამრავი ეთნიკური პრინციპით დაკომპლექტებული ბიზნეს და კრიმინალური დაჯგუფების არსებობა. სამართალდამცავები, ერთის მხრივ, ვერ იცავენ მოქალაქეებს ასეთი ჯგუფების თვითნებობისაგან და, მეორეს მხრივ, ვერც არარუსული წარმომავლობის ადამიანებს იცავენ ძალადობისაგან. ხშირად ისინი მოძალადეებს თანაუგრძნობენ კიდეც.

ის, რაც 35 ათასიან ქალაქში მოხდა, ხვალ შესაძლოა გაცილებით დიდი მასშტაბის მოვლენად გადაიქცეს. კონდოპოგა რუსეთის ათასობით ქალაქისაგან არაფრით განსხვავდება, ხოლო მზარდი ქსენოფობია და აგრესია რუსეთისათვის უდიდესი საფრთხის შემცველი სისტემური პრობლემაა, რომლის გადაჭრის გზებს ჯერ ვერავინ ხედავს.

# ლუდსახარში კომპანია "ბალტიკა"

აუდიტორულმა ფირმამ PriceWaterhouseCoopers და გაზეთმა Financial Times ჩაატარეს გამოკვლევა - "მსოფლიოს ყველაზე პატივცემული კომპანიები", რომლის მიხედვითაც, ლუდსახარში კომპანია "ბალტიკა" ზედიზედ მეორე წელია რუსეთის ყველაზე პატივცემული კომპანიების ხუთეულში მყარად ინარჩუნებს ადგილს. წელს კომპანიის კაპიტალიზაციამ 5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამ მაჩვენებლით "ბალტიკა" რუსეთის 15 ყველაზე ძვირადღირებულ კომპანიათა რიცხვში შევიდა.

ლუდსახარში კომპანია "ბალტიკას" ისტორია 1990 წლიდან იწყება. სწორედ ამ წელს გაჩნდა სავაჭრო ქსელში ლუდისპირველი პარტია. თავდაპირველად საწარმო სახელმწიფო სტანდარტის მიერ დაწესებულ ლუდის სახეობებს - "ჟიგულევსკოე", "რიჟსკოე", "მოეკოვსკოე" აწარმოებდა.

1992 წელს კომპანია განვითარების ახალ ფაზაში გადადის. საწარმოში მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად იგი ღია სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა. "ბალტიკას" აქციონერი 28 იურიდიული და 2 ათასზე მეტი ფიზიკური პირი გახდა. კომპანიის უმსხვილესი აქციონერია საერთაშორისო კონცერნი BALTIC BEVERAGES HOLDING AB.

ამ დროიდან იწყება ლუდის ჩამოსხმა სავაჭრო ნიშნით "ბალტიკა", რომელიც ძალიან მოკლე ხანში ნაციონალურ ბრენდად იქცევა.

უკვე მრავალი წელია "ბალტიკა" ნომერ პირველი ლუდია რუსეთში, ხოლო 2002 წლიდან იგი მყარად ინარჩუნებს გაყიდვის მიხედვით მეორე ადგილს ევროპაში.

2005 წლიდან "ბალტიკა" კიდევ უფრო ამბიციურ მიზანს ისახავს. იწყება გაერთიანების პროცესი გგნ ჰოლდინგში შემავალ სხვა რუსულ კომპანიებთან - "ვენა", "პიკრა" და "იარპივო".

კომპანიის ხელმძღვანელთა თქმით, გაერთიანების პროცესი 2006 წლის ბოლომდე დასრულდება.

გაერთიანების შემდეგ კომპანია "ბალტიკა" რუსეთის ცხრა რეგიონის მასშტაბით ათი ლუდსახარში ქარხანის მფლობელი გახდება, რომელთა საერთო სიმძლავრე 40 მილიონ ჰექტოლიტრს გადააჭარბებს. ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით "ბალტიკას" ყველა ქარხანა მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება და ამ თვალსაზრისით ბევრ ცნობილ რუსულ და ევროპულ ლუდსახარშ საწარმოსაც უსწრებს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, გაერთიანების პროცესის დასრულების შემდეგ რუსული ლუდსახარში წარმოების ლიდერი "ბალტიკა" ბაზრის 35 პროცენტს დაიკავებს და 11 ათასი ადამიანის სამუშაო ადგილი გახდება.



წარმატების გარანტად კომპანიის მესვეურები წამყვანი ბრენდების იმ უნიკალურ პორტფელს, რომელსაც "ბალტიკა" დღეს უკვე ფლობს - "ბალტიკა", უმსხვილესი ბრენდი რუსეთში და მეორე ევროპაში გაყიდვების მიხედვით;

"არსენალნოე", მეორე ბრენდი რუსეთში და ეკონომიკური სეგმენტის ლიდერი;

"ნევსკოე", ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი რუსული ლუდის ბაზრის სეგმენტში;

"იარპივო", ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი საშუალოფასიან სეგმენტში; Tuborg, წამყვანი ლიცენზირებული ბრენდი რუსეთში და ასევე სხვა ცნობილი ლიცენზირებული ბრენდები - Carlsberg, Foster`s, Kronenbourg 1664; წამყვანი რეგიონული ბრენდები, ისეთები როგორიცაა "დვ", "კუპეჩესკოე", "ურალსკი მასტერ" და "ვოლგა".

გავლენიანი ბიზნეს-გამოცემები მუდმივად აღნიშნავენ "ბალტიკას" მიღწევებს მარკეტინგის სფეროში.

პრესტიჟული წოდების "წლის ბრენდი/EFFIE 2005" -ის მფლობელი სწორედ "ბალტიკა" გახდა.




2005 წლის ოქტომბერში კი ჟურნალმა "BusinessWeek-Россия" გამოქვეყნა ყველაზე ძვირადღირებული რუსული სავაჭრო ნიშნების რეიტინგი, რომელიც საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანია Interbrand Zintzmeyer & Lux AG -მ შეადგინა. 1701 მილიონ ამერიკულ დოლარად შეფასებულმა ბრენდმა "ბალტიკამ" ამ რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა.

საერთო ჯამში ბრენდ "ბალტიკას" დღეისათვის 250-ზე მეტი რუსული და საერთაშორისო ჯილდო აქვს აღებული.

"ბალტიკა" უკვე რამდენიმე წელია რუსული ლუდის უმსხვილეს ექსპორტიორად რჩება. "ბალტიკას" პროდუქციი ექსპორტი 40-მდე ქვეყანაში ხორციელდება, მათ შორის აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, ირლანდიაში, ფინეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩინეთში, ირანში. "ბალტიკას" პროდუქციის წილი საერთორუსული ლუდის ექსპორტის 70 პროცენტს აღემატება.

ლუდსახარში კომპანია რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ გადამხდელად ითვლება.

ზედიზედ მეორე წელია "ბალტიკას" "სანკტ-პეტერბურგის საუკეთესო გადასახადების გადამხდელის" წოდებას ანიჭებენ.

წელს "ბალტიკა" რუსული პოპულარული როკ-ფესტივალის "ნაშესტვიეს" გენერალურ სპონსორად გამოვიდა. რიაზანში გამართულ ფესტივალზე "ნაშესტვიეს" ორგანიზატორები 30 ათას მაყურებელს ელოდნენ, თუმცა როკის მოყვარულთა რიცხვმა 100 ათას გადააჭარბა. ფესტივალის ასეთ წარმატებას "ნაშესტვიეს" ორგანიზატორები "ბალტიკას" მაღალი კლასის მენეჯმენტს უკავშირებენ. ცოცხალი მუსიკა, წარმოუდგენელი ენერგეტიკა და კარგი ლუდი - მეტი რა უნდა ნამდვილ მელომანებს...

რიაზანში "ბალტიკამ" 100 მეტი მაცივარი და ამდენივე ლუდის ჩამოსასხმელი აპარატი ჩაიტანა. ლუდს სპეციალურ სავაჭრო ჯიხურებში, მაღალი დონის მომსახურებით ყიდდნენ. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ამ ჟესტით "ბალტიკამ" ლუდის მოხმარების კულტურის დამკვიდრებას შეეცადა.

"ბალტიკის" წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მსგავსი ფესტივალების დაფინანსება კომპანიას კომარციული მოგებისთვის არ სჭირდება - "ჩვენ გვინდა ახლოს ვიყოთ ჩვენს მომხმარებელთან...ცოცხალ როკს და კარგ ლუდს ყველაზე განსხვავებული ადამიანების გაერთიანებაც შეუძლია," - აცხადებენ "ბალტიკაში".

# მთავრობა კახეთში დაბანაკდა

*მთავრობამ "რთველი 2006"-ის წარმატებულად ჩატარებისთვის სამოქმედო გეგმა უკვე დაამტკიცა და აამოქმედა. გურჯაანში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელიც რთველის მიმდინარეობას გააკონტროლებს და მას სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი უხელმძღვანელებს. მთავრობის დანარჩენი წევრები კი შემდეგნაირად გადანაწილდნენ: თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი თელაველებს მიაქცევს ყურადღებას, გენპროკურორი ზურაბ ადეიშვილი მშობლიურ რაიონში - ყვარელში გაამწესეს, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი სიღნაღის რაიონს მიხედავს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთში ყურძნის უხვ მოსავალს ელიან. რთველი-2006 დაწყებულად ოფიციალურად დღეს გამოცხადდება. ამ დროისათვის შემოდგომის ნობათის დაბინავება დედოფლისწყაროელმა მევენახეებმა დაიწყეს.

როგორც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, შარშანდელთან შედარებით, წელს რთველი უფრო რთულად ჩატარდება. ამის მიზეზად სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ემბარგოს ასახელებს. მინისტრს მიაჩნია, რომ საქართველო რუსეთთან "ღვინის ომს" მოიგებს. სწორედ ამის გამო, მთავრობის წარმომადგენლებს, პრეზიდენტის დავალებით, კახეთში ცხოვრება ერთი თვის განმავლობაში მოუწევთ. სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კი, უკვე ორი დღეა, რაც გურჯაანის სასტუმრო "რეზშია" დაბინავებული, სადაც ოპერატიული შტაბია გახსნილი.

**"რამდენიმე დღეა კახეთში ვიმყოფები და ჩემი ოფისიც მთლიანად გურჯაანშია გადმოტანილი. შესაბამისად, გახსნილია ოპერატიული შტაბი, სადაც დეტალურად არის გაშიფრული, თუ თითოეული სოფლიდან რა რაოდენობის მოსავალს უნდა ველოდოთ. გარდა ამისა, ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ ლოჯისტიკას. მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი რთველი არ არის მარტივი. ეს არის დიდი ომი, რაც რუსეთმა გამოგვიცხადა. შესაბამისად, ჩვენც საომარ სიტუაციაში ვიმყოფებით, მაგრამ ყველას გულის გასახეთქად შევძლებთ, რომ რთველმა წარმატებულად ჩაიაროს,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

სტატისტიკური მონაცემებით, წელს კახეთში 100 ათას ტონა ყურძენს ელიან. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი ამბობს, საქართველოს მასშტაბით, ყურძნის ჩასაბარებლად უკვე 50 საწარმოა მზად. 20 სექტემბრიდან კი, კახელი გლეხის მოსავალს გურჯაანში ახლადაშენებული მინი-საკონსერვო ქარხანაც მიიღებს, რომელიც სახელმწიფო სახსრებით გაკეთდა. თუმცა, ამ ეტაპზე გლეხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოწეული მოსავლის ფასია. ამ პროცესებში კი, სახელმწიფო ჩარევას არ აპირებს. ქარხნები ყურძენს საკუთარი სახსრებით შეიძენენ. მთავრობა მეწარმეებს მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით თანხების მოძიებაში დაეხმარება. **"მინდა ცალსახად განვაცხადო, რომ სახელმწიფო არ შეისყიდის ყურძენს და არც მის ფასებში ჩაერევა, მაგრამ ჩვენ დავეხმარებით მოსახლეობას და მივაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელი ქარხანა მიიღებს მათ მოსავალს, რომელ დღეს დაიწყებს ესა თუ ის საწარმო მუშაობს, ვის რა მოთხოვნა ექნება და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ კერძო სექტორი ძალიან აქტიურია და მათი საშუალებით, მოსვალი სხვადასხვა რეგიონებში იქნება გატანილი,"** - აღნიშნავს სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელიც არც იმას გამორიცხავს, რომ შეიქმნას გარკვეული პრობლემები. **"აპელაცია ადგილწარმოშობის ღვინოებზე წელსაც გაკონტროლდება. არ გამოვრიცხავ, რომ იყოს სირთულეები, მაგრამ გლეხის საკეთილდღეოდ და მტრების გულის მოსაკლავად ყველაფერს გავაკეთებ,"** - ირწმუნება სვიმონიშვილი.

# ალექსი ალექსიშვილი ინფლაციის ზრდის ტენდენციას გამორიცხავს



ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას გამორიცხავს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მთავრობის მიერ გატარებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგად აგვისტო დეფლაციური იყო, წლის ბოლომდე კი ინფლაციის მაჩვენებელი ერთციფრა ნიშნულამდე დაიწევს.

"აგვისტოში დეფლაციის მაჩვენებელმა, წინა თვესთან შედარებით, 0,4% შეადგინა. 12 თვის მონაცემებით, აგვისტოში ინფლაცია 13%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ივლისში მაჩვენებელი 14,5%-ს აღწევდა," - განაცხადა ალექსიშვილმა. მან პირობა დადო, რომ ინფლაციის პროცესი უკონტროლო არ იქნება. "შეშფოთების საფუძველს ვერ ვხედავ. მთავრობა ინფლაციის შესამცირებლად ყველა საჭირო ზომას მიიღებს," - დასძინა მინისტრმა. **ინტერპრესნიუსი**

# "კრისტალი 99"-ში მიწის ინტერესი უფრო აქვთ, ვიდრე ტანსაცმლის წარმოების

თინა შავაძე

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 2006 წლის 7 თვის განმავლობაში სულ გასხვისდა 109 700 000 აქცია, მაგრამ მათი აბსოლუტური რაოდენობა საბროკერო კომპანიების შუამავლობის გარეშეა განხორციელებული (სასამართლო გადაწყვეტილებები, არასაჯარო აქციები, პრივატიზაცია, მემკვიდრეობა და სხვა). როგორც სტატისტიკური სურათი ცხადყოფს, სახეზეა საფონდო აქტივობის ზრდა.

აქ ცხრილი

თუ 2006 წლის პირველი 7 თვის შედეგს შევადარებთ 2005 წლის ჯამურ შედეგს, ყველა პარამეტრი გადაჭარბებულია. საბროკერო კომპანიებს შორის ლიდერია საბროკერო კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი". კომპანიის წილად მოდის გარიგებათა 51,66 პროცენტი, გასხვისებული აქციების 56,85 პროცენტი და თანხობრივი ბრუნვის 52,70 პროცენტი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ბოლო კვირის მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ მსხვილი კომპანიების აქციები, რეალურ ღირებულებასთან შედარებით, საკმაოდ დაბალ ფასში იყიდება. გასული კვირის განმავლობაში საქართველოს საფონდო

**საქართველოს საფონდო ბირჟა**

სესია № 651 - 652/ *2006 წლის 28 აგვისტო - 4 სექტემბერი*

| დასახელება და ძირითადი აქტივი | კოდი | საშ.შეწ. ფასი | მოცულობა (ფ/ქ) | ღირებულება (ლარი) | საწესდებო კაპიტალი (აქციებში) | კაპიტალიზაცია ლარში | გასხვისწილი % | 2006წ დაფიქსირ ფასი მაქს. | მინ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს "ამალთეა" | AMA | 1,00 | 55 | 55 | 14783408 | 14783408 | **0,000** | 1 | 1 |
| სს "სახალხო ბანკი" | AMB | 0,84 | 67358 | 56580,7 | 10000000 | 8400000 | **0,674** | 1 | 0,5 |
| სს "საქართველოს ბანკი" | GEB | 17,3 | 4469 | 77548,2 | 14783409 | 255752976 | **0,030** | 17,3 | 10 |
| სს "კრწანისი 99" | KR99 | 2,2 | 116516 | 239785 | 369564 | 813040,8 | **31,528** | 2,5 | 1,5 |
| სს "ნინო" | NINO | 0,500 | 1 | 0,5 | 252270 | 126135 | **0,000** | 0,50 | 0,50 |
| სს "რუსთავგაზი" | RUGA | 0,300 | 94 552 | 28 365,6 | 253335 | 76000,5 | **37,323** | 0,30 | 0,30 |
| სს "საქლადა" | SLAD | 0,960 | 106 504 | 102 882,9 | 1620451 | 1555633 | **6,572** | 0,96 | 0,30 |
| სს "ტრანსმშენი" | TRMS | 1,360 | 865 | 1 176,4 | 970400 | 1319744 | **0,089** | 1,36 | 1,00 |
| სს "ელექტროკავშირი" | UTC | 0,62 | 28090 | 17497,1 | 103236684 | 64006744 | **0,027** | 1,05 | 0,20 |
| *სულ* | | | 418 410 | 523 891,14 | | | | | |

| კატეგორიები | საფონდო ბაზარი | საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი | % წილი მთლიან ბაზართან |
|---|---|---|---|
| **გარიგებების რაოდენობა** | 6,000 | 3100 | 51.66 |
| **გასხვისებული აქციები** | 39,400,000 | 22,400,000 | 56.85 |
| **თანხობრივი ბრუნვა (ლარში)** | 100,000,000 | 52,700,000 | 52.70 |

ბირჟაზე განხორციელდა 122 გარიგება 9 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე. ჯამური ბრუნვა 523891,14 ლარია და 418410 აქცია გასხვისდა. წილობრივი გასხვისებით აღსანიშნავია სს "რუსთავგაზი", სადაც გასხვისდა აქციათა 37,323 პროცენტი. ექსპერტების შეფასებით, ამ გარიგებაში დაფიქსირებული ფასი უცნაურია - ერთი აქცია 37 თეთრი.თერუსთავის გაზმომარაგება გასხვისდა 28365 ლარში (16000 აშშ დოლარი), რაც, რბილად რომ ვთქვათ, გაცილებით ჩამორჩება ასეთი ობიექტის რეალურ ღირებულებას. ეს იმ შემთხვევაში, თუ, ცხადია, ადგილი არ აქვს რაიმე სხვა გარიგებას, რაც არ არის დაკავშირებული აქციების ყიდვა/გაყიდვასთან. ასეთი ფასით გამოდის, რომ სს "რუსთავგაზი"-ს კაპიტალიზაცია უდრის 76000 ლარს (44000 დოლარზე ნაკლები). ძნელი დასაჯერებელია, რომ ქ. რუსთავის გაზის მონოპოლისტი განმანაწილებელი - სს "რუსთავგაზი"-ს 100 პროცენტი მხოლოდ 76000 ლარია (44000 დოლარი).

წილით მეორე ადგილზეა სს "კრისტალი 99". მაისიდან დღემდე გასხვისდა ამ საწარმოს 70 პროცენტზე მეტი წილი, ანუ ადგილი აქვს რეალურად სააქციო საზოგადოების გაყიდვას. სს "კრწანისი 99"-ის (გორგასლის ქუჩა, თბილისი) პროფილია ტანსაცმლის წარმოება. "საქართველოს საინვესტიციო ჯუფში" ამბობენ, რომ აქ ინტერესი უფრო მიწის მიმართ უნდა იყოს, ვიდრე ტანსაცმლის წარმოებისა. მესამე ადგილზეა სს "საქლადა" - გასხვისდა 6,5 პროცენტი ჯამური ბრუნვით 106504 ლარი. სხვა გარიგებებიდან აღსანიშნავია სს "სახალხო ბანკი"-ს 67538 ცალი აქციის გაყიდვა. ერთი აქცია 0,84 ლარში და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციის ფასის 0,02 ლარით შემცირება 0,62 ლარამდე.

# ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების გამართვას აპირებს

საქართველოს ეროვნული ბანკი 2006 წლის 18 სექტემბრიდან სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების გამართვას გეგმავს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკში სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის პრეზენტაცია გაიმართა.

მონეტარული რეგულირების ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ამოქმედების პერიპეტიებზე იმსჯელეს საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ბანკების ასოციაციისა და კომერციული ბანკების წარმომადგენლებმა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ დავით ამაღლობელის განმარტებით, "სადეპოზიტო სერტიფიკატები ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი, ქმედითი და თანამედროვე ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტის ამოქმედებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტიანად გატარების შესაძლებლობა მიეცემა. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების ჩატარება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ასევე ქვეყნის ფულადი ბაზრების განვითარებისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს დედოლარიზაციის პროცესს, ვინაიდან ბანკების მფლობელობაში გადავა ეროვნული ვალუტით დენომინირებული მოკლევადიანი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი. ამ გზით კომერციულ ბანკებს უჩნდებათ სახსრების ურისკოდ და მაღალლიკვიდურად დაბანდების საშუალება, რაც მათ თავიანთი საკრედიტო პორტფელების ოპტიმალურად და ეფექტიანად დივერსიფიკაციის გარანტიას მისცემს".

პრეზენტაციაზე საუბარი, ძირითადად, აუქციონის ჩატარების პროგრამული და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებზე წარიმართა. კომერციული ბანკების წარმომადგენლებს გაეცნოთ აუქციონის ელექტრონული ფორმით წარმართვის წესები.

შესაბამისი დებულების თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოშვების თარიღს, ვადიანობას, ემისიის მოცულობას და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს. **"კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ, მეორად ბაზარზე გაიტანონ და ერთმანეთში ივაჭრონ საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით. ისინი ასევე უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები, როგორც გირაო ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე და რეპო ოპერაციების დროს,"** - განაცხადა დავით ამაღლობელმა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელ ფუნქციას შეასრულებს.

სადეპოზიტო სერტიფიკატი არის ეროვნული ვალუტით დენომინირებული ფასიანი ქაღალდი, რომელსაც არამატერიალიზებული ფორმა აქვს. სადეპოზიტო სერტიფიკატების ღია, მთლიანად ავტომატიზებული აუქციონები ჩატარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში კვირაში სამჯერ, ერთი, სამი და ექვსი თვის ვადიანობის მქონე რესურსებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით იქნება აღჭურვილი. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, აუქციონებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ კომერციულ ბანკებს შეეძლებათ. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებისათვის დისკონტს კომერციული ბანკები აუქციონის ჩატარების დღესვე მიიღებენ. **მედიანიუსი**

## მოკლედ

### საქართველოს 10 მილიონი ევრო გამოეყო

საქართველო გრანტის სახით 10 მილიონ ევროს მიიღებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულს ითვალისწინებს ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (Food Security Programme) რომლის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება ევროკომისიამ წელს, 11 აგვისტოს მიიღო. დაფინანსების პროგრამას ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და ევროკომისიის დახმარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა რიჩარდ ვებერმა ხელი ამ დღეებში მოაწერეს. პროგრამის მიხედვით, 2006 წელს საქართველო 10 მილიონი ევროს ოდენობის გრანტს მიიღებს, საიდანაც 9,7 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება, ხოლო 0,3 მილიონი ევრო - პროგრამის ტექნიკური დახმარებაა. ფინანსური დახმარება სამ ეტაპად განხორციელდება. 1,5 მილიონი ევროს ოდენობის პირველ ტრანშს ქვეყანა უახლოეს დღეებში მიიღებს. მომდევნო ტრანშის მისაღებად კი ქართულმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულოს, რომლებიც სახელმწიფო ფინანსების, სტატისტიკის, სოციალურ და სოფლის მეურნეობის სფეროებში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად სათანადო ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### რეგიონებში გაზმომარაგების აღდგენის პრობლემა ჯერჯერობით ვერ მოგვარდა

ენერგეტიკის სამინისტროში გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ამ ეტაპზე გათიშულ რეგიონებში გაზმომარაგება არ აღდგება, ხოლო მოლაპარაკებები ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო დაგროვილი დავალიანების გადახდის მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებით გაგრძელდება. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" კომპანია "იტერა-საქართველოს" წარმომადგენლობაში განუცხადეს. რეგიონებში გაზმომარაგებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე მოლაპარაკებები პარასკევს, საღამოს, ენერგეტიკის სამინისტროში გაიმართა. ამ მიზნით, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალეკო ხეთაგური რეგიონებში გაზის მეურნეობების ხელმძღვანელებს და კომპანია "იტერა-საქართველოს" გენერალურ დირექტორს დავით ბერაძეს შეხვდა. **"ამ ეტაპზე მდგომარეობა უცვლელი რჩება. მოლაპარაკებები მომავალ სამშაბათს გაგრძელდება. შესაძლოა, სახელმწიფომ გაზის მეურნეობებს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მისცეს სესხი. ასევე საბოლოოდ უნდა დაზუსტდეს ვალების ოდენობა და სხვა,"** - აცხადებენ "იტერა-საქართველოს" წარმომადგენლობაში. ამ დროისთვის მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო "იტერა-საქართველო" ბუნებრივ აირს არ აწვდის თელავს, ზესტაფონს, კაჭრეთს, ყვარელს, სიღნაღს, წნორს და ლაგოდეხს. ჯამში მათი დავალიანება 387 000 ლარს აღწევს. აღნიშნულ ქალაქებს ბუნებრივი აირის მიწოდება კომპანიამ ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა დროს შეუწყვიტა. ზოგიერთ ქალაქს გაზმომარაგება ორი თვის წინ შეუწყდა, ნაწილს კი ბუნებრივი აირი ორიოდე კვირაა, რაც არ მიეწოდება. მოხმარებული გაზის საფასურის გადაუხდელობის გამო გაზმომარაგების შეწყვეტა ემუქრება ხაშურს, რომლის დავალიანება 125000 ლარს აღწევს, მარნეულს, რომლის დავალიანება 199 000 ლარია და 43 000-ლარიანი დავაიანების გამო - ნორიოს. **ინტერპრესნიუსი**

### ფისკალური უწყებების წარმომადგენლები ბალტიისპირეთის ქვეყნებს ესტუმრებიან

ფინანსთა სამინისტროს ფისკალური უწყებების - ფინანსური პოლიციისა და საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით ბალტიისპირეთის ქვეყნებს ეწვევიან, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ჟურნალისტებს შაბათს, ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განუცხადა.

მინისტრის მოსაზრებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებში გამართული სამუშაო შეხვედრა ქართულ ჯგუფს სამი ფისკალური უწყების გაერთიანების პროცესში დაეხმარება. **"ამ ქვეყნებს ფისკალური უწყებების გაერთიანების გამოცდილება უკვე გააჩნიათ, ქართული ჯგუფი გაითვალისწინებს იმ პრობლემებსა და გამოცდილებებს, რაც ამ ქვეყნებმა მიიღეს და რაც ჩვენ გაერთიანების პროცესში დაგვეხმარება,"** - განმარტა ალექსიშვილმა. ფისკალური უწყებების წარმომადგენლებისგან შემდგარი ქართული დელეგაცია ბალტიისპირეთის ქვეყნებში 4 სექტემბერს გაემგზავრება. **ჯიბისი**

### გაზიფიცირებისა და ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის კონკურსი ცხადდება

ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ასევე ზღვისპირა ზოლის - მდინარე ჩოლოქიდან სარფამდე გაზიფიცირებისა და ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კონკურსს აცხადებს.

როგორც სამინისტროში განაცხადეს, კონკურსზე გამოტანილია ბათუმსა და ქობულეთში მდებარე 8,2 კმ და 23 კმ ბუნებრივი აირის მილსადენები, ასევე ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ახალი გაზსადენები უნდა აშენდეს.

საპრივატიზაციო ობიექტის საწყისი ფასი 1 მილიონი აშშ დოლარია. სამინისტროს ინფორმაციით, კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს გაზიფიცირების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, დამტკიცება და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად აღნიშნული ტერიტორიის გაზიფიცირება და მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მან ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში უნდა დაფაროს. უპირატესობას სამინისტრო იმ პირს მიანიჭებს, რომელიც მაქსიმალურ თანხას გადაიხდის. კონკურსი ბათუმში, 26 სექტემბერს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ენგურჰესის" მე-2 აგრეგატის რეაბილიტაცია ნოემბერში დასრულდება

"ენგურჰესის" მე-2 აგრეგატის რეაბილიტაცის პროცესი ნოემბრისათვის დასრულდება და ქვეყნის ენერგომომარაგებას დამატებით 260 კლვტ/სთ შეემატება. "მე-2 აგრეგატის რეაბილიტაციის შემდეგ კი პირველი აგრეგატის რეაბილიტაციას შევუდგებით," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის მენეჯერმა მალხაზ ცქვიტარიძემ.

მისივე ინფორმაციით, "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროცესი წელიწადნახევარში უნდა დასრულდეს. თითოეული აგრეგატის რეაბილიტაციისათვის კი 6.5 მილიონი ლარია გამოყოფილი.

შეგახსენებთ, რომ უკვე დასრულებულია "ენგურჰესის" მე-3 აგრეგატის რეაბილიტაცია, რომელიც დღეისათვის 260 კვტ/სთ ენერგიას გამოიმუშავებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

თიბისი ბანკი TBC Bank

სიახლე! - 21 აგვისტოდან თიბისი ბანკი გთავაზობთ სტუდენტურ სესხებს!

სესხის მიღება შეუძლია ყველა აბიტურიენტს, ვინც წარმატებით გაიარა 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები!

- ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი - წლიური 14% -დან ლარში/დოლარში.
- სისწრაფე - სესხის გაცემა მხოლოდ ერთ საათში.
- განსაკუთრებული სიმარტივე I და II რეიტინგის სტუდენტებისათვის
  - სესხი გაიცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით;
  - არანაირი დამატებითი გარანტიების წარმოდგენა საჭირო არ არის.
- საჩუქრები
  - ჩიპური VISA Electron ბარათი.
  - ინტერნეტ ბანკი.
  - ბანკომატით თანხის შეტანა.

21 აგვისტოდან მიმართეთ სტუდენტური სესხების მომსახურების ცენტრს. სამუშაო საათები: 10სთ-დან 17სთ-მდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. მის.: თბილისი, ალმაშენებლის გამზ. 123, II სართული.

რეგიონებში მიმართეთ თიბისი ბანკის ფილიალებს.

სტუდენტური სესხები თიბისი ბანკისაგან
ჩვენ გვჯერა შენი წარმატების!

☎ 27 27 27 www.tbcbank.ge



## მოკლედ

### წელს აჭარაში 38 ათასმა სომეხმა ტურისტმა დაისვენა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰრაჩ სილვანიანი მიიღო. მთავრობის თავმჯდომარემ ელჩთან ტურიზმის საკითხებზე ისაუბრა. ჰრაჩ სილვანიანის განცხადებით, პროგნოზი, რომელიც აჭარაში მისი პირველი ვიზიტისას გაკეთდა, გამართლდა - მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, შარშანდელთან შედარებით აჭარას სომხეთიდან 2-ჯერ მეტი ტურისტი ეწვია და სამშობლოში დაბრუნებულები, როგორც დიპლომატმა განაცხადა, კმაყოფილები არიან.

1 სექტემბრის მონაცემებით, აჭარაში 38 ათასმა სომეხმა ტურისტმა დაისვენა. სომეხი დიპლომატის განცხადებით, სომხეთსა და საქართველოს შორის სამომავლოდ, ტურიზმის გარდა, თანამშრომლობა განათლების სფეროში იგეგმება. სექტემბრის ბოლოს ბათუმისა და ერევნის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდება. რაც შეეხება ბათუმში სომხეთის საკონსულოს გახსნას, სილვანიანის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტროები ამ საკითხს პოზიტიურ ჭრილში იხილავენ და სომხეთის საკონსულო ბათუმში, ალბათ, მომავალი წლისთვის ამოქმედდება. აღსანიშნავია, რომ 1 სექტემბერს ბათუმის პორტში სომხური საექსპედიციო გემი "კილიკია" შემოვიდა, რომელიც ორი წლის წინათ ფოთის პორტიდან გავიდა და ძველი სომხური სავაჭრო მარშრუტით იმოგზაურა. **მედიანიუსი**

### ჭიათურისა და ლაგოდეხის რაიონების ბიუჯეტს დამატებით თანხა გამოეყო

მთავრობის გადაწყვეტილებით, ჭიათურისა და ლაგოდეხის რაიონებს ბიუჯეტიდან დამატებით თანხა გამოეყო, ჭიათურას - ნახევარი მილიონი, ხოლო ლაგოდეხს - მილიონ 47 ათასი ლარი. ჭიათურის გამგებლის მამუკა გოგატიშვილის თქმით, თანხა წყალსადენის და გაზმომარაგების ქსელების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება.

**"400 ათასი ლარი გამოყოფილია წყალსაკანალიზაცო ქსელის რეაბილიტაციისათვის და აღდგენითი სამუშაოები ნოემბრის დასაწყისისათვის დასრულდება. 100 ათასი კი გაზსადენის რეაბილიტაციისათვის არის გამოყოფილი. დღეისათვის ჭიათურის მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტს გაზი მიეწოდება და გაზსადენის რეაბილიტაციის შემდეგ კი რაიონის მასშტაბით გაზიფიცირებული 90 პროცენტი იქნება,"** - განაცხადა ჭიათურის გამგებელმა მამუკა გოგატიშვილმა.

ლაგოდეხის რაიონში დამატებით მილიონ 47 ათასი ლარი, ძირითადად, გარეგანათებისა და სპორტული მოედნების მოწყობაზე დაიხარჯება.

გარკვეული თანხა კი გაზმომარაგების მილების რეაბილიტაციას მოხმარდება. აღდგება და გარემონტდება, აგრეთვე, სოფელ აფენის ხიდი, რომელიც ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ვიმპელკომი" ქართულ ბაზარზე აქტიურ საქმიანობას 2007 წლიდან დაიწყებს

რუსული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "ვიმპელკომი", რომელიც ქართულ ბაზარზე აქტიურ საქმიანობას 2007 წელს დაიწყებს, მომხმარებელთა რაოდენობას ზრდის.

2006 წლის მეორე კვარტალში "ვიმპელკომის" (სავაჭრო მარკა "ბილაინი") მომხმარებლთა რიცხვი 50,8 მილიონით გაიზარდა.

ანალიტიკოსების აზრით, ბილაინის კლიენტურის ზრდა ამ ორგანიზაციის აგრესიულმა სარეკლამო პოლიტიკამ განაპირობა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ კომპანია მომზადებული შეხვდა ზაფხულის სეზონს, როდესაც სტატისტიკის მიხედვით ფიჭური კავშირის მომხმარებელთა რიცხვი იზრდება.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ბილაინის წარმატება დაკავშირებულია მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრე იზოსიმოვის სახელთან, რომელიც კომპანიას 2003 წელში ჩაუდგა სათავეში. თუმცა არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ იზოსიმოვი თავის პოსტს ოქტომბერში დატოვებს, როდესაც მისი კონტრაქტი დასრულდება.

რამდენიმე სერიოზული ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ იზოსიმოვის წასვლა "ვიმპელკომიდან" კომპანიას დააზარალებს, რადგან იგი კარგი მენეჯერია.

დღეისთვის კომპანია მუშაობს არა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნოდარ ლადარია




რატომ გაუშვეს "რუსთავი-2"-დან **ნიკა ტაბატაძე**? - პირდაპირ დაგვისვა შეკითხვა **ია ანთაძემ** "24 საათის" 30 აგვისტოს ნომერში. რამდენადაც ვიცით, ტელეკომპანიის მფლობელის, **ქიბარ ხალვაშის** არგუმენტები "კურიერის" კოლექტივისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მაგრამ რა არგუმენტები? - ობიექტური და გულწრფელი "კურიერი" ამაზე არაფერს გვეუბნება. თუ საყოველთაო საფეხბურთო აჟიოტაჟს შევუერთდებით, მწარედ "გადირკული" შემოქმედებითი კოლექტივი "ღირსების გოლს" დასჯერდა და ორ გამოშვებაზე "გაიფიცა" - ოღონდ არა საღამოს ცხრასაათიანზე. რას იზამ, კოლეგისათვის თავგანწირვა არ ირიცხება ჩვენს გენეტიკურ ღირსებათა სიაში. იქ სხვა საქებარი თვისებები გვაქვს უხვად: გავიხსენოთ თუნდაც **სუმბათაშვილ-იუჟინის** მოგონებები იმის შესახებ, რომ როცა 1864 წელს, საქართველოში ბატონ-ყმობის გაუქმებისას მიწების დაყოფა მიმდინარეობდა, ყოველ ცალკეულ მაზრაში იმპერიული ჯარის დანაყოფები შედიოდნენ, რათა ერთი ოჯახის წევრებს, ძმებს თუ ბიძაშვილებს ერთმანეთი პირდაპირი მნიშვნელობით არ ამოეხოცათ ორიოდე "დესეტინისათვის". თუმცა ამხელა ისტორიული საბუთების მოხმობა სრულიად ზედმეტია: ყველანი, სხვათა შორის, თვით საკადრო ცვლილებების დამგეგმავებიც და განმახორციელებლებიც გუმანით გრძნობენ, რომ პირდაპირ ეთერში ხელოვნურად გარუჯული კანისა და ლურჯი საკონტაქტო ლინზების დემონსტრირების შესაძლებლობა განუზომლად ძვირფასია ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე.

მაგრამ მივუბრუნდეთ ია ანთაძის ვერსიას. ძირითადი პოსტულატი მოყირჭებამდე ნაცნობია: პოლიტიკური სარჩული. მაშ ასე: პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ბავშვებს ზღაპრებს უყვება, ეშმაკის ბორბალზე ერთობა, ამასობაში კი ქიბარ ხალვაშის მეგობარი **ირაკლი ოქრუაშვილი**, რომელიც გაღიზიანებულია **ვანო მერაბიშვილის** უწყების წილით ქართულ მედია-სივრცეში, სცენიდან აქრობს "ძალოვანთა" შორის მთავარ დამბალანსებელს ნიკა ტაბატაძეს. ერთი სიტყვით, მთელი დავიდარაბა მოცემულია როგორც ჯარსა და პოლიციას შორის ვიწრო საბნისთვის კინკლაობა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ შორეულ წარსულში, **ეროსი კიწმარიშვილის** წასვლის შემდეგ მცირე ხნით იელვა ჭორმა, რომ ქიბარ ხალვაში სინამდვილეში მხოლოდ გარეგანი გამოხატულებაა ირაკლი ოქრუაშვილის ფინანსური ინტერესებისა. ალბათ არც მთლად მასეა, მაგრამ ახლა ეს არ მაინტერესებს - კისერიც უტეხიათ. მე ია ანთაძის ერთი დასკვნა მაღელვებს: "**დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტიკა უფრო პოლიტიკის დამხმარე ხელობაა, ვიდრე საზოგადოების ინტერესების მოდარაჯეობა**". ახლა ის არაა მნიშვნელოვანი, ვინ შერჩება პირდაპირ ეთერს და ვის მოუწევს მშობლიურ წყალტუბოში დაბრუნება - მნიშვნელოვანი ისაა, გავარკვიოთ, რა საზრისი ძევს ია ანთაძის ამ ფატალურ მტკიცებაში.

შეგვიძლია დავსვათ, მაგალითად, ასეთი შეკითხვა: სად არაა ჟურნალისტიკა პოლიტიკის დამხმარე ხელობა? განა თვით სახელწოდება "მეოთხე ხელისუფლება" პირდაპირ არ რაცხს მედიას აქტიურ პოლიტიკურ ძალად? მაგრამ გავანებოთ თავი ფუნდამენტურ ცნებებს, მით უმეტეს, რომ მათი დამკვიდრებისთვის მოგვიწევს იმ ღრმად გამჯდარი მითის დანგრევა, თითქოს პოლიტიკა "ბინძური საქმეა". შეკითხვის უფრო კონკრეტული ვარიანტით შემოვიფარგლოთ: რა ჭირად უნდათ საქართველოში ძალაუფლების მქონე პირებს მედიის დახმარება?

ახლავე განვმარტავ, რისი თქმაც მსურს. გავიხსენოთ ია ანთაძის დასკვნის მეორე ნაწილი: ჟურნალისტიკა უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების მოდარაჯეობა. მართალია. გაკვრით შევნიშნოთ, რომ ეს სწორედ პოლიტიკური ფუნქციაა და არა სხვანაირი. მაგრამ მთავარი სხვაა: რა ინტერესები აქვს ჩვენს საზოგადოებას? - ძალიან მარტივი: ყველაფერში უპირატესობა ჰქონდეთ წმინდა სისხლის ქართველებს, არ ბოგინებდნენ იეღოველები, კათოლიკეები და ქალები, სკოლაში იზეპირებდნენ ადგილებს ჰაგიოგრაფიიდან, სახელმწიფო უნივერსიტეტში იძლეოდნენ სადღეგრძელოს სათქმელად საკმარის ცოდნას, ეთნოგრაფიულ მუზეუმში სუფევდეს "არტ-გენი", ტელევიზორში კი ისმოდეს მოზარდთათვის დასმული "ეტალონური" შეკითხვები: "აბა, ვინ იცის, როდისა აქვს დაბადების დღე უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს?". ვინა თქვა, რომ ჩვენი მედია ამ ინტერესების სადარაჯოზე არა დგას?

თუ აქტუალურ საზოგადოებრივ ინტერესებს ეტალონად მივიჩნევთ, მაშინ გამოვა, რომ ყველაზე მეტად ჟურნალისტიკის ფუნქციას საპატრიარქოსა და რუსეთის მიერ გახსნილი ახალი საკაბელო არხი "სიტყვა" ასრულებს, რომლის ეთერიდან **ედიშერ გიორგობიანი** ქართველ ერს დღენიადაგ იმას უქადაგებს, რომ ჩვენი ცხოვნება არ იქნება რომანოვების დინასტიის მეოხების გარეშე. ამას არც სხვები ჩამორჩებიან და მაგალითად თუნდაც რადიო "თავისუფლება" ავიღოთ, სადაც თვით ია ანთაძე მოღვაწეობს. უფრო ზუსტად კი ერთობლივი პროექტი ტელეკომპანია იმედთან "ჩაი და თავისუფლება" — წამყვანი, **თამარ ჩიქოვანი**.

ჯერ ერთი, ვერ გავიგე, რატომ ჰქვია ამ გადაცემას "ჩაი და თავისუფლება": მართალია, ეკრანზე მართლაც ჩანს ჩაი, მაგრამ ის არავითარ ფუნქციას არ ასრულებს — მხოლოდ **გაგა ნიჟარაძეს** ეყო უშუალობა, ერთხელ მოესვა მის წინ დადგმული ჭიქიდან. თუმცა ეს ჩაი მხოლოდ იმისთვის ვახსენე, რომ მეთქვა: პროექტი არ წარმოადგენს ტელეგადაცემას, ეს ვიზუალიზებული რადიოინტერვიუა. ეკრანზე მყოფებს სამი უძრავი კამერა იღებს — ერთი "ობში" და ორი "კრუპნი" პლანი. არავითარი მოძრაობა — წინასწარ იცი, ახლა ვის აჩვენებენ და რომელი რაკურსით. ციკლის არც ერთი გადაცემა არ შეიცავს შოუს ელემენტს, არ არის უშუალობის მცირე კვალიც, სტუმარი ზის გაწყობილ სუფრასთან, მაგრამ შეიძლება იჯდეს ნებისმიერ სხვა ადგილას, რადგან მას არ ელაპარაკებიან როგორც ადამიანს, მას იყენებენ. ერთი სიტყვით, ქართულ სექსსა ჰგავს — არავითარი პრელუდია, პირდაპირ საქმე! თუმცა საქმეც არაა მაინცდამაინც ნაყოფიერი...

აქ განხილულ თემებს ღრმა ინტელექტუალური საფუძველი მოეპოვება: "**მე სადღაც წავიკითხე...**", "**აი, ამბობენ, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს...**", "**გამიგია...**". დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ ამ ხერხით წამყვანი საქართველოში რელიგიურ თავისუფლებას ამკვიდრებს, რადგან ამგვარი სოლიდური არგუმენტაცია მხოლოდ ერთ ადგილას შემხვედრია — ჟურნალ "საგუშაგო კოშკში". ოდნავი წინასწარი მომზადების კვალი წამყვანს მხოლოდ ერთხელ დაეტყო: როცა ბაკურიანის ოლიმპიურ პერსპექტივებზე საუბრობდა **პაატა ნაცვლიშვილთან** — აბა, თავს ხომ არ შეირცხვენდა დიდი მეწარმისა და მეცენატის წინაშე.

ასევე გვანცვიფრებს საზოლოო დასკვნების სიმძაფრე და აქტუალობა. მაგალითად, ასეთი ფრაზით დასრულდა ნარკომანიის პრობლემებისადმი მიძღვნილი გადაცემა: "**ყველაფერი განკურნებადია, მთავარია ნებაყოფლობით არ დაიავადო თავი**". განხილვის დონეც ამ დასკვნის ღირსია: მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს, მაგრამ ყურადღებით ნუ შეაწუხებთ; შეხედეთ, რა კარგია — მკურნალობა ძვირი ღირს, მაგრამ მაინც უშველებელი რიგებია; სოციალური ფაქტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც ფსიქოლოგიაა და ა. შ. არასოდეს არაფერი კონკრეტული, არავითარი ვნება, არავითარი ინტერესი — პირიქით, ყოველი ინტერესი უნდა განელდეს, ყოველგვარი ვნება ჩაქრეს, საქართველო კი წარმოჩენილ იქნეს როგორც ერთი მშვენიერი სუპერმარკეტი. სწორედ თანამედროვე ძვირ სუპერმარკეტში ხდება ქართველი საზოგადოების გამოკითხვა, თანაც სულ ერთი და იგივე სახეებია: ერთ დღეს მივიდნენ, აირჩიეს ხალხი, მიაბნიეს ძუძუზე მიკროფონი, დაუსვეს კითხვები პროექტით გათვალისწინებული ყველა გადაცემისთვის და მერე ლუკმა-ლუკმა დაშალეს და გაანაწილეს.

სამაგიეროდ გვაქვს ბევრი სიცილ-კისკისი და მსუბუქი ინტელექტუალური იუმორი: "**რომეომ და ჯულიეტამ ერთმანეთი დაინახეს, გაგიჟდნენ, ტანსაცმელი შემოიხიეს**". არც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნიმუშები აკლია აქაურობას: "**განა არ შეიძლება ვთქვათ, რომ პარლამენტი ერთი დიდი სერიალია?**". არის ტაქტიანი მინიშნება საქართველოს უახლეს და უმწვავეს პოლიტიკურ მოვლენებზეც: "**გამაოგნებელია, მაგრამ ჩიკაგოს პოლიციელი თურმე პისტოლეტიდან ისვრის საშუალოდ ოცდაშვიდ წელიწადში ერთხელ!**". და, საერთოდ, რაზეც კი ლაპარაკობენ ამ გადაცემაში, ყველაფერი გამაოგნებელია, გასაოცარია, არაჩვეულებრივია, თანაც უბრალოდ კი არა — აბსოლუტურად.

რა უნდა ვუთხრათ მთელ ამ პროფესიულ უმეცრებასა და ყოფით გოიმობაზე ჩვენს დიდ მეწარმესა და მეცენატს? - ორი სიტყვაც კმარა: таки лажа!

მართალია, "ჩაისა და თავისუფლებას" ბევრი უკლია "ტაბუს" სტუდიაში გამართულ კარნავალებამდე, მაგრამ ახლა ნუ გავაჯიბრებთ ჩვენი მედია-სივრცის ცალკეულ ბრენდებს, ჩვენ ცალკეული ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების უმეცრებასა და გოიმობაზე მეტად სხვა რამ გვაინტერესებს: რეალური შედეგი, სულისკვეთება, რომელსაც ჩვენი მედია ნერგავს. არა, ამ საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე დგომა კარგს ვერაფერს დაგვაყრის. საზოგადოება უნდა აღიზარდოს — ამ მისიის შესასრულებლად კი ჩვენს მედიას, რომელიც მის რიგებში მყოფ ყველაზე მცოდნე და გონიერ წარმომადგენლებს ვერ იცავს, უნიჭოებსა და თავხედებს აპარპაშებს, ნამდვილად არ მოეპოვება არავითარი რესურსი.

ვთქვათ და ცხადად დამტკიცდა და იმის უტყუარი საბუთებიც გამოქვეყნდა, რომ "რუსთავი 2"-ის წიაღში მომხდარი ცვლილებების მიზეზი ვანოსა და ირაკლის შორის მეტოქეობაა. მერე და რა, ვინ მოახდენს ამაზე სათანადო და ქმედით რეაქციას? — ტაკიმასხარებით დაკომპლექტებული ოპოზიცია, უფასო სალიარკით გულმომბალი მშრომელი გლეხობა, ყურძნის მუშტარი ბიზნესმენები თუ უვიცი და იაფად მოსასყიდი "ჟურნალისტკები"? ან კი რა საზოგადოებრივი ეფექტი უნდა ჰქონდეს ამ ორ ძალოვანს შორის მეტოქეობას? — გულის სიღრმეში მეც მჯერა, რომ ნიკა ტაბატაძე ის კოზაკი იყო, რომელიც ორი აქლემის ჩხუბში გაიჭყლიტა, მაგრამ მე არა ვარ ამ ჩხუბის მაყურებელი — მაყურებელი მას მხოლოდ ერთი ჰყავს — მიხეილ სააკაშვილი. სწორედ მის წინაშე სპექტაკლის სათამაშოდ სჭირდებათ მეტ-ნაკლებად გავლენიან ქართველებს მედია. ყველაზე საწყენი სხვაა: ნიკა ტაბატაძე მართლაც მცოდნე და კულტურული კაცი იყო, რომელსაც, მგონი, სხვაზე მეტად შეეძლო ტელევიზია დემოკრატიული ღირებულებების რუპორად ექცია. მან კი რა არჩია?

თუ ია ანთაძის გამოთქმული ვერსია მართალია, მე ერთი რამ მრჩება სათქმელად: შენი კულტურა და ცოდნა იმათ შორის დაბალანსებას არ უნდა შეალიო, ვისაც სიტყვა "კულტურის" გაგონებაზე სატაბელო იარაღისკენ გაურბის ხელი. თუ არა და, ახია შენზე. რაც შეეხება სხვა შემოქმედებით კოლექტივებში მომხდარ უბედურებებზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებას, ამას მაშინ ექნება ძალა და ეფექტი, როცა საკუთარ კოლექტივს მოუვლი სათანადოდ და იმდენს მაინც მოახერხებ, ზედმეტი ჭუჭყისაგან გაწმინდო.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

# მოკლევადიანი კომფორტი ხელისუფლებისთვის

ეკა კვესიტაძე

*ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ხოლო თუ შეხვედი, არც შენ და არც მდინარე იგივენი აღარ იქნებით.*

11 სექტემბერს "რუსთავი 2-ის" ჟურნალისტურმა ბირთვმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, დარჩება თუ არა ტელევიზიაში. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სიმართლის თქმის მომენტი გაშვებულია, რადგან არც ერთი სწორი მესიჯი არ თქმულა მაშინ, როდესაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად იგძნობოდა.

რას აპროტესტებენ "რუსთავი 2-ის" წამყვანი სახეები - მათი მეგობრის, არხის დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებას თუ ხელისუფლების სულ უფრო მზარდ ზეგავლენას? იმის მიხედვით, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ, მიზეზი მხოლოდ ტაბატაძის მოხსნა იყო და არაფერი არ თქმულა არც დარეკილ ზარებზე და არც ზეგავლენის მოხდენის გაზრდილ მადაზე.

ნიკა ტაბატაძის გულშემატკივრობა საზოგადოებისათვის ინტერესის სფეროში არ შედის. შესაბამისად, "რუსთავი 2-ში" მომხდარმა ფაქტმა მხოლოდ ბევრი მითქმა-მოთქმა და ჭორი გამოიწვია და საზოგადოება ამ ფაქტით მედიის თავისუფლებაზე ზეწოლის კონტექსტში არ დაინტერესებულა.

პრეზიდენტმა როგორც დასვა ტაბატაძე თანამდებობაზე, ასევე უმტკივნეულოდ გადმოსვა. ასე რომ, ამ ფაქტში განსაკუთრებული არაფერია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიზეზი, თუ რატომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან ყოფილი გენერალური დირექტორი, საინტერესოა და მას ბევრი რამის ახსნა შეუძლია.

ნიკა ტაბატაძის მთავარი ამოცანა ტელევიზიის ხელისუფლების გავლენისაგან დაცვა რომ არ ყოფილა, ეს საინფორმაციო გამოშვებებსაც კარგად ეტყობოდა. "რუსთავი 2" რევოლუციის შემდეგ ცალსახად პრო-სახელისუფლებო ტელევიზია იყო, თუმცა "ნაციონალური მოძრაობის" პრეს-ცენტრობისაგან მას რაღაც მანძილი ნამდვილად აშორებდა. ძნელია იმის თქმა, ამაში თავისი წვლილი მიუძღოდა თუ არა ტაბატაძეს, მაგრამ დღეს მთავარი კითხვა ასე ჟღერს - რა სურს და რას ელოდება ხელისუფლება "რუსთავი 2-სგან"?

ამ კითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, ახალ გენერალურ დირექტორშიც უნდა ვეძებოთ. აქამდე საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი კობა დავარაშვილი სარეკლამო სააგენტო "სარკის" დირექტორი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი არველაძის ახლო მეგობარია. სარეკომენდაციო წერილში არველაძე ძალზე დადებითად ახასიათებს "სარკეს", როგორც "ნაციონალური მოძრაობის" მომსახურე სარეკლამო სააგენტოს. "სარკე" "ნაციონალური მოძრაობის" აღმშენებლობით საქმიანობაზე მიძღვნილი ყველა კლიპის ავტორია. რა თქმა უნდა, ამ ფაქტში, თავისთავად, არაფერია განსაკუთრებული. ნებისმიერი სარეკლამო სააგენტო აიღებდა ასეთ მსუყე შეკვეთას. მაგრამ სატელევიზიო სფეროში გამოუცდელი და არველაძის ახლო მეგობრის დავარაშვილის დანიშვნა "რუსთავი 2-ის" ხელმძღვანელად ნამდვილად აღძრავს სრულიად ლეგიტიმურ ეჭვებს, რომ ხელისუფლებას ეს ტელევიზია მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" აღმშენებლობითი საქმიანობის აღსანუსხავად სჭირდება.

კახეთში თავის ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში სააკაშვილმა ისევ გაჰკრა კბილი მედიას, უფრო სწორად ერთ-ერთ მედიასაშუალებას და შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ სამართლიანადაც. თუ "იმედის" ან "იმედში" გადასული "მზის" ყოფილი ჟურნალისტები რევოლუციის დროს თავის, თითქოს, ნეიტრალურ პოზიციას ობიექტური ჟურნალისტიკის პრინციპებით ხსნიდნენ, დღეს მათ ეს პრინციპები დაავიწყდათ. დღეს "იმედი" ისეთივე ისტერიულია, როგორც რევოლუციის დროს "რუსთავი 2" იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რევოლუციური იდეები ქვეყანაში ჯერჯერობით ნამდვილად არ მომწიფებულა.

მიუხედავად იმისა, რომ "იმედს" დამოუკიდებელი და თავისუფალი მედიის ფლაგმანის სტატუსი ძალიან სწადია, ფაქტია, რომ ეს სტატუსი მისთვის შესაფერისი ნამდვილად არ არის. მითუმეტეს მაშინ, როცა "დიდი ქველმოქმედი და მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი" უკვე სრულიად შეუნიღბავი პოლიტიკური მიზნებით მოგვევლინა.

ხოლო იმ ტელეკომპანიას, სადაც ასლანის დროინდელი "აჭარის ტელევიზიის" სტილში "პატრონზე" 20 წუთიან, დაშაქრულ-მაამებლურ სიუჟეტებს აკეთებენ და ინტერვიუს დროს თითოეულ კითხვას დიდი მოწიწებითა და მორიდებით სვამენ, ელემენტარული დემოკრატიული ჩვევები არ გააჩნია და შესაბამისად, რაიმე დემოკრატიულ ღირებულებებისადმი ერთგულებაზე არც შეიძლება იყოს საუბარი (სხვათაშორის, საინტერესო ფაქტია ის, რომ ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მყოფ სილვიო ბერლუსკონის საკუთარ ტელევიზიაში ჟურნალისტმა იმდენად რთული კითხვები დაუსვა, რომ ის იძულებული გახდა, ეთერი დაეტოვებინა).

მაგრამ, ყველაზე მცდარი ნაბიჯი ის არის, რომ ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი უნდა, ვიდრე ბადრი პატარკაციშვილს. "იმედის" საპირწონედ მას სჭირდება ტელევიზია, სადაც კიდევ უფრო დაშაქრულ სიუჟეტებს გააკეთებენ მასზე და კიდევ უფრო მოწიწებით დაუსვამენ უმტკივნეულო კითხვებს.

საზოგადოებისთვის კი იმდენად მიუღებელია ხელისულების პროპაგანდისტი ტელევიზია, რომ რაც არ უნდა გამაღიზიანებელი იყოს "იმედი", მის მიმართ უფრო მეტი სიმპათია გაჩნდება. ასე რომ, თუნდაც ყველაზე პრაგმატული გათვლებით, სრულიად გაუგებარია ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები.

თუ პრეზიდენტს იმ ტელევიზიის ნახვა სურს, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფო ინტერესების კუთხიდან გააშუქებს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებს, რუსთაველის ცნობილი მოვლენებიდან დაწყებული, უნივერსიტეტში განვითარებული პროცესებისა და კახელი გლეხების პრობლემებით დამთავრებული, მის ინტერესებში ის ტელევიზია უნდა შედიოდეს, სადაც ღირებულებების, პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის მქონე ჟურნალისტები იმუშავებენ და არა არველაძის დაკვეთების შემსრულებელი მედია.

ამაზე ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იტყვის, რომ ასეთი ჟურნალისტების მოძებნა ძნელია, რაც მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი სიმართლეა. მთლიანი სიმართლე კი ის არის, რომ ასეთი ჟურნალისტების ნახვა თავად არ სურს ხელისუფლებას სატელევიზო ეკრანზე, რადგან თუ ისინი კითხვებს რუსთაველზე კრიმინალური ავტორიტეტების ამბოხზე დასვამენ, ასევე აუცილებლად დასვამენ მწვავე კითხვებს გირგვლიანიასა და რობაქიძის საქმეზე, ანუ იმაზე, რაზეც საუბარი მთავრობისთვის დისკომფორტს იწვევს.

ხელისუფლებისთვის გაცილებით უფრო მარტივია მეგობარი ჟურნალისტების საშუალებით მთლიანად აკონტროლოს სიტუაცია, რადგან ეს ყველაზე მეტად კომფორტულია. მაგრამ ეს მოკლევადიანი კომფორტი მას ძალიან მალე აუცილებლად შეუქმნის გრძელვადიან პრობლემას.

# ტელეგაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

სოფიო თოდუა

ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ცხონებული ელიკო ნემსაძე, როგორც კი სიის ამოკითხვას მორჩებოდა და ჯერი მოსწავლეების გამოძახებაზე მიდგებოდა, სანამ რომელიმე ჩვენგანი გაკვეთილის მოყოლას დაიწყებდა, აუცილებლად შეგვახსენებდა: წარსულ დროში, მესამე პირში. რადგან ქალბატონი ელიკო ჩვეულებრივ სამი-ოთხი ბავშვის გამოძახებას ასწრებდა, ეს ფრაზა - წარსულ დროში და მესამე პირში - წლების განმავლობაში რეფრენივით გასდევდა ქართულის გაკვეთილებს. ყველამ ვიცოდით, რომ ეს მკაცრი მოთხოვნა მხოლოდ მოსწავლეებზე ვრცელდებოდა და არავითარ შემთხვევაში იმ მწერლებზე, რომელთა ნაწარმოებებსაც სკოლაში გვასწავლიდნენ. ამით ელენე ნემსაძე ჩვენში თხრობის კულტურის გამომუშავებას ცდილობდა. მოახერხა კიდეც. ისე მოხდა, რომ იმ 45 ბავშვიდან, ვინც ჩვენს კლასში სწავლობდა, მხოლოდ რამდენიმემ დავამთავრეთ ჰუმანიტარული ფაკულტეტი. როცა დროდადრო ვიკრიბებით და სკოლის პერიოდს ვიხსენებთ, ვაკვირდები, ყველა გამართულად მეტყველებს და სახალისო ისტორიებს ტრადიციულად მესამე პირში და წარსულ დროში იგონებს.

მე თვითონ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, ამდენად, ვერ გეტყვით, როგორ ასწავლიდნენ ან დღეს როგორ ასწავლიან ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ქართულ ენასა და ლიტერატურას. მაგრამ ასე მგონია, ბევრი ჩემი კოლეგა მხოლოდ თავ-თავიანთი ელიკო მასწავლებლების ანაბარა დარჩა, ეს კი აშკარად არ კმარა არც საგაზეთო პუბლიკაციის და არც სატელევიზიო სიუჟეტების მოსამზადებლად. როგორ უნდა გაკეთდეს ტელერეპორტაჟი ან როგორ უნდა ჩაიწეროს ინტერვიუ, ეს ელემენტარული საკითხები, ეტყობა, უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე არ ისწავლება. და ჩვენც ყოველდღიურად ვისმენთ ერთსა და იმავე სიუჟეტში ერთსა და იმავე ინფორმაციას - ჯერ წამყვანის მონათხრობით წარსულ დროში და მესამე პირში, როგორც ამას მასწავლებლები ითხოვენ, მერე კი - რესპონდენტის პირით. როგორც ჩანს, ტელეჟურნალისტიკა საქართველოში სხვა მიმართულებით ვითარდება და საგრძნობლად სცილდება იმ სტანდარტებს, რასაც დანარჩენი მსოფლიო მისდევს. არადა, დღეს თითქმის ყველას აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად უყუროს მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებს - გნებავთ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ სულაც რუსულ ენებზე.

ინტერვიუს ასაღებად მეც გავუგზავნივარ. წარმოვიდგინე, ერთხელაც ამ ტიპის პუბლიკაცია მივიტანე რედაქციაში:

*"როგორც ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდები მხოლოდ ტესტირების შედეგად ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში, რაც მას არასწორი ჰგონია. მისი თქმით, ამერიკაში უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად საჭიროა ტესტირების შედეგები, ატესტატი, მოტივაცია, რატომ ირჩევს კონკრეტულ პროფესიას და მასწავლებლის დახასიათება. მანვე გაიხსენა, რომ ერთი მოსწავლე ჰყოლია, ძალიან კარგი ახალგაზრდა, მაგრამ იმ სამ კოლეჯში, რომელიც მან აირჩია, იმიტომ არ მიიღეს, რომ ცუდი ატესტატი ჰქონია."* იქვე გავხსენი ბრჭყალები და რესპონდენტის სიტყვები მივაყოლე: *"სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდა მხოლოდ ტესტირების შედეგად ხვდება უმაღლეს სასწავლებელში, რაც მე არასწორი მგონია. ტესტირება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ამერიკაში უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად საჭიროა ტესტირების შედეგები, ატესტატი მოტივაცია, რატომ ირჩევს კონკრეტულ პროფესიას და მასწავლებლის დახასიათება. ერთი მოსწავლე მყავდა, ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო, მაგრამ იმ სამ კოლეჯში, რომელიც მან აირჩია, იმიტომ არ მიიღეს, რომ ცუდი ატესტატი ჰქონდა."*

ძნელი მისახვედრი არ არის, რას მოიმოქმედებდა ამ შემთხვევაში ჩვენი რედაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ზრდილობიანი კაცია და უხეში ლაპარაკი არ სჩვევია, აუცილებლად კარისკენ მიმითითებდა, თანაც აწმყო დროში და მეორე პირში. ვაღიარებ, რომ ქართულ ბეჭდვით მედიაში ბევრი უხარისხო პუბლიკაცია იბეჭდება, მათ შორის არაფრისმთქმელი ინტერვიუებიც (საერთოდაც, ამ ჟანრმა წალეკა ქართული მედია), მაგრამ ამ უხეირო წერილების ავტორებმა იმდენი კი იციან, რასაც რესპონდენტი ჰყვება, ის ბრჭყალებში ჩასვან და იგივე თვითონ არ გაიმეორონ. ეკრანიდან კი ჯერ წამყვანი ჩამოგირაკრაკებს, რას ფიქრობს არჩევნების ბოიკოტზე რატი სამყურაშვილი, მერე კი თავად დეპუტატი გიყვება იგივეს "ლაივში". წყობა იშვიათად ირღვევა, თუმცა აქა-იქ რომელიმე თავზეხელაღებული გაბედავს და ჯერ შალვა ნათელაშვილის რიტორიკულ გამოსვლას მოგასმენინებს, მერე კი იგივეს მონიტორზე ამოკითხული წინადადებებით თავადვე გამცნობს. და ასე გაუთავებლად, მთელი დღის განმავლობაში, სანამ წყობიდან გამოსულ მაყურებელს ტელევიზორის ყურების ხალისი დაეკარგება.

ერთი ხანობა მეგონა, რომ ტელეტავტოლოგია დროის გაყვანას ემსახურებოდა, თუ საერთოდაც შეიძლება ამ კონტექსტში ტავტოლოგიაზე ლაპარაკი. ტავტოლოგია ნიშნავს ერთი და იმავე განსაზღვრების, მსჯელობის განმეორებას სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით. ქართველი ტელეჟურნალისტები და წამყვანები კი ახლო მდგომი სიტყვების ძიებით თავს არ იტკივებენ, ამდენად, ამ მოვლენას სხვა განმარტება უნდა გამოვუძებნოთ. დრო, მოგეხსენებათ, ფული ღირს, ფული კი ადვილად არ იშოვნება, მათ შორის ჩვენთანაც. შესაბამისად, ძნელი დასაჯერებელია, რომ ტელეკომპანიების მფლობელები საეთერო დროის ფლანგვას არად დაგიდევენ. როგორც ჩანს, ჩვენი ტელემაგნატები და მათ მიერ დანიშნული დირექტორები თუ შესაბამისი სამსახურების უფროსები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მაყურებელი გაუნათლებელი, უცოდინარი და, რაც მთავარია, გონებასუსტია; ამიტომ სათქმელი თუ არ დაუღეჭე, ვერც შალვა ნათელაშვილის ნათქვამს გაიგონებს და ვერც სამყურაშვილის შეგონებებს შეისმენს. საიდან შეექმნათ ასეთი წარმოდგენა რიგით მაყურებელზე, ძნელი სათქმელია. შეთქმულების თეორიების არ მჯერა და არა მგონია, ვინმე შეგნებულად ცდილობდეს, მაყურებელი საინფორმაციო გამოშვებების ყურებას გადააჩვიოს და საუკეთესო შემთხვევაში ცნობისმოყვარეობა ანონსებით დაიკმაყოფილოს. მაგრამ ერთი ანდაზა კი მახსენდება: ბრიყვი კაცი იზრდებოდა და ვირდებოდაო. სულ ესაა და ეს.

რა კარგია, რომ ჩვენს პრეზიდენტს ექსპრომტად უყვარს გამოსვლა. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდა მაყურებელი, პრეზიდენტის სიტყვას, რომელიც უკლებლივ ყველა არხით გადაიცემა და, როგორც წესი, დიდხანს გრძელდება, წამყვანი სხაპასხუპით რომ იმეორებდეს? არადა, წესით უნდა იმეორებდნენ - ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პირველი პირია, ოღონდ ისევ წარსულ დროში და მესამე პირში, როგორც ეს ელიკო მასწავლებელს გაუხარდებოდა.

# ფრანგული "მასტერკლასი"

მიხეილ აბაიშვილი

"იოლი გამარჯვება მოვიპოვეთ, რასაც ნამდვილად არ ველოდით. მიუხედავად იმისა, რომ შეხება არასდროს არ გვქონია, ვიცოდით, რომ საქართველოს ნაკრები ხელწამოსაკრავი მეტოქე არ იყო და ამ გუნდში მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობდნენ. შესაბამისად, ქართველებთან სათამაშოდ მთელი სერიოზულობით და კონცენტრირებულები ვემზადებოდით. ალბათ, მეტოქე გუნდს რაღაც ისე არ გამოუვიდა, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდა. თან, პირველივე წუთებში შევძელით გოლების გატანა და ამ გარემოებამაც დიდი როლი ითამაშა ასეთი იოლი გამარჯვების მოპოვებაში", - იტყვის თამაშის მერე თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, ტიერი ანრი. ჩვენ კი რით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი? ალბათ, მხოლოდ იმით, რომ დავმარცხდით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან და მოქმედ ვიცე-ჩემპიონთან.

თამაში მთელმა საქართველომ იხილა, ამიტომ მის დეტალურ გარჩევას არ შევუდგები და რამდენიმე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სხვა ტაქტიკური მონახაზის, ან სხვა შემადგენლობის დაყენების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები თუნდაც ქულის აღებას შეძლებდა. არც იმის სურვილი მაქვს, რომ ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელის საქმეებში ჩავერიო, როგორიცაა კლაუს ტოპმიოლერი. კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ ჩემს პატივისცემას ამ სპეციალისტის მიმართ და ვიტყვი, რომ მისი ხელმძღვანელობით ქართული ფეხბურთი საგრძნობ პროგრესს განიცდის. თუმცა, ამ კონკრეტულ თამაშზე, ალბათ, თავად ჰერ ტოპმიოლერიც დამეთანხმება, რომ როგორც შემადგენლობის, ისე ტაქტიკის შერჩევაში მთლად ზუსტი არჩევანი არ გაუკეთებია. დავიწყებ შემადგენლობით. დომენეკმა თამაშის წინა დღეს გამოაცხადა იმ თერთმეტი ფეხბურთელის გვარი, რომლებიც ძირითადში დაიწყებდნენ თამაშს. შესაბამისად, ტოპმიოლერმა კარგად იცოდა, რომ მეტოქეს ნახევარდაცვის ხაზში ეყოლებოდა ვიეირა, მაკელელე, მალუდა და რიბერი, რომლებსაც თავდასხმაში ტიერი ანრი დაეხმარებოდა. ამ ნახევარდაცვის ხაზმა მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხი არ გაანძრევინა თვით ბრაზილიის ნაკრებს, თავისი კაკებით და რონალდინიო-რონალდოებით. ტოპმიოლერმა კი ასეთ სიტუაციაში სამი ნომინალური თავდამსხმელი გამოიყვანა - იაშვილი - არველაძე - დემეტრაძე. ასეთი სითამამე გაუმართლებელი ავანტურის კვალიფიკაციისა, რაც ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ვარჯიშებზე ტოპმიოლერს ცოტათი გადამეტებული წარმოდგენა შეექმნა ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობებზე. შესაძლოა, ვინმემ მითხრას, რომ იაშვილი და დემეტრაძე გარემარბების პოზიციაზე მოქმედებდნენ და მათი თავდასხმის ხაზისთვის მიკუთვნება უადგილოა. ნაწილობრივ, ვეთანხმები ამ აზრს. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ როგორც იაშვილი, ასევე დემეტრაძე შემტევი, შემქნელი ფეხბურთელები არიან და ართმევაზე, მეტოქის თამაშის ჩაშლაზე, მოედნის შუაში ორთაბრძოლებში ბურთის დაუფლებაზე თამაში ნაკლებად ხელეწიფებათ. შესაბამისად, პირველივე წუთებიდან მატჩის ბოლომდე "სამფეროვნები" მოედნის შუახაზის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. ჩვენი გუნდი კი პრაქტიკულად წელში იყო გაწყვეტილი - კავშირი დაცვასა და თავდასხმას შორის არ არსებობდა. თუ ფრანგები ბურთს ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან კარგავდნენ, მას მოედნის შუაშივე უპრობლემოდ იბრუნებდნენ, რადგან ჩვენს შუახაზელებს, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად ფრანგების ნახევარმცველები აშკარად აღემატებოდნენ. ქართველი ფეხბურთელები ძალზე იშვიათად ახერხებდნენ გრეგორი კუპეს კართან მიახლოებას, ისიც იმ შემთხვევებში, თუ თამაში ჭანტურიას კარიდან იწყებოდა და შეტევა პოზიციურ ხასიათს მიიღებდა. პრაქტიკულად, არც ერთი სწრაფი კონტრშეტევა არ განგვიხორციელებია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რამდენად აშკარა იყო მოწინააღმდეგის უპირატესობა მოედნის შუა ხაზში. დღეს, როცა თამაშმა ჩაიარა, იოლია ამაზე საუბარი. მაგრამ, იმიტომ მიხარია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ტოპმიოლერის ყოფნა, იმედი მაქვს, რომ იგი წინასწარ შეძლებს ასეთი ნიუანსების განსაზღვრას.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვიტყვი, რომ ნახევარდაცვა მაინც არ იყო ჩვენი გუნდის უსუსტესი პოზიცია. მეკარე - ეს გახლავთ ქართული ფეხბურთის ბოლო ორი ათწლეულის ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომლის მოგვარების პერსპექტივაც უახლოეს პერიოდში არ ჩანს. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ სამივე გაშვებული გოლი გრიგოლ ჭანტურიას სინდისზეა. არც მალუდას, არც საას მიერ დარტყმული ბურთები არ განეკუთვნებოდა იმ კატეგორიას, რომელთა მოგერიება საშუალოზე საშუალო კლასის მეკარეს გაუჭირდებოდა. მატჩის სადებიუტო წუთებშივე გაშვებულმა ასეთმა ორმა გოლმა პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც ყველაფერი. გასაგებიცაა, რომ საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე, რუსული სიტყვა რომ ვიხმარო, "დამანდრაჟდა", რაც არც არის გასაკვირი. როცა კარი პრაქტიკულად ცარიელი გაქვს და ნებისმიერი დარტყმის შემდეგ გაშვებულ გოლს ელი, თან როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან თამაშობ, ძნელია, მოსალოდნელი ხიფათი არ გაფორიაქებდეს. ისე, ჭანტურიასაც რას ვერჩი? ყველაზე მაღალი კლასის თავდამსხმელი, ვისაც მისი კარისთვის შეუტევია, სულიკო დავითაშვილია და უცბად "ზესტაფონის" მეკარე ანრის, მალუდას, საას, გოვუს და მათი "შავი" თანამოძმეების წინაშე აღმოჩნდა. რა გასაკვირია, რომ ასეთ სიტუაციაში ჭანტურია ბრინჯივით დაიბნეოდა, თვალზე ლიბრი გადაეკვრებოდა და არცთუ რთულ დარტყმულებს გაუშვებდა. ალბათ, მაინც აჯობებდა არჩევანის ლომაიაზე გაკეთება, თუნდაც მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ოპტიმალურ ფორმაშია და სათამაშო პრაქტიკაც აკლია. ამ სიტუაციაში, ისევ და ისევ, ალბათ ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ლომაიას უმაღლეს, თან ნაკრებო დონეზე თამაშის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს, რის სერიოზულ დეფიციტსაც ჭანტურია განიცდის.

საქართველოს ნაკრების თამაშში მცირე რაოდენობით, მაგრამ დადებითი მომენტებიც იყო, რისი აღნიშვნაც აუცილებელია. ასეთ პირობებშიც კი, ჩვენმა გუნდმა კუპეს კართან სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნა. ერთხელ - როცა არველაძე უტევდა თავით, მეორედ - როცა კუპემ დემეტრაძეს პრაქტიკულად "მკვდარი ბურთი" აუღო და შემდეგ - იმავე დემეტრაძემ საჯარიმო დარტყმიდან ხარიხას გაარტყა ბურთი. აღარას ვამბობ დანარჩენ ნახევარმომენტებზე. საერთო ჯამში, ამდენი სახიფათო მომენტი ფრანგების კართან არც მეოთხედფინალში შეუქმნიათ ბრაზილიელებს და არც ფინალში - იტალიელებს. დადებითი მომენტი იყო ისიც, რომ თვით 0:3-ის შემდეგაც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ბრძოლის ჟინი არ განელებიათ, ბოლომდე დაიხარჯნენ და რაც შეეძლოთ, იმაზე მეტიც გააკეთეს.

სასიამოვნოდ განცვიფრებული დავრჩი კიდევ ერთი კომპონენტით, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ჩვენს გუნდს, მაგრამ მაინც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. როგორც ჩანს, ქართველი გულშემატკივარი თანდათან უახლოვდება იმ სტანდარტებს, რომელიც დანარჩენ მსოფლიოშია. 90 წუთის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სოლიდური ანგარიშით ვმარცხდებოდით, ქომაგებს ობსტრუქცია არ მოუწყიათ და სულით და გულით გულშემატკივრობდნენ თავის გუნდს. მატჩის დასრულების შემდეგაც, რომელიც დიდი ანგარიშით დავთმეთ, მაყურებლებმა აპლოდისმენტებით გააცილეს საქართველოს ნაკრები. რას ვიზამთ, გაჭირვებაშიც დავამტკიცეთ, რომ ერთი გუნდი ვართ და მომავალში, როცა წარმატებებიც მოვა, რისი დიდი იმედიც მაქვს, გამარჯვებების ერთად აღნიშვნასაც გაცილებით მაჟორულ ნოტაზე შევძლებთ.

საერთო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ ფრანგებმა უფასო "მასტერკლასი" ჩაგვიტარეს. ისე, არც მთლად უფასო - ეს გაკვეთილი სამი ქულა დაგვიჯდა და იმედია, რომ კარგი ჭკუის სასწავლებელი იქნება როგორც ფეხბურთელებისთვის, ისე მწვრთნელთა კორპუსისთვის.

კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითი პარალელურ რეჟიმში ლიტვის ნაკრებმა მოგვცა. ბალტიისპირელებმა, არც მეტი, არც ნაკლები, თვით მსოფლიო ჩემპიონს დააკარგვინეს ქულები, თანაც მისსავე მოედანზე. ჩვენი ქვეჯგუფის მატჩი იტალიისა და ლიტვის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელსაც ნეაპოლმა უმასპინძლა, ფრედ - 1:1 დასრულდა. ლიტველები სადებიუტო წუთებში გატანილი გოლის წყალობით იგებდნენ კიდეც, მაგრამ "სკუადრა აძურას" თავდამსხმელმა, ფილიპო ინძაგიმ პირველსავე ტაიმში აღადგინა წონასწორობა. შეხვედრის მეორე ნახევარმა იტალიელთა მცირე უპირატესობით ჩაიარა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ გოლის გატანა ლიტველებსაც შეეძლოთ. აი ასე, სწორი ტაქტიკური მონახაზის ზუსტი შესრულების პირობებში, რისი დეფიციტიც იგრძნობოდა ჩვენი გუნდის თამაშში, იტალიელებთანაც კი, თანაც მათსავე მოედანზე, დადებითი შედეგის მიღწევა შეიძლება.

ჯგუფის მესამე შეხვედრაში შოტლანდიამ ფარერები 6:0 დაამარცხა და დროებით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

*კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი.*

**2 სექტემბერი, B ქვეჯგუფი**

| | |
|---|---|
| **საქართველო - საფრანგეთი** | **0:3** |
| იტალია - ლიტვა | 1:1 |
| შოიტლანდია - ფარერები | 6:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლიტვა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უკრაინა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:12 | 0 |

# შევჩენკო: "უკრაინას საქართველოს წინააღმდეგ ყოველთვის უჭირს"

6 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგ შეხვედრას უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ სტუმრად გამართავს. ბლოხინის გუნდმა შესარჩევი ციკლის სასტარტო მატჩისთვის მზადება კიევის ცსკა-სთან ამხანაგურ შეხვედრაში 5:1 გამარჯვებით დაიწყო.

ცსკა-სთან შეხვედრამდე სამშობლოში მყოფმა ანდრეი შევჩენკომ ბავშვობა გაიხსენა და 1 სექტემბერს კიევის ერთ-ერთ ინტერნეტ-სკოლას ეწვია, რომელთანაც "ჩელსის" თავდამსხმელს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. სკოლის აღსაზრდელებს შევამ "მსოფლიო ფეხბურთის გაკვეთილი" ჩაუტარა, რომელზეც ბავშვებს საფირმო საფეხბურთო ილეთები უჩვენა. გაკვეთილის შემდეგ უკრაინელმა ფეხბურთელმა ბავშვები დაასაჩუქრა.

ერთ-ერთი უკრაინული გამოცემის ჟურნალისტთან საუბარი ანდრეი შევჩენკომ საქართველოს ნაკრებთან გასამართი მატჩით დაიწყო:

**- სავარაუდოდ, თქვენი მეგობარი კახა კალაძე ვერც კიევში დაეხმარება საქართველოს ნაკრებს...**

- სიმართლე გითხრათ, ჯერ ზუსტად არც მე ვიცი ითამაშებს თუ არა კალაძე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველები კახას გარეშეც სათანადო წინააღმდეგობას გაგვიწევენ. უკრაინის ნაკრებს, როგორც წესი, ყოველთვის უჭირს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იქნება. ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ყოველი მატჩი, ისევე როგორც თითოეული ქულა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მეტოქეთა დასამარცხებლად.

**- ჟოზე მოურინიომ უკმაყოფილება გამოთქვა მაკელელეს საფრანგეთის ნაკრებში გამოძახების გამო. პირადად თქვენ თუ გითხრათ რამე, როცა უკრაინაში მოდიოდით სათამაშოდ?**

- მაკელელესთან დაკავშირებით ცოტა სხვა ისტორიაა, რაც ნამდვილად არ უკავშირდება მის მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაღლას... რაც შემეხება მე, წამოსვლისას მოურინიომ წარმატებები მისურვა და მითხრა, რომ უხარია ჩემი ნაკრებში თამაში.

**- ინგლისში ახალი ხუმრობა გავრცელდა - როცა შევჩენკოს გოლი გააქვს, "ჩელსი" თამაშს აგებსო...**

- სიმართლე გითხრათ, ამას ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, "არისტოკრატთა" ღირსებას ვიცავ და მოედანზე მაქსიმალურად ვიხარჯები.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენმა დამ თქვა, რომ სკოლაში ძალიან ცელქი იყავით...**

- სხვა ბავშვების მსგავსად, შეიძლება მოუსვენარი ვიყავი, მაგრამ ძალიან ცელქი არასდროს ვყოფილვარ - ჩემს ხასიათში არ ზის.

**- ცოდნის დღეს როგორ გაიხსენებთ?**

- 1 სექტემბერი დღემდე მახსოვს. ყოველთვის ძალიან მეძინებოდა, მაგრამ დედა მაღვიძებდა. სკოლასთან დაკავშირებული მოგონებები ყოველთვის სასიამოვნოდ მაგონდება. მადლიერი ვარ იმ პედაგოგების, რომლებიც მუდამ გვერდში მედგნენ - სხვადასხვა ტურნირებზე მონაწილეობა 11 წლის ასაკში დავიწყე, რის გამოც ხშირად ვაცდენდი გაკვეთილებს. თუმცა, ამის გამო არავინ მსჯიდა.

**- მალე მეორე ბავშვის მამა გახდებით. სახელი თუ შეარჩიეთ უკვე...**

- მართალია, ბავშვის გაჩენამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, მაგრამ სახელზე ჯერ არ გვიფიქრია. ნურც იმას მკითხავთ, გოგო დაიბადება თუ ბიჭი, არც ამას გეტყვით.



*ინფოთეკა*

### "ვესტ ჰემმა" "კორინთიანსს" ხელშეკრულება დაუდო

ინგლისურმა "ვესტ ჰემმა" ბრაზილიურ "კორინთიანსთან" ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ლონდონურ კლუბს სამი წლის განმავლობაში "კორინთიანსის" ნებისმიერი ფეხბურთელის შეძენის უფლება ექნება.

ორიოდ დღის წინ "ჩაქუჩებმა" უკვე შეიძინეს ბრაზილიური კლუბის ორი ფეხბურთელი - კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო.

ბრიტანული პრესის ცნობით, კომპანია "MSI", რომელიც "კორინთიანსის" ოფიციალური მფლობელია, "ვესტ ჰემის" შეძენას აპირებს.

### დეკუ და ვალენტე გამოჯანმრთელდნენ

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლუიშ ფელიპე სკოლარის განცხადებით, დეკუ და ნუნუ ვალენტე გამოჯანმრთელდნენ და მზად არიან ფინეთთან სათამაშოდ.

პორტუგალიელები ფინეთის ეროვნულ გუნდთან ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩს ოთხშაბათს გამართავენ.

სკოლარის თქმით, ჯერჯერობით, გაურკვეველია ფერნანდუ მეირას ჯანმრთელობის მდგომარეობა.

### გატუზო გაოგნებულია

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ლიტვასთან 1:1 მიღწეულმა ფრემ იტალიელთა ნახევარმცველი ჯენარო გატუზო გააოგნა.

"გაოცებული ვარ, რომ ვერ შევძელით ლიტველებთან გამარჯვების მიღწევა. ერთი რამ უნდა შევიგნოთ - ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ, რის გამოც ნებისმიერი რანგის გუნდი გაათმაგებული ძალებით გვეთამაშება", - განაცხადა გატუზომ.

"სკუადრა აძურა" მომდევნო შეხვედრას საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან გასვლაზე გამართავს.

### ირლანდიელთა თავკაცი დისკვალიფიცირებულია

ირლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტივ სტაუნტონი ნაკრების მომდევნო შეხვედრას ვერ დაესწრება. ირლანდიელი სპეციალისტი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბუნდესნაკრებთან (0:1) შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ესპანელმა მსაჯმა ლუის მედინა კანტალეხომ მოედნიდან უსაქციელობისთვის გააძევა. თავისი გუნდის მარცხი სტაუნტონმა ბოთლისთვის ფეხის დარტყმით გამოხატა, რის გამოც მკაცრად დაისაჯა კიდეც.

კანტალეხოს გადაწყვეტილების გარდა, შესაძლოა უეფამ დამატებითი ჯარიმის გადახდა დააკისროს ირლანდიელთა თავკაცს.

მომდევნო შეხვედრას ირლანდიელები 7 ოქტომბერს კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ.

### "გალათასარაიმ" ჰაინცესთან კონტრაქტი გაწყვიტა

თურქულმა "გალათასარაიმ" ჩეხეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელთან მარეკ ჰაინცესთან კონტრაქტი გაწყვიტა.

ჩეხი ფეხბურთელი თურქულ კლუბში მენხენგლადბახის "ბორუსიადან" ამ ზაფხულს გადავიდა.

კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის გამო "გალათასარაის" ხელმძღვანელობას სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს.

### ბრაზილიელს იტალიის ნაკრებში თამაში სურს

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ამაურიმ "სკუადრა აძურაში" თამაშის სურვილი გამოთქვა.

"უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იტალიაში ვცხოვრობ და თავს იტალიელად მივიჩნევ", - განაცხადა "პალერმოს" თავდამსხმელმა, რომელიც იტალიის მოქალაქეობას სავარაუდოდ ოქტომბერში მიიღებს.

"ჩემთვის დიდი პატივი იქნება "სკუადრა აძურას" მაისურის მორგება. არგენტინელი მაურო კამორანეზი იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მინდა, იგივე მეც გავიმეორო", - თქვა ამაურიმ.

### საა იტალიელებთან საეჭვოა

ფრანგული "ეკიპის" ცნობით, საქართველოს ნაკრების კარში მეორე გოლის ავტორი ლუის საა კოჭის ტრავმის გამო, სავარაუდოდ, იტალიელებთან შეხვედრას გამოტოვებს.

საფრანგეთის ნაკრები "სკუადრა აძურას" ოთხშაბათს უმასპინძლებს.

# ვარჯიში ავსტრიული დაპირისპირების წინ

პირველი გვერდიდან

პირველ რიგში ტაირონ ელისი. თუ ერთი წლის წინ საქართველოს ნაკრებში შემონდ უილიამსი თამაშობდა, ახლა მისი ადგილი ტაირონ ელისმა დაიკავა. ერთი შეხედვით შემონდი კლასით უფრო მაღალი დონის კალათბურთელი იყო, ბოლოს და ბოლოს უილიამსს NBA-ს საკმაოდ ძლიერ კლუბებში ჰქონდა ნათამაშები, ელისის საკლუბო კარიერა კი მთლიანად ევროპაში წარიმართა. შემონდი ვარსკვლავის სტატუსით სარგებლობდა და მოედანზეც ასევე იქცეოდა, უილიამსი სანახაობრივ კალათბურთს თამაშობდა, მაგრამ დაცვაში თამაშით თავს თითქმის არასდროს იწუხებდა და ალბათ დამერწმუნებით, რომ ისეთ მეტოქესთან, როგორიც ლუქსემბურგის ნაკრებია, დაცვაში თამაშით თავს არც დაიღლიდა. აი, ტაირონ ელისს კი შემონდზე მოკრძალებული კარიერა აქვს და მოედანზეც უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. სამაგიეროდ გუნდზე თამაშობს და დაცვაშიც საკმაოდ კარგად ირჯება.

კიდევ ერთი თვალშისაცემი ცვლილება. თუ გასულ სეზონში ჩვენი გუნდი მოედანზე ფაქტობრივად 5-6 კალათბურთელით თამაშობდა, გუშინ ჰერბერტმა ყველა კალათბურთელს მისცა თამაშის საშუალება და თითოეულმა მათგანმა თავისი წილი შეიტანა გამარჯვებაში, რაზეც მშრალი სტატისტიკაც მეტყველებს. აშკარაა, რომ გასულ სეზონთან შედარებით საქართველოს ნაკრებს უფრო გრძელი სკამი აქვს, რაც მწვრთნელს მეტი არჩევანის საშუალებას აძლევს.



მარკოიშვილის ანგარიშზე 11 ქულაა.

ეს ორი ასპექტი აშკარად თვალშისაცემი იყო, ხოლო ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე, ალბათ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს.

ბოლოს კი კიდევ ერთ ოდნავ არასასიამოვნო დეტალზე გვსურს თქვენი ყურადღების გამახვილება. მატჩის მიწურულს ფაჩულია ელვინ ჯონსს წაეჩხუბა. ვინ იყო ამ ძიძგილაობის ინციატორი რთული გასარკვევია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ფაჩულიამ ნერვები მაინც ვერ მოთოკა და იგი მოედნიდან გააძევეს. ეს კი ჩვენი გუნდისთვის შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს. ამ დღეებში ფიბა განიხილავს ზაზას საკითხს და გადაწყდება მისცემენ თუ არა მას დისკვალიფიკაციას, შესაძლოა საქართველოს ნაკრების ლიდერს მომდევნო თამაშიც კი გამოატოვებინონ, არადა ავსტრიაში უპრინციპულესი დაპირისპირება გველის და ფაჩულიას გარეშე იმ მატჩის მოგება გაჭირდება. საწყენი იქნება თუ ლუქსემბურგის საკმაოდ სუსტი ნაკრების ერთ-ერთ რიგით კალათბურთელთან ჩხუბის გამო ზაზას მომდევნო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ახლა კი მატჩის შემდგომ გაკეთებულ რამდენიმე კომენტარს გაგაცნობთ.

**გორდონ ჰერბერტი:** "თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეტოქეც არ ყოფილა ძლიერი. რთული თამაში ავსტრიაში გველის, რომლისთვისაც მოსამზადებლად ფაქტობრივად, ერთი დღე გვაქვს (საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ავსტრიაში ხვალ მიემგზავრება, 6 სექტემბერს კი თამაში გვაქვს. რედ.). ანუ, ავსტრიაში ჩასვლიდან მეორე დღესვე მოედანზე გავდივართ. იქ ყველაფერი სხვაგვარად იქნება".

**ნიკა ცქიტიშვილი:** "მნიშვნელოვანი თამაში იყო. იმედია, ასევე გავაგრძელებთ. ახლა კი სჯობს დღევანდელი თამაში დავივიწყოთ და შემდგომი შეხვედრებისთვის მოვემზადოთ.

რაც შეეხება მომხდარ ინციდენტს, ასეთი რამეები სპორტში ჩვეულებრივი ამბავია. როდესაც მეტოქე აგებს, თანაც დიდი სხვაობით, გუნდი ფსიქოლოგიურად ტყდება".

**ტაირონ ელისი:** "მოედანზე და დარბაზში შესანიშნავი ატმოსფერო სუფევდა. მადლობელი ვარ გულშემატკივრების. ბოლომდე ჯიგრულად გვქომაგობდნენ. აქ ყველა ჩემი მეგობარია. თითოეული მათგანი მიყვარს. აი, გუნდი კი მართლაც მაგარი გვყავს. ვამაყობ ბიჭებით. ჩვენს გუნდში ბევრი ახალგაზრდა თამაშობს, მათ კი ჩინებულად ითამაშეს. ასე რომ, სამომავლოდ კარგი პერსპექტივები გვაქვს".

# ესპანური კორიდა იაპონიაში

გუშინ იაპონიაში დასრულდა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში. ამომავალი მზის ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაიმსხვრა მითი ამერიკელთა უძლეველობის თაობაზე. NBA-ს ვარსკვლავებით დაკომპლექტებული "ოცნების გუნდი" ფინალს მიღმა დარჩა. ამერიკელებმა კიდევ ერთხელ გაუცრუვეს გულშემატკივარს იმედი და აგერ უკვე მერამდენე წელია დიდ ტურნირებს უტიტულოდ ამთავრებენ.

თუმცა თავი დავანებოთ აშშ-ს ნაკრებს, რომელმაც ნახევარფინალი ბერძნებთან წააგო. იაპონიაში ნამდვილი ესპანური კორიდა გაიმართა.

დავიწყოთ იმით, რომ ესპანეთის ნაკრებმა დამაჯერებლად ითამაშა ჯგუფური ტურნირი. პაუ გაზოლსა და მის თანაგუნდელებს არც ამის შემდეგ შეურცხვენიათ თავი, ნახევარფინალში კი მათ საკმაოდ ძლიერ არგენტინის ნაკრებს სძლიეს.

ფინალში, რომელიც გუშინ გაიმართა, ფავორიტად საბერძნეთის ნაკრები იყო მიჩნეული. ჯერ ერთი, ელადელებმა ნახევარფინალიდან თავად ლებრონ ჯეიმსი და დუეინ ვეიდი გამოაძევეს და მეორეც - ესპანელები ფინალს თავისი ლიდერის პაუ გაზოლის გარეშე თამაშობდნენ. მიუხედავად ამისა,



ესპანელთა ტრიუმფი.

ფინალური მატჩი პირინეელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ესპანელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დაცვაში. თავად განსაჯეთ, ბერძენმა კალათბურთელებმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 47 ქულის მოგროვება მოახერხეს. ეს კი თავადაც ხვდებით, რომ ძალიან ცოტაა.

| მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი | |
|---|---|
| ესპანეთი - საბერძნეთი | 70:43 |

პირველი ტაიმი ესპანეთის ნაკრებმა ანგარიშით 43:23 მოიგო. ალბათ, ეს ციფრები თავად მეტყველებს ესპანეთის ნაკრების დაცვის სიძლიერეზე. ერთ ტაიმში მხოლოდ 23 ქულის მიღება საკუთარ კალათში, ალბათ, რეკორდული მაჩვენებელია, ყოველ შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა აშშ-ს ნაკრებს 101 ქულა ჩაუგდეს, რაც ამ გუნდის შედეგიან თამაშზე მეტყველებს. აი, ესპანელებთან კი ელადელებმა თითქოს კალათბურთის თამაშიც კი დაივიწყეს. ცხადია ბერძენთა ასეთი სუსტი თამაში პირველ რიგში ესპანეთის ნაკრების ბრალია.

საბოლოო ჯამში ესპანეთის ნაკრებმა ფინალი ანგარიშით 70:43 მოიგო. მატჩის ბოლო წამებზე ტრავმირებული პაუ გაზოლი თანაგუნდელების გმირობას თვალცრემლიანი ადევნებდა თვალყურს და მიუხედავად იმისა, რომ მას ფინალი არ უთამაშია, ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად მაინც დაასახელეს.

# "მერსედესის თასს" ქართველები დაეპატრონენ

*მშობლებმა შვიდი თუ რვა წლის წინათ მიიყვანეს ჩოგბურთზე და მას შემდეგ კორტიდან კორტზე, ტურნირიდან ტურნირზე დადის. ძირითადად ევროპულ ტურნირებზე. საქართველოში იშვიათად თამაშობს, თუმც უკვე მოასწრო ორჯერ გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონი. წლეულს კი "რენას" თასზეც იმარჯვა. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ რამდენიმე დღის წინათ გერმანიიდან ორი ტიტულით დაბრუნდა, რამაც რევაზ ოსაძეს კონტინენტის მეხუთე ჩოგნის სტატუსი მოუტანა.*

21-27 აგვისტოს რუტეშაიმმა და რენინგენმა ევროპული ტურის ფარგლებში 14 და 16 წლამდელ ჩოგბურთელთა შორის მეექვსედ უმასპინძლა იუნიორთა პირველი კატეგორიის "მერსედესის თასის" გათამაშებას ("მერსედესის თასი" 1998 წლიდან თამაშდება). ჩვენთვის მნიშვნელოვანი გახლდათ 16-წლამდელთა ასპარეზობანი, რადგან მასში ქართველი ჩოგბურთელები რევაზ ოსაძე და ეკატერინე გორგოძე მონაწილეობდნენ. მონაწილეობდნენ რბილი ნათქვამია - ოსაძემ და გორგოძემ მათზე უფროსებს ერთეულებშიც აჯობეს და წყვილთა თანრიგშიც (ოსაძემ ერთეულთა ფინალში მასპინძელი ფილიპ შეიფერი სამ სეტში - 6-3, 0-6, 7-6 დაამარცხა, წყვილებში კი ბოსნიელ მირზა ბასიჩთან ტანდემში მარჩანი/შტებეს ხორვატ-გერმანულ წყვილს ორ სეტში 6-4, 6-4 გაუსწორდა. სხვა-



რევაზ ოსაძემ "მერსედესის თასი" ერთეულებშიც და წყვილებშიც მოიგო.

თა შორის, ოსაძემ შარშან ამავე ტურნირზე ნახევარფინალამდე გააღწია. რედ.), მანამდე კი ოთხ ტურნირზე იასპარეზა. აი, "მერსედესის თასზე" დუბლით კი ევროპის მეხუთე ჩოგნამდე აღზევდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმანულ კორტებზე (თიხნარი გახლდათ) ქართველი ტრიუმფატორის თითოეულ მეტოქეს გაცილებით მეტჯერ უთამაშია ევროპული ტურის ფარგლებში. ახლა, როდესაც რევაზ ოსაძე 16-წლამდელთა საუკეთესო ხუთეულში შედის, წესით და რიგით ოქტომბერში იტალიაში გასამართ "მასტერსზე" მიიწვევენ. ისიც ვთქვათ, რომ "მასტერსზე" საუკეთესო რვა ჩოგბურთელს აქვს თამაშის პატივი.

ქართველი ჩოგბურთელი ამჟამად შინაა და შიგადაშიგ "აშშ-ის ღია ჩემპიონატს" ადევნებს თვალ-ყურს. ზოგადად კი ენდი როდიკსა და რაფაელ ნადალს გულშემატკივრობს.

რაც შეეხება ეკატერინე გორგოძეს, "მერსედესის თასის" ორგანიზატორებმა ის 16-წლამდელთა შორის ტურნირის პირველ ნომრად განთესეს. გათამაშების პირველ ნომერს კი ფინალში მეორე ნომრად განთესილ ჩეხ მონიკა ტუმოვასთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა. ქართველისა და ჩეხის დაპირისპირება ორ სეტს გაგრძელდა და ის გორგოძის გამარჯვებით - 6-4, 6-1 დასრულდა, მოგვიანებით კი გორგოძე ბელორუს მარია მელიუკს შეუამხანაგდა და იტალიურ-პოლონურ წყვილს ჯულია ბრუცონესა და კამილა მარჩოცკას ფინალში საკმაოდ იოლადაც გაუსწორდა 6-2, 6-2.

ერთი სიტყვით, ქართველმა ჩოგბურთელებმა პირველობა არავის დაუთმეს და საჩოგბურთო სამყაროს ყურადღებაც მიიპყრეს.

აქვე საქართველოს ნაკრების ლიდერთა რეიტინგებზეც ვთქვათ. უფრო სწორად, "აშშ-ის ღია ჩემპიონატის" წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციების ახალ რეიტინგებზე.

ATP-ის განთესვის რეიტინგში ერთბაშად 26 საფეხურით დაწინაურდა და კარიერის უმაღლეს - 463-ე საფეხურზე აღზევდა საქართველოს ნაკრების მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე. რაც შეეხება ნაკრების ლიდერს ირაკლი ლაბაძეს, რომელსაც "უიმბლდონის" ტურნირის შემდეგ არსად უთამაშია, 258 ქულით 162-ე საფეხურზეა, რაც წინა რეიტინგთან შედარებით ერთი საფეხურით უარესია. აი, ATP-ის საჩემპიონო რბოლაში კი ლაბაძე 33 ქულით 105-ე ადგილზეა.

ლადო ჩიხლაძის არ იყოს, კარიერის უმაღლეს - 175-ე საფეხურამდე დაწინაურდა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი. ამჟამად მას 158 სარეიტინგო ქულა აქვს.

## მოკლედ

### რონალდომ ვარჯიში განაახლა

"როიტერის" ცნობით, მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. ჯერჯერობით, ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი უცნობია.

### ლუკემ "ბორდო" უარყო

ესპანელი თავდამსხმელის ალბერტ ლუკეს განცხადებით, ის თავს ბედნიერად გრძნობს "ნიუკასლის" შემადგენლობაში, რის გამოც ფრანგული "ბორდოს" შეთავაზება უარყო.

ფეხბურთელი, რომელიც "კაჭკაჭებმა" გასულ წელს "დეპორტივოდან" 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინეს, პრემიერლიგის შარშანდელი სეზონის იმედგაცრუებად მოინათლა.

მიუხედავად ამისა, ლუკემ ინგლისში თამაში და მაიკლ ოუენის გარეშე დარჩენილი "ნიუკასლის" დახმარება გადაწყვიტა.

### ტორესი სამი წლით

ესპანური პრესის ცნობით, მადრიდის "ატლეტიკოსა" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი მომავალ კვირას კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ტორესი მადრიდულ გუნდში კიდევ სულ მცირე სამი წლით დარჩება.

### ამბროზინი დაშავდა

მასიმო ამბროზინი, რომელმაც ტრავმის გამო იტალიის ნაკრების ბაზა დატოვა, სავარაუდოდ ვერც "მილანს" დაეხმარება სერია ა-ს სადებიუტო შეხვედრაში.

აპენინური პრესის ცნობით, ფეხბურთელმა ვარჯიშისას კუნთი დაიჭიმა და ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე ექიმები თავდაპირველად ვარაუდობდნენ.

პირველ შეხვედრას ამბროზინის "მილანი" 10 სექტემბერს "სან სიროზე" "ლაციოს" წინააღმდეგ გამართავს.

### აილტსი "ჰანოვერს" არ უთავკაცებს

ევროპის 1996 წლის ჩემპიონის და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დიტერ აილტსის განცხადებით, იგი "ჰანოვერ 96"-ში გადასვლას არ აპირებს.

"გავიგე, რომ "ჰანოვერი" ჩემი გადაბირებითაა დაინტერესებული, თუმცა ახალი სამსახური არ მჭირდება", - განაცხადა აილტსმა ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ, რომელშიც გერმანელებმა 3:2 გაიმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ "ჰანოვერის" თავკაცი პიტერ ნოირურერი გუნდის ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

### შევჩენკომ ტრავმა უარყო

ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც უკრაინის ნაკრების ღირსება კიევის ცსკა-სთან შეხვედრაში დაიცვა, უარყო პრესაში გავრცელებული ხმები მისი ტრავმის თაობაზე.

"არ ვიცი, რატომ გამივრცელეს ასეთი ჭორი, სრულიად ჯანმრთელი ვარ, თავს კარგად ვგრძნობ და არც ფიზიკურ ფორმას ვუჩივი", - განაცხადა "ჩელსის" უკრაინელმა თავდამსხმელმა.

### მსაჯთან კამათი მკაცრად დაისჯება

უეფას კომიტეტის მეოთხე სხდომაზე ევროპული ფეხბურთის სამსაჯო კავშირმა არბიტრებს კატეგორიულად მოსთხოვა, რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე გამოიჩინონ მსაჯებთან მოკამათე ფეხბურთელთა მიმართ.

ნიონში გამართული სხდომის შედეგად გადაწყდა, რომ მსაჯები ფეხბურთელებს შემდეგ შემთხვევებში გააფრთხილებენ:

- სხვა ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათის ჩვენების მოთხოვნისას;

- არბიტრის ამა თუ იმ ჟესტით შეურაცხყოფისას;

- მსაჯის გარშემო ფეხბურთელთა მასიური შეგროვებისას, რომლის დროსაც ინციდენტის მთავარი დამნაშავის გარდა, მინიმუმ კიდევ ერთი ფეხბურთელი უნდა დაისაჯოს.

ცვლილებები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველივე შეხვედრიდან განხორციელდება.

### ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები

ზაფხულის ცხელი სატრანსფერო სეზონი, როგორც იქნა, დასრულდა. ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში ბევრი ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა, რომელთა შორის, ცხადია, არიან წარმატებული და წარუმატებელი შენაძენები.

**სეზონის პირველი წარმატებული ხუთეული ასე გამოიყურება:**

**1. კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო ("კორინთიანსი" - "ვესტ ჰემი")**

ლონდონურმა კლუბმა მსოფლიოს ორი წარმატებული ფეხბურთელი საკმაოდ სენსაციურად და ყველასთვის მოულოდნელად შეიძინა. უდავოა, არგენტინული დუეტი, რომელთათვისაც ეს სეზონი ევროპაში სადებიუტო იქნება, ალან პარდიუს გუნდს გააძლიერებს.

**2. მიხაელ ბალაკი ("ბაიერნი" - "ჩელსი")**

თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ ნახევარმცველში ლონდონის "ჩელსიმ" დღეისთვის სასაცილო თანხა გადაიხადა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კონტრაქტი მომგებიანი იქნება აბრამოვიჩის გუნდისთვის.

**3. ფაბიო კანავარო ("იუვენტუსი" - "რეალი)**

უდავოა, რომ მსოფლიო ჩემპიონი იტალიელი მცველი მადრიდის "რეალის" დაცვას საბოლოოდ გაამყარებს.

**4. პატრიკ ვიეირა ("იუვენტუსი" - "ინტერი")**

ფრანგი ნახევარმცველის შეძენა "ინტერის" ხელმძღვანელობის ყველაზე გონივრულ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ.

**5. დირკ კუიტი ("ფეიენოორდი" - "ლივერპული")**

მერსისაიდელებმა ევროპის ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდისთვის ბრძოლაში სხვა დანარჩენ კლუბებს სძლიეს. თუ რაფაელ ბენიტესი ჰოლანდიელის ბომბარდირულ თვისებებს კარგად გამოიყენებს, მაშინ "ლივერპულს" ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ეყოლება.

**საეჭვო ტრანსფერები**

**1. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ("იუვენტუსი" - "ინტერი")**

ტურინის "იუვენტუსთან" შვედი თავდამსხმელის თაობაზე მილანელები დიდხანს ვაჭრობდნენ, თუმცა ბოლოს მაინც მაქსიმალური თანხის - 25 მილიონი ევროს გადახდა მოუწიათ. თქმა არ უნდა, იბრაჰიმოვიჩი უმაღლესი რანგის თავდამსხმელია, თუმცა არასტაბილური. ისიც უნდა ვთქვათ, რომ შვედმა ფეხბურთელმა მსოფლიო ჩემპიონატი მთლიანად ჩააგდო, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ "ინტერმა" აშკარად გარისკა.

**2. ანდრეი შევჩენკო ("მილანი" - "ჩელსი")**

"ჩელსიმ" აქცენტი იმ ფეხბურთელზე გააკეთა, რომელიც ფორმის პიკში აღარ არის, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შევჩენკო მაინც ერთ-ერთ შედეგიან თავდამსხმელად მიიჩნევა.

**3. დიმიტარ ბერბატოვი ("ბაიერი" - "ტოტენჰემი")**

ბუნდესლიგაში თამაშისას ამ ფეხბურთელმა საგოლე მომენტებზე დაგეშილი თავდამსხმელის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ ინგლისში ბერბატოვს უფრო გაძლიერებულ დაცვასთან მოუწევს თამაში, რის გამოც მისი შედეგიანობაც მოიკლებს. მით უმეტეს, რომ "ტოტენჰემის" თავკაცის მარტინ ო`ნილის განკარგულებაში კიდევ სამი საკმაოდ ძლიერი ფორვარდია: რობი კინი, აჰმედ ჰოსამ მიდო და ჯერმეინ დეფო.

**4. ჯონ ობი მიკელი ("ლიონი" - "ჩელსი")**

მიუხედავად ასაკისა, ნიგერიელ ფეხბურთელს ევროპულ დონეზე თამაშის მწირი გამოცდილება აქვს. თუმცა, "ჩელსიმ" მისი შეძენა მაინც გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ მიკელს ძირითადად სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა.

**5. მაიკლ კერიკი ("ტოტენჰემი" - "მანჩესტერ იუნაიტედი")**

რა თქმა უნდა, მაიკლ კერიკი ინგლისურ ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა, რომელსაც პრემიერლიგაში თამაშის კარგი გამოცდილება აქვს. მაგრამ რთულია იმის თქმა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედში" კერიკი როი კინს შეცვლის. ფეხბურთის სპეციალისტებიცა და "მანჩესტერის" გულშემატკივრებიც ერთხმად შეთანხმდნენ, რომ კერიკში გადახდილი 18 მილიონი ევრო კარგა ხანს ვერ გამოიღებს ნაყოფს.

მოკლედ

### "იმერეთი" 2 გრან-პრის მფლობელი გახდა

ქალაქ სოჭში მოქმედი ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "იმერეთი" ბოლო 3 თვის განმავლობაში 2 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

ანსამბლმა ფოლკლორული შემოქმედების ორივე კონკურსზე გრან-პრი მოიპოვა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი სახელაშვილის განცხადებით, ნორჩი მოცეკვავეები წარმატებით გამოვიდნენ სოჭში გამართულ ბავშვთა შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალზე "ევროპის იმედი".

ქორეოგრაფიული ანსამბლი "იმერეთი" სოჭში 6 წლის წინ ჩამოყალიბდა. მასში სოჭის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა შვილების გარდა, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან გაერთიანებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბოშური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

9 სექტემბერს კიევში ბოშური ხელოვნების VII საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნება. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე უკრაინის, ესპანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და კუბის ბოშური თვითშემოქმედებითი კოლექტივები წარდგებიან.

ფესტივალის საპატიო სტუმარად მიწვეულია ვლადიმერ გრიშკო. ფესტივალს ორგანიზებას უკრაინის დამსახურებული არტისტი იგორ კრიკუნოვი უწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "პარფიუმერის" ეკრანიზაციის პრემიერა

14 სექტემბერს გერმანიაში გაიმართება ბოლო ათწლეულების ყველაზე წარმატებული გერმანული ბესტსელერის "პარფიუმერის" ეკრანიზაციის პრემიერა.

წიგნი, რომლის ავტორიც პატრის ზიუსკინდია, 1985 წელს გამოვიდა და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თუმცა ავტორი არა მარტო ინტერვიუების მიცემაზე აცხადებდა უარს, არამედ მისი ნამუშევრის ეკრანიზაციის წინააღმდეგიც იყო. რომანის, რომელიც 42 ენაზე ითარგმნა, სრული სახელწოდებაა "პარფიუმერი. ერთი მკვლელის ისტორია".

"ნიუ იორკ ტაიმსის" კრიტიკოსებმა რომანი 1986 წლის ნაწარმოებად აღიარეს. ხოლო, ამერიკულმა ჯგუფმა "ნირვანამ" მას სიმღერა Scentless Apprentice მიუძღვნა.

სხვადასხვა დროს რომანის ეკრანიზაციის სურვილი მარტინ სკორსეზემ, ტიმ ბარტონმა, სტივენ სპილბერგმა, იშტვან საბომ, მილოშ ფორმანმა, რომან პოლანსკიმ და სხვა აღიარებულმა რეჟისორებმა გამოთქვეს.

თავად ზიუსკინდი მისი ნაწარმოების ეკრანიზაციის ავტორად მხოლოდ სტენლი კუბრიკს ხედავდა. მაგრამ 1992 წელს, კუბრიკის გარდაცვალების შემდეგ მწერალმა რომანის შესაძლო ეკრანიზაციაზე ხელი ჩაიქნია.

კინოწრეებში რომანის ეკრანიზაციის შესახებ იმედებს არ კარგავდნენ. კინომაგნატმა ბრენდ აიხენგერმა შესძლო მიზნის მიღწევა და კინოკომპანია Constantin Film-ის მიერ ნაწარმოების ეკრანიზაციის უფლების მოპოვებისათვის 10 მილიონი ევრო გადაიხადა. ფილმის ბიუჯეტი 50 მილიონი ევროს ფარგლებში დამტკიცდა. რეჟისორად რიდლი სკოტის კანდიდატურა განიხილებოდა. მთავარი როლის შემსრულებლებად კი ლეონარდო დი კაპრიოს, ჯონ ორლანდო ბლუმის მოწვევას აპირებდნენ.

საბოლოოდ პროდიუსერმა რეჟისორად ტომ ტიკვერი მოიწვია, რომელიც გადაღებებს გასული წლის 12 ივლისს შეუდგა. გადაღებები მიმდინარეობდა საფრანგეთში - პროვანსში, ესპანეთში - ბარსელონაში და მიუნხენის კინოსტუდიაში.

ფილმში რეჟისორმა მთავარი როლის შემსრულებლებად ნაკლებად ცნობილი მსახიობი ბენ უიშოუ და აღიარებული ვარსკვლავი დასტინ ჰოფმანი მიიწვია.

კრიტიკოსები მოუთმენლად ელიან გახმაურებული წიგნის ეკრანიზაციის პრემიერას, რომლის მიმართაც მკითხველთა ინტერესი გამოსვლიდან 21 წლის შემდეგაც არ განელებულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "შემოდგომის ბაღების" მსოფლიო პრემიერა

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის, ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი "შემოდგომის ბაღები" რომის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარდგება.

როგორც თავად ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, ეს ფილმის მსოფლიო პრემიერაა. "შემოდგომის ბაღები" რომის ფესტივალის საკონკურსო ნაწილის სტუმარი იქნება.

ფილმი საფრანგეთის, იტალიისა და რუსეთის ერთობლივი ნამუშევარია და ლირიკულ კომედიურ ჟანრს განეკუთვნება. საფრანგეთის კინოეკრანებზე მისი პრემიერა 28 აგვისტოს შედგა.

ფილმის მთავარი გმირია ექს-მინისტრი, რომელიც მხოლოდ მინისტრის სავარძლის დაკარგვის შემდეგ გადის ქუჩაში და ხედავს რეალურად როგორ ცხოვრობს ხალხი.

რომის კინოფესტივალი 13-21 ოქტომბერს გაიმართება. მასზე 80 ფილმია წარდგენილი.

ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი რეჟისორი და სცენარისტი ეტორე სკოლაა. ფესტივალის გრან-პრის მფლობელი 200 ათასი ევროს მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### იოჰან სებასტიან ბახი

გერმანელმა მკვლევარებმა იოჰან სებასტიან ბახის მიერ გადაწერილი აქამდე უცნობი 2 პარტიტურა აღმოაჩინეს.

ხელით ნაწერი პარტიტურები დაახლოებით 1700 წლით თარიღდება და დიტრიხ ბუქსტეხუდისა და იოჰან ადამ რეინკენის საორღანო მუსიკის ნოტების ასლებს წარმოადგენს. იმ დროისთვის ბახი 15 წლის იქნებოდა, ანუ აღმოჩენილი ასლები მეცნიერების ხელთ არსებული ბახის ყველაზე ადრეული ხელნაწერებია. ხელნაწერებს ვაიმარში, ანნა ამალიას მე-16 საუკუნის სასახლის სარდაფში მიაკვლიეს. სპეციალისტების აზრით, აღმოჩენილი პარტიტურები შესრულების განსაკუთრებით რთულ ტექნიკას მოითხოვს, მათით დაინტერესება კი ახალგაზრდა ბახის ვირტუოზულ ოსტატობასა და ურთულესი შესრულების ტექნიკის დაუფლებისკენ მისწრაფებაზე მიუთითებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კავკასიის კამერული ორკესტრი

კავკასიის კამერული ორკესტრი 18 სექტემბერს ვენაში კონცერტს გამართავს. ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ჩრდილოეთ კავკასიელი მუსიკოსები ჰოფბურგის სასახლეში ჰენრი პერსელის, მოცარტის, ოტორინო რესპიგის ნაწარმოებებთან ერთად ვაჟა აზარაშვილისა და აზერბაიჯანელი კომპოზიტორის, ფიკრეტ ამიროვის სიმფონიებსაც შეასრულებენ.

ავსტრიელი მსმენელების წინაშე კონსტანტინე ლემონჯავა, გალინა ბანდურა, არმან გრიგორიანი, მარია შუვახინა-მელაშვილი, ბელა მახარაძე, რუსტამ აბუსაიდოვი, ირინა ხოშტარია, გიორგი ოქროპირიძე, ნელი არუთინიანი და ლევონ ალავერდიანი წარსდგებიან.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის კამერული ორკესტრი თბილისში გერმანელი პიანისტისა და კომპოზიტორის, უვე ბერკემერის ინიციატივით ჩამოყალიბდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საფინანსო სააგენტოს" მიერ აუდიტორულ-საექსპერტო მომსახურების თაობაზე 2006 წლის 11 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს "მ.ს. კონსალტინგი", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ.

**სსიპ "საფინანსო სააგენტო".**

**56-Ე ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ.**
**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ N34**
**ᲢᲔᲚ: 23-58-12**
**22-35-85**

## იტალიის ექს-პრემიერი




იტალიის ყოფილი პრემიერის, სილვიო ბერლუსკონის ალბომი გაყიდვაში 29 სექტემბერს გამოვა, მისი 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ეს ფაქტი ბერლუსკონიმ მეგობრებს გაუმხილა, როცა იგი სარდინიის სანაპიროებზე ისვენებდა. მან აღნიშნა, რომ უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს სიმღერების ჩაწერაზე. მისი სიმღერებისთვის მუსიკას წერს ნეაპოლელი კომპოზიტორი მარიანო აპიჩელა, ხოლო ტექსტს ქმნის რინო ჯილო.

ცნობილია, რომ ბერლუსკონიმ თავისი პირველი დისკი 2003 წელს გამოუშვა. სიმღერა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დაიწყო, როცა მონაწილეობდა გასართობი სპექტაკლების გასტროლების დროს. მუსიკა ყოფილი პრემიერისთვის ცნობილი გასართობია. არაჩვეულებრივად ფლობს პიანინოს, გიტარას და კონტრაბასს. იგი ამტკიცებს, რომ მუსიკალური სკოლა მეგობრის ფედელე კონფალონიერის დახმარებით გაიარა, რომელიც ამჟამად სატელევიზიო კომპანია Mediaset-ს ხელმძღვანელობს. ყოფილი პრემიერის ერთ-ერთი მთავარი ჰობი ამჯერად კაქტუსებიცაა. მისი კოლექცია დაახლოებით 400 სახეობას მოიცავს.

## პერუს ცივილიზაცია



ლონდონის პოლიციამ ერთ-ერთი იურისტის ოფისში უძველესი ნივთი აღმოაჩინა, რომელიც პერუს ცივილიზაციის ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს I-VIII საუკუნეებში ჩვ.წ. აღრიცხვამდე. საქმე ეხება თავის გამოსახულებას, რომელიც ქვეყნიდან 1988 წელს "შავმა არქეოლოგებმა" გაიტანეს. ნიდერლანდელმა არტდილერმა მიხელ ვან რეინმა, რომელიც პოლიციას ეხმარებოდა მის მოძებნაში, იგი მილიონ ფუნტ სტერლინგად (1,89 მილიონი დოლარი) შეაფასა.

ოქროს ფირფიტისგან შექმნილი ბიუსტი აღნიშნავს ზღვის ღმერთს. მუზეუმის დირექტორის უოლტერ ალვის თქმით, მისი ანალოგი პერუს არც ერთ მუზეუმში არ არის. "უცნაურია, როგორ გაქრა ქვეყნიდან ეს ნაციონალური ძვირფასეულობა... თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ მისი აღმოჩენა ქურდების წინააღმდეგ დიდი გამარჯვებაა..."

აღსანიშნავია, რომ ოქროს თავის გამოსახულება ნაპოვნი იქნა პერუს "ლა მინას" რაიონში. 1988 წელს გაქურდეს ერთ-ერთი დიდი დაწესებულება და იგი მაშინვე ანტიკვარიატის შავ ბაზარზე აღმოჩნდა.

## რეუვენ რუბინი

ცნობილი ისრაელი მხატვრის რეუვენ რუბინის ორი ნამუშევარი მოიპარეს ტელ-ავივის მუზეუმ "ბეიტ რეუვენიდან". აღსანიშნავია, რომ მხატვრის ეს ნამუშევრები ყველაზე ძვირადღირებულია. სულ ცოტა ხნის წინ ისინი მუზეუმ "ბეიტ ბიალიკს" ეკუთვნოდა და პოეტ ხაიმ ბიალიკის კოლექციაში ინახებოდა. პოეტის სახლში ამჟამად მიმდინარეობს რემონტი და სწორედ ამიტომ სურათები დროებით გადატანილი იქნა რეუვენის მუზეუმში.

როგორც მუზეუმის ხელმძღვანელი კარმელა რუბინი აღნიშნავს, - "თითოეული ნამუშევრის ღირებულება 300 ათას დოლარს შეადგენს. ისინი რეუვენმა 1926 წელს შექმნა და შემოქმედის იმ პერიოდის ერთ-ერთი პირველი ნამუშევრებია, როცა ებრაული კულტურა აღმავლობის გზას ადგა."

პოლიციელები ფიქრობენ, რომ ქურდებმა კარგად იცოდნენ, რისთვის მიდიოდნენ მუზეუმში. შეიძლება ითქვას, რომ ქურდობა დაკვეთითაა შესრულებული. სიგნალიზაციის ჩართვიდან ძალიან მცირე დროში მოახერხეს მუზეუმში შესვლა, ექსპონანტების აღება და მიმალვა. თვითონ ნამუშევრები სპეციალურად დაცული არ იყო.

როდესაც მხატვარი 1974 წელს გარდაიცვალა, მის სახლში, მხატვრისავე სურვილით, მუზეუმი გაკეთდა, სადაც მხატვრის საუკეთესო ნამუშევრები იყო გამოფენილი. მისი ნამუშევრებს მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმები მასპინძლობდნენ პარიზში, ნიუ იორკში და ა.შ.

ცელულოიდის ენები
N.B. ეს პლასტიკური ოპერაცია არ გეგონოთ!
თუ თქვენ გაინტერესებთ ან გჭირდებათ უცხო ენები და გიყვართ კარგი ევროპული კინო
ისარგებლეთ ამ ახალი, ევროპაში უკვე აპრობირებული ენების შესწავლის მეთოდით
ცელულოიდის კინოფირებიდან მოლაპარაკე კინოგმირების დახმარებით ისწავლეთ
იტალიური, ესპანური, ფრანგული და რუსული ენები
ხალისიანად! ეფექტურად! საფუძვლიანად!
თქვენს ასაკს და ამ ენების ცოდნის დონეს მნიშვნელობა არა აქვს!
დაგვიკავშირდით!
ტელ. 893 199 321
სწავლა იწყება 11 სექტემბერს!
მსურველებმა იჩქარეთ!
მოინახულეთ ჩვენი ვებ-გვერდი
www.celluloidis-enebi.info
P.S. ეს გემოვნების და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების ოპერაციაა!
ცელულოიდის ენები

**ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ**
**ᲜᲐᲣᲢᲘᲚᲣᲡᲘ**



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





**"ᲓᲐᲕᲘᲗ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ"-Ს ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲗ**

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** **893 60 30 06**
**893 65 38 39**

**ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚ ᲪᲔᲜᲢᲠ "ᲜᲐᲣᲢᲘᲚᲣᲡᲨᲘ"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# პანიკა! მადონა პრიზის გარეშე დარჩა

პირველი გვერდიდან



ეს წელი მადონასთვის თავიდანვე უიღბლოდ დაიწყო. მისი შოუ Confessions on a Dance Floor არაერთი სკანდალის მიზეზი გახდა. სექტემბერში მოსკოვში დაგეგმილი მადონას კონცერტი კი შეიძლება სულაც ჩაიშალოს, რადგან მომღერალს ცუდი წინათგრძნობები გაუჩნდა... ახლა კი ეს დაჯილდოების ცერემონიალი! მადონას კლიპი 5 ნომინაციაში იყო წარდგენილი, თუმცა ვერც ერთი პრიზის აღება ვერ შეძლო.

თუმცა "პანიკიორმა" პანკებმა მადონას გარდა შაკირას, კრისტინა აგილერასა და Red Hot Chili Peppers-ის გაწბილებაც შეძლეს, რომლის Dani California ასევე რამდენიმე ნომინაციაზე იყო წარდგენილი, თუმცა მხოლოდ ერთში - დამდგმელი მხატვრის ნომინაციაში გამარჯვება მოახერხა.

ქალი შემსრულებლის საუკეთესო ვიდეოს ნომინაციაში მადონას კელი კლარკსონმა გაუწია კონკურენცია და კლიპით Because of You კრისტინა აგილერას, ნელი ფურტადოსა და შაკირას (ვიკლიფ ჯინთან დუეტი) დამარცხებაც შეძლო. საუკეთესო საცეკვაო კლიპის ნომინაციაში კი მადონას, ნელი ფურტადოს, შაკირასა და შონ პოლის უკან ჩამოტოვება Pussycat Dolls with Snoop Dogg-მა შეძლო სიმღერით Buttons. რომანტიკულ-ლირიკული სიმღერების მოყვარულებისთვის კი დიდი ბედნიერება იყო, როდესაც მამაკაცის საუკეთესო ვიდეოს ნომინაციაში ჯეიმს ბლანტმა გაიმარჯვა კომპოზიციით You're Beautiful.

Panic! At The Disco და Red Hot Chili Peppers ერთმანეთს კიდევ ერთ ნიმინაციაში დაუპირისპირდნენ, თუმცა ჯგუფის საუკეთესო კლიპად ჟიურიმ All-American Rejects-ის Move Along მიიჩნია. რეპ-ვიდეოს ნომინაციაში Chamillionaire-მ გაიმარჯვა და თვით ბასტა რაიმსი და 50 ცენტი პრიზის გარეშე დატოვა. ხოლო საუკეთესო R&B კლიპის ნომინაციაში პირველობა არავის დაუთმო ბეიონს ნოულზმა და Slim Thug-მა. მერი-ჯეი ბლაიჯი, მერაია კერი და ჯეიმი ფოქსი კი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თავისი წილი მიიღო Black Eyed Peas-მაც, რომელმაც ჰიპ-ჰოპის კლიპის ნომინაციაში სიმღერა My Humps-ის მიხედვით გადაღებული ვიდეოთი გაიმარჯვა.

Panic! At The Disco-სა და Red Hot Chili Peppers-ის მორიგი შეხვედრა კვლავ მათთვის უიღბლოდ დასრულდა და საუკეთესო როკვიდეოდ AFI-ს Miss Murder დაასახელეს. ამ ნომინაციაში არც Green Day-ს გაუმართლა და არც 30 Seconds to Mars. პოპ ვიდეოს ნიმინაციაში კი პინკმა იმარჯვა და შაკირა, მადონა, ნელი ფურტადო და კრისტინა აგილერა ერთი ხელის მოსმით ჩამოიცილა გზიდან.

MTV Video Music Awards მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალი არაა. წლევანდელი შოუზე ჯასტინ ტიმბერლეიკი, ბეიონსი და კრისტინა აგილერა მღეროდნენ. ასევე ორთვიანი პატიმრობის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა რეპერი ქალი ლილ კიმი. მის შემდეგ აუდიტორიის წინაშე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი წარდგა, რომელმაც საზოგადოებას ბუნების დაცვისკენ მოუწოდა.

# რუსული ჰუმანიზმი და ანგელოზები

მხატვრის ტექსტუალური ჩანახატებიდან

სოფო კილასონია



იმის მიუხედავად, რომ აგვისტოს ბოლო, მით უფრო ამგვარ ტროპიკულ სიცხეში სულაც არ გახლავთ ახალი თეატრალური წარმოდგენისთვის საუკეთესო დრო, მით უფრო მაშინ, როცა თუნდაც ახლად გარემონტებული თეატრის კონდიცირების ახალი სისტემაც ვერ უძლებს შექმნილ ვითარებას, წარმოდგენა ზომაზე მეტად მომხიბვლელად უნდა გამოიყურებოდეს; ჯერ კიდევ მოსაწვევებსა და აფიშებზე, რომ მისი ხილვის სურვილმა ახალი ტიპის თეატრონში შეგიტყუოს და ორსაათნახევარი სცენას მიგაჯაჭვოს.

სწორედ ამდენ ხანს გრძელდებოდა ორიოდე დღის წინ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში წარმოდგენილი, გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამის თეატრის ახალი სპექტაკლი, რომელიც მოწვეულმა რეჟისორმა თანამედროვე რუსული ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე დადგა და საბოლოოდ ერთი მსახიობის მონოლოგი და სამსურათიანი სპექტაკლი აჩუქა თბილისელ თეატრალებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისთვისაც გრიბოედოვის სახელობის თეატრი და მისი რეპერტუარი პირდაპირი გზაა მონატრებული რუსული კულტურისკენ მიმავალი. მიოხედავად იმისა, რომ პირადად მე არ მესმის, მაინც რა ენატრება ჩვენს საზოგადოებას და თუ მაინც და მაინც რაღაც დაეკარგათ, რა უშლის მათ ხელს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ხელოვნებას საფუძვლიანად ეზიარონ და იქნებ ის, რაც გვენატრება, სულაც არ გახლავთ "მაღალ მატერიათა" რიგში განსახილველი? და მაინც, ამ გაუგებრობათა მიუხედავად ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სევდიანი პროტესტი ალბათ მაინც უნდა გავითვალისწინოთ და რუსული თანამედროვე ხელოვნება მხოლოდ ალა პუგაჩოვასა და ლოკომოტივის მსგავს რუსულ სერიალებად არ უნდა აღვიქვათ და მაშინ, როცა ვენის ოპერის თეატრსა და ავინიონის თეატრალურ ფესტივალზე ვწერთ და ვსაუბრობთ, რუსულ წამყვანი დრამატული თეატრების რეპერტუარსაც შეიძლება გადავხედოთ, იქნებ საბოლოოდ მაინც გავიგოთ სად შეიძლება დიალოგი და სად არა. ბოლო-ბოლო ხომ ამბობენ, და ხანდახან ხომ ჩვენც ვიმეორებთ ხოლმე რომ თეატრი პირველ რიგში ტრიბუნაა საზოგადოების აზრისა და განწყობის გამომხატველი?!

მოკლედ, რაღა გავაგრძელოთ და ამ ეტაპზე რუსულ თეატრალურ ხელოვნებასთან ყველაზე ახლო კონტაქტს თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრი და ხელოვნების ფესტივალი "საჩუქარი" რომ ავლენენ, ამაზე უკვე ხშირად გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ. უკანასკნელი სახელოვნებო მოვლენის ბედ-იღბალი როგორ გაგრძელდება, ნამდვილად რთული სათქმელია, თუმცა გრიბოედოვის თეატრის მომავალი რომ ნათელში გვეჩვენება, ეს დღეისთვის ფაქტია. სწორედ ამ დასისადმი პატივისცემით უნდა ავხსნა და არამხოლოდ წარმატებული სპექტაკლით, თითქმის სავსე დარბაზი და გულმხურვალე აპლოდისმენტები. თუმცა, სულაც არ გვსურს ისე გამოგვივიდეს, თითქოს სპექტაკლმა ისე ჩაიარა არაფრით შეგვაწუხა და არც არაფერი დაგვიტოვა. როგორ არა, ცოტა-ცოტა ყველაფერი იყო. ერთი მსახიობის, ანუ ირინა მეღვინეთუხუცესის კარგი თამაში და რაც ყველაზე მთავარია, მისთვის დამახასიათებელი მუდამ კარგი მეტყველება, თანაც ნუ გაგიკვირდებათ და უცხო ენაზე. კიდევ იყო საინტერესო სცენოგრაფია და კიდევ საერთო დინამიკა, რომელის შესაქმნელად რეჟისორი იღწვოდა და ისევ და ისევ მსახიობი ირჯებოდა.

მართალია, ისე როგორც უმრავლესობა მონო-სპექტაკლებისა, ეს უკანასკნელიც მსახიობის წარმოდგენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ტექსტი რჩება უკანა პლანზე და არც სიუჟეტი ხდება უბრალოდ მსახიობის მანერა და სტილი.

და ბოლოს ის, რაც წესითა და რიგით, თავში უნდა გვეთქვა: საქმე ეხებოდა ედუარდ კოჩერგინის, ცნობილი თეატრალური მხატვრის ლიტერატურულ ნაწარმოებს "ანგელოზის თოჯინას", რომელმაც თბილისის ერთ-ერთი სცენისთვის მოწვეულმა ახალგაზრდა რეჟისორმა, დიმიტრი ეგოროვმა განახორციელა. წარმოდგენის დამდგემლი მხატვარი მირიან საღარეიშვილი გახლდათ, პროექტის პროდიუსერი ზურაბ ჭიპაშვილი, ხოლო მისი ორგანიზატორი "რუსული კლუბი" გახლდათ.

პრემიერის შემდგომ, როგორც თავიდან მოგვახსენეს, გარკვეული შეხვედრა-საუბარი უნდა შემდგარიყო, თუმცა ამ შეხვედრის შესახებ როგორც ჩანს ბევრმა არც არავინ იცოდა, რადგანაც თეატრი წარმოდგენის შემდეგ უმალ დაიცალა. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ორგანიზატორ საზოგადოებას, მისი არსებობის შესახებ რამდენიმე თვის წინ შევიტყვე, მას შემდეგ რაც ხელთ ჟურნალი Русский клуб ჩამივარდა. ეს უკანასკნელი, ძირითადად რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს ეხებოდა, ყველაფერს, რაც საქართველოში რაიმე რუსულს გვგონებს და კიდევ ყველაფერს, რასაც რუსული ელფერი საქართველოში ჯერ კიდევ შერჩენია. ჟურნალი ნამდვილად საინტერესო საკითხავია. საინტერესოც და შიგადაშიგ მეტადრე გამახალისებელიც.

ედუარდ კოჩერგინი რუსულ თეტრალურ სივრცეში ერთ-ერთი გამოჩენილი და საინტერესო ფიგურა გახლავთ. სხვადასხვა დროს პეტერბურგისა და მოსკოვის წამყვანი თეატრების მთავარი მხატვარი, ცნობილ რეჟისორებთან და მეტად საინტერესო სპექტაკლებზე მუშაობდა. გარდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა რუსეთის თითქმის ყველა სახელოვნებო პრემიის ლაურეატი რუსეთის სამხატვრო აკადემიისა და სანკ-პეტერბურგის რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტის პროფესორია. ყველაფერთან ერთად იგი უკვე სტაჟიანი მწერალიც გახლავთ. იბეჭდებოდა ჟურნალებში: "თეატრი", "ჩვენი მემკვიდრეობა", "სცენა" და სხვა. ჩამონათვალს უნდა დაემატოს საავტორო რუბრიკა "პეტერბურგის თეატრალურ ჟურნალში" და კიდევ რამდენიმე დეტალი, ტუმცა ამ შემთხევაში ამაზე შორს აღარ წავალთ.

ედუარდ კოჩერგინის მოთხრობები, რომელთა შორისაც დიმიტრი ეგოროვმა სამი შეარჩია, სამი პეტროგრადული ისტორიაა და ავტორის საყვარელი ქალაქის სამი უჩვეულო პორტრეტი, რომლებიც ძირითადად 1940-1960 წლებს მიმოიხილავს. თუმცა არა, ეს სულაც არ არის მიმოხილვა, ეს ეტიუდების ნაკრებია, რომელიც ყველაზე მთავარსა და საინტერესოს, ომის შემდგომი პეტერბურგის ამინდსა და განწყობას ხატავს. ხატავს ინვალიდების, არასრულწლოვანი მეძავებისა და უსახლკარო მშივრების ამეტყველებული სახეებით.

რეპრესირებული მშობლების შვილისთვის, რომელიც "ენკავედე"-ს მიერ მიჩენილმა მეურვეებმა აღზარდეს, დაგროვილი სათქმელის ფერებით გამოთქმა საკმარისი ალბათ ვერ გამოდგა. რაც შეეხება კოჩერგინის ერთ-ერთ გმირს, თავად ანგელოზის თოჯინას, ის ავტორის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლური ელემენტია (მრავალთა შორის) და თანაც სიმბოლოა პეტრეს ქალაქში დამწვარი ოცნებებისა. მხატვრის ტექსტუალური ჩანახატები სავსეა ყოფითი ჟანრის მხატვრული სიუჟეტებით, რომლებშიც ბევრია სენტიმენტალური და დრამატული და კიდევ არის მათში რაღაც რუსი კლასიკოსებისთვის დამახასიათებელი: უფერულ სახეებში დანახული და მრავალსიტყვიანი მონუმენტალიზმით ჩამოქნილი ჰუმანიზმი.

## მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი

რეზო ჩხეიძის განაცხადებით, ახალი ქართული მხატვრული ფილმის "მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელის" გადაღება არასაკმარისი ფინანსების გამო შეფერხებულია. მისივე თქმით, ფილმის გადასაღებ სამუშაოებს რუსეთის კულტურის სამინისტრო და "ქართული კინო" აფინანსებს. რუსულმა მხარემ თავის თავზე აღებული ხარჯები ბოლომდე დაფარა, საქართველოს მხრიდან კი ფინანსების გადმორიცხვა შეფერხდა. რეჟისორი ვარაუდობს, რომ საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში ფილმი წლის ბოლოს გამოვა.

შეგახსენებთ, რომ ფილმის ქართული ვერსიის დასრულების შემდეგ მისი რუსულ ენაზე დუბლირება განხორციელდება. ფილმი რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე ეთერში 5 სერიად გავა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ვეფხისტყაოსნის" ანიმაციური ვერსია

ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ანიმაციური ფილმი "ვეფხისტყაოსანი" მოხვდა. იგი კონკურსზე კომპანია "მი ფა სის" დირექტორმა დავით დიასამიძემ წარადგინა.

როგორც დიასამიძე აღნიშნავს, სცენარში "ვეფხისტყაოსნის" მთელი სიუჟეტი ზღაპრის სტილშია დაწერილი, რათა ის ბავშვებისთვის ადვილად გასაგები იყოს.

"თუ სცენარი კონკურსში ვერ გაიმარჯვებს, მას კომპანიის დაფინანსებით გადავიღებთ", - განაცხადა დიასამიძემ.

კომპანია "მი ფა სიმ" 2 მხატვრული ფილმი, "მოგზაურობა ფოლკლორში" და "დასავლეთ საქართველო" გადაიღო. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ელვის პრესლი ცოცხალია



ცნობილი დოკუმენტალისტი ადამ მუსკევიჩი იღებს ფილმს როკ-ენ-როლის მეფის სიკვდილზე. ფილმი ეკრანებზე უნდა გამოვიდეს 2007 წლის აგვისტოში. ფილმის შექმნის პროცესში რეჟისორმა დაკითხა ყველა ის ადამიანი, ვისაც მომღერალთან სულ მცირე შეხებაც კი ჰქონდა: თაყვანიმსმცემლები, ვინც პირადად იცნობდა, სულ 175 ადამიანი. ძალიან ბევრი მათგანი, ვისაც მუსკევიჩი ესაუბრა ამტკიცებს, რომ პრესლი ცოცხალია. ამ ფაქტმა რეჟისორი დააეჭვა და იგი ფიქრობს, რომ მისი სიკვდილის ფაქტები უცნაურად ეჩვენება: იგი ძალიან მალე დაკრძალეს, აგრეთვე მემფისის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი, სადაც მიიტანეს გარდაცვლილის გვამი "არაადეკვატურად იქცეოდა."

ამჟამად მითი იმის შესახებ, რომ ელვის პრესლი არ გარდაცვლილა 1977 წლის 16 აგვისტოს მომღერლის თაყვანისმცემლებში ძალიან პოპულარულია. ამერიკელმა რეჟისორმა გადაწყვიტა 3 მილიონი დოლარი გადაუხადოს მას, ვინც ელვის პრესლის სიკვდილს უარყოფს და ამ ეჭვებს დაუდასტურებს. ეს ინფორმაცია მან საკუთარ საიტზე გაავრცელა.

## მოკლედ

### ქართული ოქრო

პროექტის, - "ოქროს წარმოება საქართველოში" ფარგლებში, მიმდინარეობს ქართული ოქროს შესწავლა. სპეციალისტები დეტალურად შეისწავლიან, თუ რა რესურსებითა და რომელი მადნებით მოიპოვებოდა ოქრო საქართველოში, რა ნივთებია ამ ოქროთი დამზადებული და რომელ საუკუნეს მიეკუთნება ისინი. როგორც გერმანიის არქეოლოგიის წარმომადგენელმა ირინა ღამბაშიძემ განაცხადა, წელს, საქართველოში მოპოვებულ ოქროს ნაკეთობებს და ოქროს მადნებს ანალიზი ჩაუტარდება, რათა დადგინდეს მათი მოპოვების წყარო და თარიღი, ხოლო მომავალ წელს, ბოლნისის რაიონში სოფელ სახტრინში გეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდება. პროექტს "ოქროს წარმოება საქართველოში" ფონდი "ფოლკსვაგენი" აფინანსებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მცხეთის განახლებული მუზეუმი

მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე აღმოჩენილ უნიკალურ სამარხში განთავსებული ნივთები მცხეთის მუზეუმში გამოიფინება. ამის შესახებ მუზეუმის დირექტორმა თემურ ბიბილურმა განაცხადა.

მისი თქმით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, ახლადაღმოჩენილ სამარხში განთავსებული ნივთები: განსხვავებული ტიპაჟის მინის ჭურჭელი და სამგლოვიარო გვირგვინის ოქროს ფურცლები, აგრეთვე მუზეუმში დაცული ექსპონატები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გალერეა "ლაზარე"

გალერეა "ლაზარეში" ნინო ვარაზაშვილის თექის ნამუშევრების გამოფენა 10 სექტემბრამდე გასტანს. გამოფენაზე წარმოდგენილია თექიდან დამზადებული სხვადასხვა ნივთები. მათ შორის სუვენირები და ძვირფასი ქვებით შემკული ბოლნური ჯვრები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ერმიტაჟს ახალი ნაგებობა დაემატება

სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟის იუბილესთან დაკავშირებით, მუზეუმის შენობას ახალი ნაგებობა დაემატება. მთავარ შენობას აღმოსავლეთ ფრთას მიაშენებენ. მუზეუმის დირექტორმა მიხაილ პიოტროვსკიმ განაცხადა, რომ ახალ ფლიგელში XIX-XX საუკუნეების ექსპოზიციები, ძირითადად, ფერწერა მოიყრის თავს. სამამულო ხელოვნების ნიმუშებთან ერთად, აქ ჩინური, იაპონური და ირანული კულტურა იქნება წარმოდგენილი. ნაგებობას მსოფლიო ბანკის კრედიტით ააშენებენ, რომელიც 2009 წლისთვის იქნება მზად. მთლიანობაში კი ერმიტაჟის რეკონსტრუქცია 2014 წლისთვის, ერმიტაჟის 250-წლის იუბილესთვის დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ოდესის ჯაზ-ფესტივალი

ოდესაში ჯაზის VI საერთაშორისო ფესტივალი "ჯაზ-კარნავალი" გაიმართება, რომელზედაც მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკოსებთან ერთად ქართულ-გერმანული ჯგუფი "შინი" წარსდგება.

პროექტის კოორდინატორის ეკატერინა მალცევას თქმით, ფესტივალის გახსნის ცერემონია 15 სექტემბერს ოდესის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება.

ქართულ-გერმანული ჯგუფი ფესტივალის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების გარდა მის დასკვნით ნაწილშიც, გალა კონცერტშიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ოდესის ღია თეატრალურ სცენაზე შედგება. "შინი" 1998 წელს გერმანიაში, ქართველი ემიგრანტი მუსიკოსების მიერ ჩამოყალიბდა. ჯგუფში მუსიკოსები ზაზა მიმინოშვილი, ზურაბ გაგნიძე და მამუკა ღაღანიძე მოღვაწეობენ, რომლებიც გერმანიაში 1994 წლიდან იმყოფებიან. ჯგუფი რამდენიმე ჯაზ-ფესტივალის ლაურეატია. ზაზა მიმინოშვილსა და ზურაბ გაგნიძეს რობერტ სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული რამდენიმე სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით. 1992 წელს ზაზა მიმინოშვილი საქართველოში საუკეთესო ჯაზ-გიტარისტად აღიარეს. ჯგუფის რეპერტუარი ქართული ფოლკლორისა და ჯაზის ორიგინალურ სინთეზს - ე.წ. ფოლკჯაზს წარმოადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ამერიკული კავკასია

აშშ-ში მოქმედი პოლიფონიურ-ვოკალური ჯგუფი "ტრიო კავკასია" უახლოეს მომავალში ახალ კომპაქტ-დისკს გამოსცემს, რომელშიც ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები შევა. "ტრიო კავკასია" ქართული ფოლკლორით დაინტერესებულ უცხოელ მომღერლებს ალან გასერს, სტიუარტ გელზერსა და კარლ ლინიჩს აერთიანებს. მათ რეპერტუარში მხოლოდ ქართული სიმღერები შედის. ახალ ალბომში 23 ქართული სიმღერა გაერთიანდა, მათ შორის "სულთა თანა", "შაირები", "ალილო", "ურმული", "თელავური მაყრული" და სხვები.

ჯგუფი 1999 წელს აშშ-ში ჩამოყალიბდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამთავროს დედათა მონასტერი

სამთავროს დედათა მონასტერი უახლოეს მომავალში მონასტრის 17-საუკუნოვანი ისტორიის ამსახველ ახალ ნაშრომს, სახელწოდებით, "სამთავროს" გამოსცემს. როგორც შიომღვიმის მამათა მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მიქაელმა აღნიშნა, ნაშრომი მოიცავს მონასტრის ისტორიას წმიდა ნინოს შემოსვლიდან დღემდე. მასში ფართოდაა გაშუქებული მონასტრის ძველი და ახალი ისტორია, წინამძღვარნი და სამაროვნები. წიგნი ილუსტრირებულია. მისი ავტორია გიორგი ჭანიშვილი. საგულისხმოა, რომ ნაშრომი უსახსრობის გამო დიდი ხნის განმავლობაში ელოდა გამომცემელს. მამა მიქაელის განცხადებით კი ამ დროისთვის უკვე არსებობს ფინანსები, რისი საშუალებითაც მონასტერი თავად უზრუნველყოფს ნაშრომის გამოქვეყნებას. სამთავროს ფერისცვალების ეკლესია და წმ. ნინოს დედათა მონასტერი მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარეობს. წმიდა ნინომ ამ ადგილას (მაყვლოვანში) იქადაგა ქრისტიანობა. სამთავროს ეკლესიაში მრავალი სიძველე და სიწმიდე ინახება. მათ შორის ძელიცხოვლის წმიდა ნაწილი, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, წმ. ნინოს სასწაულთმოქმედი ხატი, მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის საფლავები, ასურელი მამის წმ. აბიბოს ნეკრესელის ნეშტი, წმ. შიო მღვიმელის თავის ქალის ნაწილი და წმ. ნინოს საფლავის ქვის ნაწილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ყველაზე მაღალბიუჯეტიანი ფილმი

რუსეთის კინოინდუსტრიაში ყველაზე ძვირადღირებული ფილმი მზადდება. ფილმი ეკრანებზე მომვალი წლისთვის გამოვა, რომლის ჩვენების უფლებაც ტელეკომპანია ნრგ-მ მოიპოვა.

ფილმის საერთო ბიუჯეტი 20 მილიონი დოლარია. აქედან 6 მილიონი მის რეკლამირებაზე დაიხარჯება, რომელსაც კომპანია "ცენტრალ პარტნიორშიპი" განახორციელებს. რუსული კინოინდუსტრიის ზოგიერთი წარმომადგენელი შიშობს, რომ ამგვარი დანახარჯების ანაზღაურებას ფილმი ვერ შეძლებს, ან ეს პროცესი წლების განმავლობაში გაჭიანურდება. გორკის სახელობის კინოსტუდიის დირექტორის სტანისლავ ერშოვის თქმით, გიგანტური ბიუჯეტით ფილმი რუსული კინოს ისტორიაში მხოლოდ "ციმბირელ დალაქს" ჩამორჩება, რომელზედაც 40 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ახალი ფილმს რეჟისორია ნიკოლაი ლებედევი, მთავარ როლებს კი ალექსანდრ ბუხაროვი და ოქსანა აკინშინა შეასრულებენ.

ფილმი მწერალ მარია სემენოვას ბესთსელერის ეკრანიზაციაა, რომელიც რუსულ ეპოსს უკავშირდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სომხური პოეზიის კვირეული

25-29 სექტემბერს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით სომხური პოეზიის კვირეული გაიმართება.

კვირეულის ფარგლებში საქართველოში სომხეთის მწერალთა კავშირის ცხრა წარმომადგენელი ჩამოვა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ სომხური პოეზიის საღამოები თბილისში, მცხეთაში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება.

საგანგებოდ სომხური პოეზიის კვირეულისთვის ქართულ ენაზე ითარგმნა სომხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომელიც ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდება.

"ქართული პოეზიის დღეები სომხეთში ივნისში გაიმართა. ჩვენგან განსხვავებით, ჩვენს სომეხ კოლეგებს აქტიურად უჭერს მხარს სომხეთის მთავრობა. ჩვენ ალბათ უფრო მოკრძალებულად მოგვიწევს სტუმრების მიღება. თუმცა შევეცდებით სომხური პოეზიის დღეები საქართველოში ღირსეულად ჩატარდეს", - განაცხადა ვაჟა ოთარაშვილმა. **მედიანიუსი**

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ**

**ობიექტი: - ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ სიმონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, "სიმონეთის ანდეზიტის გამოვლინებაზე" ანდეზიტური შემადგენლობის ინერტული მასალის (ღორღის) მოპოვება.**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ანდეზიტური შემადგენლობის ინერტული მასალის (ღორღის) ჯამური მოცულობა | 90 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 47 948 ლარი.<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 %.<br>9590 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა. | 3 წელი |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.№6 ტელ. 7 35 95.<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 4 სქტებრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 5 ოქტობერს 12 საათიდან აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შენობაში. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300694008 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შემოტანის ქვითარი | „ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადა განისაზღრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 28 სექტემბრის №386 ბრძანების მე-5 მუხლის შესაბამისად. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" „ტყის კოდექსის" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს |

ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

I.2006 წლის 2 სექტემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგის მიხედვით, სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

| № | თანამდებობა | საშტატო ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | **წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში** | | |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 3 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 7 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 2 |
| | **კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში** | | |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 2 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 2 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 2 |
| | **ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილებაში** | | |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 1 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 3 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 3 |
| | **ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილებაში** | | |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 1 |
| | მთავარი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 2 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 5 |
| | უფროსი მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 1 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 1.0 | 2 |
| | მეცნიერი თანამშრომელი | 0.5 | 1 |

II.მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

III.უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

IV.მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

V.კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები (ელექტრონული ფორმითაც):

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე (თანამდებობის ჩვენებით, ივსება ინსტიტუტში);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

დ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებული, მათ შორის 2001-2006 წლებში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) 1 სამეცნიერო ნაშრომ (სტატია ან მონოგრაფია), რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

კ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4)

საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება:

- ■ სამეცნიერო კვალიფიკაცია;
- ■ სამეცნიერო მოღვაწეობის სტაჟი;
- ■ გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობის შესაბამისობა განყოფილების სამეცნიერო მიმართულებასთან;
- ■ .ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების შესაბამისობა განყოფილების სამეცნიერო მიმართულებასთან;
- ■ მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ შრომებისა და მონოგრაფიების შესაბამისობა განყოფილების სამეცნიერო მიმართულებასთან;
- ■ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტებში, ხელშეკრულებით შესრულებულ პროექტებში;
- ■ მონაწილეობა სამეცნიერო კადრების მომზადებაში - სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტობა, საკანდიდატო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
- ■ მომავალი სამეცნიერო მუშაობის ხედვა - მთავარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის კონკურსში მონაწილეთათვის;
- ■ სამეცნიერო დარგის შესაბამისი პატენტების, საავტორო მოწმობებისა და ლიცენზიების რაოდენობა;
- ■ ბოლო 10 წლის განმავლობაში მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში;
- ■ კვლევის შედეგების გამოყენებისა და დანერგვის მდგომარეობა, შესაბამისი აქტებისა და სხვა საბუთების დადასტურებით;
- ■ კომუნიკაბელობის (თანამშრომლებთან ურთიერთობის), გრანტებისა და სამეცნიერო პროექტების მოზიდვის შესაძლებლობათა შეფასება - მთავარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის კონკურსში მონაწილეთათვის.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 1 ოქტომბერი 2006 წელი.

საბუთების მიღება და დამატებითი ინფორმაციის გაცემა იწარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 150ა, ტელ: 95-10-47; 95-20-28, ფაქსი: 95-11-60, ელ.ფოსტა: nb@gw.acnet.ge ვებ-გვერდი: http:/www.acnet.ge/meteo.htm

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 6 ოქტომბერს.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
საკონკურსო კომისია

# ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 17 ივლისიდან 1 სექტემბრამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 87-ე კილომეტრში დამეწყრილი მიწის ვაკისის დროებითი ღონისძიებების სამუშაოები.

ლოტი-2: სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 79-ე კმ-ში (ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია) სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები.

ლოტი-3: თიანეთი-ახმეტა-ფშაველი-ნინიგორის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ26-კმ27 მონაკვეთის სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები.

ლოტი-4: ამბროლაურის რაიონში ბუგეულა-ბარეული-გორისუბნის ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის მე-5 კმ-ში მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები.

ლოტი-5: მერია-თხინვალი-შრომა-ურეკის ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის მე-16 კმ-ში მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "თუშეთგზა"; ლოტი-2: შპს "ზიმო-7"; ლოტი-3: შპს "სხივი"; ლოტი-5: შპს "ოზურგეთის საგზაო სამმართველო";

2) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.119(0.6)-კმ.134(0.3) მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-2: ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.4.5 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-3: გორი-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.3-კმ.12 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-4: გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ.69-კმ.70 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-5: სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.21(0.5) მონაკვეთის პერიოდული შეკეთება.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "გზა 2002"; ლოტი-2: შპს "ცეკური"; ლოტი-3: შპს "იბოლია"; ლოტი-5: სს "არქეოპოლისი";

3) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: ოზურგეთის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის მერია-ლაითურის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრში, მდ. ორაფოზე დაზიანებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-2: ლანჩხუთის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის არჩეული-ჩანჩეთი-ჩოჩხათის საავტომობილო გზის პირველ კილომეტრში არსებული სახიდე გადასასვლელის აღდგენითი სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "ოზურგეთის ს.ს."; ლოტი-2: შპს "პილონი-2005";

4) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 17 ივნისს N133-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 85-ე კილომეტრზე, მდინარე ლიახვზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს;

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ბესკო";

5) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 17 ივნისს N133-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.151-კმ.152 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოებს;

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გზა-2005";

6) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.89-კმ.96 ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის (გვირაბით) მშენებლობის მე-2 ეტაპის სამუშაოებიდან გადაუდებლად შესასრულებელ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას;

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია";

7) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 5 ივლისს N148-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: მარნეული-თეთრიწყარო-წალკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ.1-კმ.26 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-2: ქობულეთის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის ქობულეთი-ჭახათის ს/გზის კმ.1-კმ.5 მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-3: ქედის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზების მახუნცეთი-უჩხითის (7.9 კმ) და ნამლისხევი-მილისის (2 კმ) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-4: ქვიტირი-მესხეთი-მუხიანის ს/გზის კმ.1-კმ.8.7 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-5: თერჯოლის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის რუფოთი-ალისუბანი-საზანოს კმ.4-კმ.8 და საზანო-თუზი-ჭიათურას საზღვრის ს/გზების კმ.1-კმ.6 მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-6: მარნეული-ალგეთი-აზიზკენტის ს/გზის კმ.1-კმ.12 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-7: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხე ს/გზის 55-ე კმ-დან ველისციხე-ჩაჩაანი-ყვარლის ს/გზის კმ.1-კმ.4 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "ქცია"; ლოტი-2: შპს "ზიმო-7"; ლოტი-3: შპს "ქედის საგზაო სამმართველო"; ლოტი-4: შპს "ჯ და ჯ"; ლოტი-5: შპს "ბორანი"; ლოტი-6: შპს "ქცია";

8) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 5 ივლისს N148-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი 1: კოკი-ხურჩას საავტომობილო გზაზე, მდინარე ენგურზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

ლოტი 2: მესტიის რაიონში, ჭუბერი-ზედა მარლის საავტომობილო გზაზე, მდინარე დეგრისზე, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელის მოწყობა;

ლოტი 3: ხაიში-ვედის საავტომობილო გზის მე-4 კილომეტრში, მდინარე ხაიშურაზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია.

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "ვანტი"; ლოტი-2: შპს "ენგური-2006"; ლოტი-3: შპს "ენგური-2006";

9) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 8 ივლისს N151-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი 1: ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის კმ.12(0.28)-კმ.13; კმ.14; კმ.22(0.9)-კმ.23(0.1); კმ.30(0.653); კმ.32(0.3) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი 2: ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის კმ.23(0.9)-კმ.30(0.1) მონაკვეთის პერიოდული შეკეთება;

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: სს "ტრანსვესტინჟინერინგი-12"; ლოტი-2: სს "ტრანსვესტინჟინერინგი-12";

10) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 17 ივნისს N133-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი 1: კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის კმ.21-კმ.26 და კმ.27(0.2) მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი 2: წალენჯიხა-ლიას საავტომობილო გზის კმ.1-კმ.7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "გზის მშენებელი N11"; ლოტი-2: შპს "წალენჯიხის საგზაო სამმართველო";

11) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 13 ივლისს N155-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი 1: მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 103-ე კილომეტრში არსებული გვირაბის ("სალდატსკაია") რეაბილიტაცია;

ლოტი 2: ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 32-ე კილომეტრზე არსებული სწორკუთხა მილის რეაბილიტაცია;

გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტების მიხედვით; ლოტი-1: შპს "დტს"; ლოტი-2: შპს "ბესკო";

12) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 21 ივნისს N136-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ოთხ ლოტად დაყოფილი საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციული, მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის დამუშავებისა და მომზადების მომსახურებას.

გამარჯვებულად გამოცხადდა; ლოტი 1; ლოტი 2; ლოტი 3; შპს "ტრანსპროექტი";

13) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 24 ივნისს N139-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთო სარგებლობის გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოებზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განფენილი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გარდა) საზედამხედველო მომსახურებას;

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ზედამხედველობის დირექცია";

14) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 13 ივლისს N155-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.120(0.25); კმ.121(0.34); კმ.122(0.1) მონაკვეთების მიწის ვაკისის აღდგენას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ავტობანი";

15) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 22 ივლისს N163-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.27-კმ.43 ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებული ნატახტარში აღებული საპატრულო პოლიციის შენობის სანაცვლოდ ქალაქ მცხეთაში საპატრულო პოლიციის ახალი შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები;

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "საინჟინრო სამშენებლო კომპანია";

**სატენდერო კომისია.**

# "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ა) პრეისტორიის სექტორი: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 2 ადგილი;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 10 ადგილი;
მეცნიერი თანამშრომელი - 15 ადგილი;
ბ) კლასიკური და შუა საუკუნეების სექტორი:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 3 ადგილი;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 9 ადგილი;
მეცნიერი თანამშრომელი - 15 ადგილი;
გ) ინტერდისციპლინარული ლაბორატორია:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ადგილი;
მეცნიერი თანამშრომელი - 2 ადგილი;

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია;
გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
თ) არქეოლოგიაში მომზადებული ასპირანტები და მაძიებლები; გვარისა და თემის მითითებით (დაცვის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორეფერატის პირველი ორი გვერდის ასლი);

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:
გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);
აქეოლოგიაში მომზადებული დისერტანტები;
მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;
მონაწილეობა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში;

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე წარდგენილი კანდიდატი ინიშნება შესაბამის სამეცნიერო თანამდებობაზე და მასთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს: უზნაძის ქ. N14, II სართული, ოთახი N5.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა - 2006 წლის 6 ოქტომბერი, 16 საათი.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 20 ოქტომბერს.

8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
www. mes.gov.ge
e-mail: kart-archae@yahoo.com
ტელ: 959 775
პასუხისმგებელი პირი: გ. ინანიშვილი, დ. გოგელია.

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი** აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:
ა) "**ფიზიკური გეოგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის**" განყოფილება
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** - 3 საშტატო ერთეული,
**მეცნიერ თანამშრომელი** - 2 საშტატო ერთეული
ბ)"**გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის**" განყოფილება
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** - 3 საშტატო ერთეული,
**მეცნიერ თანამშრომელი** - 3 საშტატო ერთეული
**G I S ჯგუფი**
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** (ჯგუფის ხელმძღვანელი) - 1 საშტატო ერთეული,
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** - 1 საშტატო ერთეული,
**მეცნიერ თანამშრომელი** - 2 საშტატო ერთეული
გ) "**ბუნებრივი რესურსების, ლანდშაფტური დაგეგმარების და ექსპერტიზის**" განყოფილება
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** - 4 საშტატო ერთეული,
**მეცნიერ თანამშრომელი** - 3 საშტატო ერთეული
დ) "**საზოგადოებრივი გეოგრაფიის**" განყოფილება
**უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** - 2 საშტატო ერთეული,
**მეცნიერ თანამშრომელი** - 3 საშტატო ერთეული
**მთავარი მეცნიერი თანამშრომელი** - 1 საშტატო ერთეული.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
3. უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.
4. მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
6. საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება ინსტიტუტის წესდებითა და ამ ბრძანებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ფორმდება ოქმით.
7.საბუთების მიღება იწარმოებს **ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში**, მისამართი: მ.ალექსიძის 1, კორპ. 8
8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა (1 თვე განცხადების გამოქვეყნებიდან).
9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის "6" ოქტომბერს.
10. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით (სამეცნიერო ნაშრომის ელექტორნული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით.
11. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
**ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში, მ.ალექსიძის 1, კორპ. 8**
**www.acnet.ge/geography.htm**
e-mail: geograf@ gw.acnet.ge

პასუხისმგებელი პირი - ნანა ბოლაშვილი, დირექტორის მოადგილის მ/შ

# ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

**1.** ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს ბეჭდვითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2**. შესყიდვის ობიექტია ფლაერების A4 (80000 ცალი), ტრიპლეტების A4 (50000 ცალი), წერილების A4 (100000 ცალი), ბროშურების A5 (100000 ცალი, 8-გვერდიანი), ბროშურების A5 (100000 ცალი, 8-გვერდიანი, ბეჭდვა ოქროთი), ბროშურების A5 (100000 ცალი, 8-გვერდიანი, ბეჭდვა ოქროთი და ლაქით), ჟურნალების A4 (50000 ცალი, 12-გვერდიანი), პლაკატების A2 (100000 ცალი) და სტიკერების A2 (50000 ცალი) ბეჭდვა. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მომსახურების გაწევა იწარმოებს ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების შესაბამისად (მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დავალების შესრულება, მისი გადაცემიდან, არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში).

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 4 სექტემბრის 10.00 საათიდან იმავე წლის 25 სექტემბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 სექტემბრის 10:00 საათიდან 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ეკა ბასილაშვილი და ნინო დოლიძე, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

# ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური

1. ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს ყურძნის შესყიდვის, ტრანსპორტირების და გადამუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 900.000 (ცხრაასი ათასი) ლარს.
3. მომსახურების გაწევის ვადა: ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 დეკემბრამდე.
**4.**სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 25 სექტემბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
5. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 26 სექტემბრის 10:00 საათიდან 2006 წლის 26 სექტემბრის 16:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
**6.** პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
**იურიდიული პირისათვის:**
■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
**ფიზიკური პირისათვის:**
■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება; **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი ტელ: (995-32) 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

1. შპს ბათუმის წყალკანალი (ქ. ბათუმი წერეთლის ქ.N2) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს საგზაო ფილების და სანიაღვრე ჭის სახურავების შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე.
2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.
**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 სექტემრიდან 21 სექტემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2. (შპს ბათუმის წყალკანალი).**
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**4.1 იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
**4.2. ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).
**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
დ) ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ (მიწოდებული საქონლის მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).
5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 20 სექტემბრის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (სს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი ანგარიშის N126938500, ბანკის კოდი 220101502, საინდენტიფიკაციო კოდი 245556679 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2.
6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - დავით მიქელაძე, რონ დიასამიძე ტელ: 7-40-84 მისამართზე: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. N2.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

## განცხადება

საქართველოში მოქმედი რეგიონალური მედიის წარმომადგენლებმა, რომლებიც აპირებენ 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების გაშუქებას, აკრედიტაცია უნდა გაიარონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 1 ოქტომბრის

18:00 საათისა. აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა.

# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

მარკეტინგისა და საზოგადოების ურთიერთობის სამსახურის შიდა ტურიზმის განყოფილების სპეციალისტი (კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი) - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომში - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

■ სპეციალისტის თანამდებობაზე (კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი):

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის II და III თავის, "საჯარო სამსახურის შესახებ", "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიასაჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", "ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და "კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;

გ) მინიმუმ ორი უცხო ენის ცოდნა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა უცხო ენების ცოდნა;

დ) Microsoft Word; Microsoft Excel; Microsoft PowerPoint; Outlook Express; Internet კომპიუტერული პროგრამების ფლობა.

კონკურსს ატარებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისაია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;
6. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში, 11-დან 16 საათამდე, შაბათკვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა ტესტირებით და გასაუბრებით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ტელ.: 381535; 381554.

საჯარო სამსახურის ბიურო

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

ა) ბიოლოგიური ჟანგვის ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული.

ბ) მეორეულ ნაერთთა ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

გ) ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში:
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

დ) აზოტის ფიქსაციისა და ასიმილაციის ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული.

ე) ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 6 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 6 საშტატო ერთეული.

ვ) მცენარეული სუბსტრატების ბიოკონვერსიის ლაბორატორიაში:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) მეცნიერ თანამშრომელს - 1, უფროს მეცნიერ თანამშრომელს - 2 და მთავარ მეცნიერ თანამშრომელს - შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;

ე) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 4 ოქტომბერი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 10 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
www.acnet.ge
e-mail: vazhat13@hotmail.com
ტელ: 52-80-26, 52-87-80, 899 14-19-01
პასუხისმგებელი პირი ვაჟა ტაბიძე

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 21 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს სალიანდაგო ვაგონ-მანქანის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სალიანდაგო ვაგონ-მანქანის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ვაგონ-მანქანა**<br>ბალასტის, სილის და დამანაგვიანებლების მექანიზირებული შევსების, შენახვისა და დაცლისთვის | 1.ლიანდის სიგანე - 1520 მმ,<br>2.მრუდის მინიმალური რადიუსი:<br>ა)ტრანსპორტირებისას - 150 მ,<br>ბ)მუშაობის დროს - 150 მ,<br>3)სისწრაფე ტრანსპორტირებისას - 100 კმ/სთ | ც | 4 |
| **ვაგონ-მანქანის მახასიათებლები:**<br>1. მანქანა ვარგისი უნდა იყოს ლიანდში არსებული ბალასტის გასუფთავების შემდეგ ნარჩენების - ბალასტის, სილის და დამნაგვიანებლების დატვირთვის, შენახვისა და დაცლა-გადატვირთვისთვის.<br>2. მანქანის კონსტრუქციის მინიმალური მასა დაუტვირთავ მდგომარეობაში უნდა იყოს 38 ტონა, ხოლო ტევადობა - არანაკლებ 40 $მ^3$-ისა.<br>3. მანქანა მოწყობილი უნდა იყოს ორი ორღერძიანი ურიკით, ბაზით არანაკლებ 1800 მმ-ისა, ხოლო ლილვაკებს შორის მანძილი - არანაკლებ 13000 მმ-ისა.<br>4. დატვირთვის და დაცლის უწყვეტი ციკლის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნებისმიერი რაოდენობის ვაგონების გადაბმის შესაძლებლობა.<br>5. ასეთ შემადგენლობაში ბოლო ვაგონი უნდა დაიტვირთოს პირველ რიგში ვინაიდან სხვა მისაბმელი ვაგონები ემსახურებიან მასალების გადაცემას. რამდენიმე ვაგონის შევსებისას შესაძლებელი უნდა იქნას მათი ჩახსნა შემადგენლობიდან შემდგომი დაცლისათვის, რა დროსაც გრძელდება შემადგენლობაში დარჩენილი ვაგონების დატვირთვა. დაცლის სამუშაოს დასრულებისას შესაძლებელი უნდა იქნას დაცლის პროცესის შეწყვეტის გარეშე განმეორებით ჩაერთოს შემადგენლობაში ცარიელი ვაგონები, რათა ჩაიტვირთოს ამ დროისათვის დაგროვილი დამნაგვიანებლები.<br>6. მანქანას უნდა შეეძლოს დამხმარე საშუალებების გარეშე გადმოცალოს მასალა ნებისმიერ შესაფერის ადგილზე.<br>7. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაძლებლობა ყველა ვაგონის ერთდროული დაცლისა ან/და ყველა ვაგონის დაცლისა მხოლოდ ბოლო ვაგონიდან.<br>8. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვაგონის დაცლის შესაძლებლობა ორივე მხრიდან, მოძრავი შემადგენლობის სხვა ერთეულებზე, სატვირთო მანქანებზე ან საყრელზე.<br>9. მანქანა აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების მოწყობილობით, რომელიც დაიცავს მასგადაბრუნებისგან შემაღლებულ ადგილებზე ვაგონის დაცლისას.<br>10. მანქანის სრული და უწყვეტი დატვირთვა მიიღწევა გრძივმოძრავი ფსკერული ტრანსპორტიორით.<br>11. მანქანის წინა ნაწილში განთავსებული მკვეთრად დახრილი ტრასპორტიორი უნდა ახორციელებდეს მასალის სრულ დაცლას ან გადაცემას.<br>12. ტრანსპორტიორის ამძრავი უნდა იყოს ჰიდრავლიკური.<br>13. ტრანსპორტიორის ამძრავისათვის მანქანა აღჭურვილი უნდა იყოს წყლის გაგრილების სისტემის მქონე დიზელის ძრავით, რომლის სიმძლავრეა არანაკლებ 120 კვტ. თითოეულ ვაგონს უნდა გააჩნდეს ავტონომიური ძალოვანი ბლოკი.<br>14. ტრანსპორტიორის ამძრავისათვის არ უნდა გახდეს საჭირო დამატებითი ძალოვანი ვაგონის გამოყენება. | | | | |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - CIP ქ.თბილისი;

4. მოწოდების ვადა - 2007 წელი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 28 სექტემბრის 9სთ 00 წთ-დან - 18 სთ და 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. დოკუმენტაცია დავალიანების არარსებობის შესახებ;
5. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის :**

1. ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები და ა.შ.);
2. ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.
3. დოკუმენტი, რომ პრეტენდენტს გააჩნია აღნიშნული პროდუქციის წარმოების არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება.

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, 2006 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე:

1. მერაბ კოსტავას საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს მაკა გოგოხიას და გიორგი კუტუბიძეს (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება N26).
2. პოლიტიკურ პარტიას "დედა სამშობლო" და მის წარმომადგენელს მანანა გუგეშაშვილს (ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება N27).

გაზეთ "24 საათის" 18 აგვისტოს ნომერში შპს "საქაერონავიგაციის" მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში გაიპარა უზუსტობა. განცხადებაში მე-7 პუნქტამდე სიტყვები - **"რადიო სატელევიზიო რგოლების სცენარების სტრატეგიული"** ზედმეტია და მე-7 პუნქტი შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს :

7. მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

# განცხადება

**გაზეთ "24 საათის" 30.08.06წ N191(1343)-ში შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო განცხადებაში (ავეჯის შესყიდვა) ცვლილებების შეტანის თაობაზე**

გაზეთ "24 საათის" 26.04.06წ N89(1241)-ში შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო განცხადებაში შესყიდვის ობიექტს დაემატოს 52-ე პუნქტი:

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა, ცალი | საქონლის დახასიათება |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 52 | საკონფერენციო მაგიდა (400X140, R70) | 1 | მდფ ლამინატი |

პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა შეიცვალოს და განისაზღვროს: 19 სექტემბრის 18 საათამდე, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიღების ვადა: 20-დან 24 სექტემბრის 16 საათამდე, ხოლო მათი გახსნა მოხდება 24 სექტემბრის 16.30 საათზე.

**დამატებითი ინფორმაცია**

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 899 35-55-35, 99-01-48

*სატენდერო კომისია*

## 2006 წლის N193 (1345) გაზეთ "24 საათში" ტექნიკური შეცდომის გასწორება:

ტექსტში: "დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 01.08. 11-საათიდან 2006 წლის 01.09. 17 საათამდე შემდეგ მისამართზე:"

უნდა იყოს: "დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 01.09 11 სთ-დან 01.10. 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე".

## The Eurasia Foundation Caucasus Research Resource Center - Georgia

**Announces job openings for the following positions**

**Librarian/Information Specialist**

**Position Summary:**

Responsibilities will include management of library programs and services through planning and administering the acquisition, use and development of CRRC resources; development of electronic catalogs of library resources; provision of access to information and resources for CRRC clients, as well as involvement in both instruction and coordination of resource orientation trainings.

Qualifications:

- University degree in library systems and/or information technology (knowledge of social science area is preferred)
- Excellent knowledge of computer library systems, processes, equipment and facilities, as well as on-line library resources in social sciences
- Knowledge of library security systems, procedures and standards
- Experience in training design and instruction
- English, Russian and Georgian language proficiency as well as excellent communication and organizational skills (experience in working with users within international organizations is a plus)

Applicants are invited to submit a letter of interest and resume in English by September 15, 2006 to:

Dika Katsitadze
Office Manager CRRC-Georgia
3, Cholokashvili avenue, I. Chavchavadze State University, III Floor, Tbilisi
e-mail dika@crrc.ge